ბაზისი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

E-mail: r.jalagania@mail.ru

№301 (360) 27 იანვარი – 3 თებერვალი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

ევროპის ერები ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე უარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ

ჟურნალისტ ირაკლი თოდუას ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან დაიბეჭდა 2012 წელს, გაზეთში “საქართველო და მსოფლიო”

– ბატონო ალექსანდრე, ცოტა ხნის წინ ინტერნეტში წავიკითხე თქვენი 2004 წლის გამოსვლა ევროპის პოლიტოლოგთა ფორუმზე, სადაც თქვენ ამტკიცებდით, რომ ევროკავშირს მომავალი არ აქვს, ე.ი. საქართველო ისწრაფვის იმ სტრუქტურაში, რომელიც სულ მალე აღარ იარსებებს?

– ევროკავშირი კიდეც რომ იყოს მდგრადი, პერსპექტიული ორგანიზაცია, საქართველოსთვის მისი კარი მაინც დახურული იქნებოდა. ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი, ეს ყველა ადამიანს ესმის, ვინც გეოგრაფია იცის, გეოპოლიტიკაზე აღარაფერს ვამბობ. შევარდნაძისა და მისი მემკვიდრეების მიერ მოცემული პირობა, საქართველოს ევროკავშირში შეყვანის თაობაზე, თავიდანვე ბლეფი, მიმნდობი მოსახლეობის მოტყუება იყო. მაგრამ დღეს ეს იმდენად აბსურდულია, რომ მთავრობის ოდიოზური წარმომადგენლებიც კი ამჯობინებენ, არ განავრცონ ეს თემა – უკვე ძალიან სასაცილოდ ჟღერს.

ევროკავშირს, მხოლოდ „ძველ ევროპას“ რომ მოიცავდეს, შეეძლო საკმაოდ დიდხანს – კიდევ 20 წელი ეარსება და ეკონომიკურად განვითარებულიყო, მაგრამ ამერიკელებმა დაჟინებით მოითხოვეს ევროკავშირის შემადგენლობაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეყვანა, რათა ისინი რუსეთისთვის მოეწყვიტათ და ამავე დროს, ევროკავშირი დაესუსტებიათ, ამან კი საერთო ვითარება ძირეულად შეცვალა. დღეს კავშირის წამყვან წევრებს – გერმანიას, საფრანგეთს – ამ ქვეყნების სუსტი ეკონომიკის მხარდაჭერა საკუთარი რესურსების ხარჯზე უწევთ. ის სახსრები, რომლებიც ტრადიციული, მაგრამ შედარებით ღარიბი ევროპული ქვეყნების (ესენია იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი და სხვ.) ეკონომიკის მხარდასაჭერად იხარჯებოდა, ახლა კავშირის ათეულობით ახალ წევრ ქვეყანაზე იფანტება. რამდენ ხანს შეიძლება ასე გაგრძელდეს? გერმანელებს მობეზრდათ ევროპელი მუქთახორებისთვის მეწველი ძროხის როლში ყოფნა. ეკონომიკის არათანაბარი განვითარება შეუძლებელს ხდის ამ ქვეყნების თანაარსებობას საერთო სამართლებრივი სივრცის ჩარჩოებში. საბერძნეთის გაკოტრება მხოლოდ დასაწყისია. პორტუგალია, ირლანდია, ესპანეთი რიგში დგანან, ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს იტალიას. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო ვალიც ყველა დასაშვებ ზღვარს აღემატება. საერთოდ, დროა, ვაღიაროთ, რომ ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ბოლო 50 წლის განმავლობაში ვითარდება, საკუთარი თავი ამოწურა, ევროპის ქვეყნები ჩიხში შეიყვანა. ადრე თუ გვიან ევროპელებს და ამერიკელებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ ვალებში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, საჭიროა მოხმარების მკვეთრი შემცირება, მეტი მუშაობა და რეალურად გამომუშავებული ფულის შესაბამისად ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას «ბერძნული ვარიანტი» ელის. და მაშინ ევროპის ეროვნული ეკონომიკებისა და ევროკავშირის კრახი მოხდება.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უპერსპექტივოს ხდის ევროკავშირის არსებობას, ხალხთა ეროვნული თვითშეგნებაა. მიუხედავად ამერიკელების წარმოდგენისა, რომლებიც თვლიდნენ, რომ საერთო ეკონომიკური სივრცე თანდათან წაშლიდა ეროვნულ განსხვავებებს და ერები გადაიქცეოდნენ ერთიან უეროვნებო მასად, ევროპის ხალხების დიდ ნაწილს ეროვნული თვითშეგნება ეზრდება, ეროვნული თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს. ერთიანი ევროპის კონსტიტუცია, მიუხედავად კოლოსალური აგიტაციურ-პროპაგანდისტული მუშაობისა, მაინც ვერ მიიღეს. ევროკავშირი თანამედროვე მსოფლიოში ვერ გახდა და უკვე ვეღარ გახდება ერთიანი გეოპოლიტიკური სუბიექტი. რას წარმოადგენენ ევროკავშირის ოფიციალური ხელმძღვანელები, ვინ უწევს მათ მსოფლიოში ანგარიშს? ვინ მიიჩნევს სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ბაროზუს, ვინ აღიქვამს ეშტონს ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრად? ეს სასაცილო, კარიკატურული ფიგურებია, რომლებიც იმას ასრულებენ, რაზეც გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები (ჯერჯერობით ისევ აშშ-ის თანამონაწილეობით) მოილაპარაკებენ.

ევროპის ერები ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე უარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ, მეტიც, აშშ-ისა და ზოგადევროპული სტრუქტურების მხრიდან განხორციელებულმა ზეწოლამ უკურეაქცია – ნაციონალიზმის ზრდა გამოიწვია. დღეს სულ უფრო მეტი გერმანელი, ფრანგი, იტალიელი ითხოვს მიგრაციის შეზღუდვას, და არა მხოლოდ აფრო-აზიური, არამედ აღმოსავლეთ ევროპულისაც. მოითხოვენ ეროვნული ვალუტის დაბრუნებას, ევროპის შიგნით საბაჟოების აღდგენას, ეროვნული ბაზრების დაცვას, ეროვნული საქონლისა და ადგილობრივი მუშახელის მიმართ სახელმწიფო პროტექციონიზმს. მეტიც – ევროპული ქვეყნების შიგნითაც ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები: იტალია ჩრდილოეთად და სამხრეთად გახლეჩის ზღვარზე დგას, ესპანეთში ისევ რამდენიმე სახელმწიფოდ დაყოფის საშიშროებაა. პატარა ბელგიაც კი – თავის დროზე ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო, სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა და ყოველწუთს დაშლა ემუქრება, ბრიუსელი კი ამ დროს ევროკავშირის დედაქალაქია!

თუ ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელობა, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა არ მიაქცევენ სათანადო ყურადღებას საკუთარი ერების მზარდ უკმაყოფილებას, არ დააბრუნებენ თავიანთი ქვეყნების განვითარებას ეროვნულ კალაპოტში, მაშინ შედეგი უფრო სერიოზული იქნება, ვიდრე, უბრალოდ, ევროკავშირის დაშლაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა ფაშიზმის სამშობლოა. ფაშისტური და ნახევრადფაშისტური რეჟიმები გასული საუკუნის 30-იან წლებში თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში იყო, სრულიად ევროპა დაავადდა ფაშიზმით. დღესაც დაუკმაყოფილებელი ეროვნული მოთხოვნები შეიძლება რეალურ ფაშისტურ განწყობილებებში გადაიზარდოს. ამ ტრანსფორმაციის პროვოცირება ნებისმიერ მსხვილ კატაკლიზმს ძალუძს – ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს, ტექნოგენურ კატასტროფას, მსხვილ მოწინააღმდეგესთან, მაგალითად, ირანთან ომს.

– საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებულ ბანალურ შეკითხვასაც დაგისვამთ, თუ თქვენ ამაზე პასუხის გაცემა არ მოგბეზრდათ.

– ამ კითხვაზე იმ დროიდან ვცემ პასუხს, რაც შევარდნაძემ გაახმიანა ეს ქიმერა, რომელიც ძალიან ძვირი დაუჯდა და ჯერ კიდევ უჯდება ჩვენს ხალხს. ეს საკუთარი ერის თავხედურად მოტყუების კლასიკური მაგალითია. არსებობს ტყუილი, რომელიც სიმართლეს ჰგავს, და არის აბსურდული ტყუილიც. ჩვენი ქვეყნის მმართველებმა გამოაცხადეს და ლამის ეროვნული იდეის რანგში აიყვანეს ნატოში შესვლისა და მისი დახმარებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, ანუ აბსურდული ტყუილი თქვეს. საკვირველია, მაგრამ მათ მოსახლეობის დიდ ნაწილს დააჯერეს ეს აბსურდი. მეტიც, რუსეთთან ყველა მოლაპარაკება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ შევარდნაძემ ფარსად აქცია, ის ხომ ფაქტობრივად რუსებს ეუბნებოდა: დაგვიბრუნეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და საქართველო ერთიანად შევა ნატოშიო! თანაც ირწმუნებოდა, რომ რუსეთი ამაზე უნდა დათანხმებულიყო.

– შევარდნაძის ბოლო ინტერვიუებით თუ ვიმსჯელებთ, ამ პერსპექტივის მას თვითონ არ სჯერა. პირიქით, მოუწოდებს ხელისუფლებას, მოაგვარონ ურთიერთობები რუსეთთან, დასავლეთის დახმარებას კი ტერიტორიების დაბრუნების საქმეში გამორიცხავს. ახლახან „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სიტყვასიტყვით ამბობს: „საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი, ნატოში არავინ მიიღებს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების გზა კი მხოლოდ რუსეთზე გადის“.

– გადადგომის შემდეგ ხანდახან სიმართლესაც ამბობს. ვინ უშლიდა ამის გაკეთებას, როდესაც პრეზიდენტი იყო? 12 წელი ხალხს აბითურებდა, ქვეყანა დაანგრია და ძალაუფლება თავის მემკვიდრეებს გადასცა, რომლებიც ბევრად უფრო დახვეწილი მატყუარები არიან, ვიდრე მათი მასწავლებელი.

საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების და ამ ტერიტორიებზე ყველანაირ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ. ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, დასავლეთთან კულუარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს. აღიარების იდეა, როგორც ცნობილია, უკვე შემოგდებულია ქართულ საზოგადოებაში. ვფიქრობ, არჩევნების შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა გაძლიერდება და შეკვეთილი შედეგის მქონე რომელიმე პლებისციტით დასრულდება. მაგრამ, როგორც კი გავხდებით ნატოს წევრი, ჩვენსა და მოწყვეტილ რესპუბლიკებს შორის ისეთ კედელს ავაშენებთ, რომლის გადალახვაც უკვე შეუძლებელი გახდება.

ნატოს არასოდეს, არსად გაუერთიანებია ტერიტორიები. პირიქით, სადაც კი შევიდა, ყველგან ამას ქვეყნის რამდენიმე კვაზისახელმწიფოდ დაშლა მოჰყვა. მინდა შეგახსენო მათ, ვინც ოცნებობს საქართველოში ნატოს ბაზებზე, რომ იმავე ერაყში, რომელიც ამერიკელებმა «ტირანისგან გაათავისუფლეს», მათი ჯარების გაყვანის დღე სახელმწიფო დღესასწაულადაა გამოცხადებული, ხოლო იაპონელების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იაპონიის ისტორიაში ყველაზე ბედნიერი დღე ოკინავიდან ამერიკული ბაზის გაყვანის დღე იქნება.

ჩვენთან უყვართ მოყოლა, თუ როგორ გაბედნიერდნენ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები, მაგრამ, თუ სტატისტიკას მივმართავთ, აღმოვაჩენთ, რომ ლიტვის მოსახლეობა 10 წლის მანძილზე მესამედით შემცირდა, ლატვიიდან 300 000 ადამიანი წავიდა და იქ ახლა მოსახლეობა 2 მილიონიც არ არის. პატარა ესტონეთში რეალური უმუშევრობა 25-დან 30 პროცენტამდე მერყეობს, ხოლო 63 ათას ესტონელ ბავშვს სისტემატურად არ ჰყოფნის საკვები. აი, ასე „გაბედნიერდნენ“ ეს ქვეყნები.

იცით, ვინაა ყველაზე მეტად, აშშ-ის გარდა, საქართველოს ნატოში შესვლით დაინტერესებული? თურქეთი და აფხაზეთისა და ოსეთის პოლიტიკური წრეები. თურქეთს ეს მისცემს საშუალებას, რუსეთს არც შეხედოს, ნატოს ბაზების ეგიდით შეიჟვანოს თავისი ჯარები საქართველოში, საიდანაც 200 წლის წინ ისინი რუსებმა გაყარეს. ხოლო ძველი ურთიერთობების აღდგენის მოწინააღმდეგეებს აფხაზეთსა და ოსეთში ეს იმის გარანტიას აძლევს, რომ არანაირ რეინტეგრაციულ პროექტებზე საქართველოსთან აღარასოდეს იქნება საუბარი. რა ინტეგრაცია უნდა იყოს მაშინ, როდესაც საზღვრის ერთ მხარეს ნატოს თურქული ჯარები დგას, მეორე მხარეს კი – რუსეთის ჯარები?

გარდა ამისა, ნატო არის ორგანიზაცია, რომელმაც საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა. იმავე ევროპაში მილიონობით ადამიანი მოითხოვს საკუთარი მთავრობებისგან ნატოდან გამოსვლას, რადგან მიაჩნიათ, რომ ამორალურია ყოფნა ისეთ აგრესიულ ორგანიზაციაში, რომელიც მთელ მსოფლიოში სისხლს ღვრის. ევროპელებს ესმით, რომ ნატო მხოლოდ ამერიკული ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი გახდა, ხოლო ამ ინტერესებისთვის ბრძოლა და სიკვდილი ევროპელებს უწევთ. ამიტომაა, რომ ევროპის ქვეყნებმა, რომლებიც საკუთარ თავს პატივს სცემენ, ავღანეთიდან თავიანთი სამხედრო კონტინგენტი გამოიყვანეს, ქართველები კი, გაუგებარია, რატომ დარჩნენ იქ საზარბაზნე ხორცად.

საინტერესოა, რომ საქართველოში უბრალო ხალხიც კი, რაც არ უნდა თქვან გაყალბებული პლებისციტის შედეგებზე, ნატოში შესვლის პერსპექტივის მიმართ ნეგატიურადაა განწყობილი. ხალხის ეს დამოკიდებულება იგრძნეს ზოგიერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ნატოს მგზნებარე აგიტატორები იყვნენ, ბოლო დროს კი ამ საკითხზე ძალიან თავშეკავებული პოზიცია დაიკავეს. ამერიკელების ღიად წყენინების ჯერ კიდევ ეშინიათ, მაგრამ ნატოს ქება-დიდებასაც ვეღარ ბედავენ.

– რით არის განპირობებული მსოფლიოში აშშ-ის ასეთი აგრესიული პოლიტიკა? ნუთუ მხოლოდ ნავთობის მსოფლიო მარაგებზე კონტროლის სურვილით? აშშ-ის ეკონომიკური მდგომარეობა ხომ კატასტროფას უახლოვდება – მხოლოდ საგარეო ვალმა 13 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ასეთი გიგანტური თანხის წარმოდგენაც კი რთულია...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

უზუსტობას შეიცავს ვახუშტის ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ბერძენთა მიერ აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ ეწოდა ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს ბერძნული სახელწოდება „აბასა“. საქმე ისაა, რომ ძველ ბერძნულში „აფხაზეთის“ აღმნიშვნელად დამოწმებულია აბასკოი ფორმა და მისი ვარიანტები: აბასგოი და აბასხოი. ამასთანავე, ფიქრობენ, რომ ძველბერძნული ფორმის ამოსავალია აფხაზურ-აბაზურ ტომთა ერთობის თავდაპირველი ზოგადი სახელიდან – ? ა-აბაზა–აბაზა ფორმიდან მომდინარე აბაჟა, რაც ახალი წელთაღიცხვის დასაწყისის ახლო ხანებში უნდა გამხდარიყო ძველბერძნული აბასკოი ფორმის საფუძველი (გვანცელაძე 1993: 581-590; მისივე 1998: 38-39).

საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების მიმოხილვის პირველ სარწმუნო წყაროდ მიჩნეული ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი და ატლასები მაღალი შემეცნებითი ღირებულებისაა და მას, როგორც პოლიტიკური გეოგრაფიის ელემენტების შემცველ წყაროს, ამჟამადაც წარმატებით იყენებენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტების ისტორიული წანამძღვრების ინტერპრეტაციის, კერძოდ, საზღვრების დელიმიტაციისათვის (კეკელია 1997: 197). ვახუშტის ნააზრევისა და სხვა, მისი წინამორბედი, თანამედროვე თუ მომდევნო დროის მეცნიერ-მოგზაურთა ცნობების გაანალიზებით შესაძლებლობა გვეძლევა აფხაზეთის, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის, საზღვრების მოხაზულობასა და საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ცვლილებებზე, გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ინტერპრეტაციისა და ზუსტ რუკებზე პროექტირების გზით, გარკვეულწილად, შედარებით ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ.

დიდი მეცნიერი ისტორიულ აფხაზეთს შემდეგ საზღვრებში გადმოგვცემს: „ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული ზღუამდე; დასავლით ზღუა და კაპეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამხრით ზღუა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფიიდამ კაპეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღუდამ კავკასის თხემამდე“ (იქვე: 784).

ციტირებული ცნობიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედამდე ვრცელდებოდა, ხოლო დასავლეთით (დავაზუსტოთ: ჩრდილო-დასავლეთით) – კაპეტამდე („კაპეტის მდინარე“). ვახუშტი წერს: „ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპეტის მდინარე“ (იქვე: 785).

მის მიერვე 1735 წელს შედგენილ რუკაზე კაპეტის წყალი ბიჭვინთის დასავლეთითაა დატანილი. ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთით, 7 კმ-ის დაშორებით, შავ ზღვას უერთდება ბზიფი. აღნიშნული მანძილისა და იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ თანამედროვე რუკებზე ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთით კაპეტის წყალს არსად არ ვხვდებით, მიჩნეულია, რომ ისტორიული წყაროების „კაპოეტი“ და ვახუშტისეული „კაპეტის მდინარე“ ამჟამინდელი მდ. ბზიფი უნდა იყოს. ამას მოწმობს სხვა წყაროების ჩვენებაც; კერძოდ, ფეოდალური საქართველოს ისტორიის სანდო პირველწყაროდ მიჩნეულ 1737 წლის ლიხთ-იმერეთის რუკაზე აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვარზე აწერია: „იალბუზის მთა აქ დასწყდება“. დასავლეთით კი საზღვარი კაპოეტის წყალზე გადის (ბურჯანაძე I, 1959).

ვახუშტის ცნობით, აფხაზეთს დასავლეთით და სამხრეთით შავი ზღვაც აკრავს. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსათვის დამახასიათებელი უმნიშვნელო კლაკნილობის მიუხედავად, ვახუშტის რუკებზე ზღვისპირა ზოლი მეტისმეტად დაკლაკნილია. ამასთანავე, თითქოს, ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ყურეები მდინარეთა უმეტესობის შესართავს წარმოადგენს. თანამედროვე რუკებზე „აღწერის“ მონაცემთა პროექტირებით საწინააღმდეგო გარემოება იკვეთება: ვახუშტი რუკებზე არასწორად გვიჩვენებს შავი ზღვის სანაპირო ზოლს.

ოდიშ-აფხაზეთის პოლიტიკურ ერთეულთა შორის გამავალ სასაზღვრო ხაზზე მსჯელობა წარმოვადგინეთ წინამდებარე ნაშრომის იმ თავში, სადაც სამეგრელოს (ოდიშის) ტერიტორიასა და საზღვრებზეა საუბარი. ამიტომ აქ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ სასაზღვრო პუნქტად მიჩნეულ ანაკოფიას („საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა“) ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზე ოდიშის შემადგენლობაში ვხედავთ. შემდგომი აღწერილობით, რაც ზემოთ დავიმოწმეთ, ირკვევა, რომ ანაკოფიის (ამჟამინდელი ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით ჩამომავალი მცირე მდინარის (ამჟამინდელი ფსირცხის) მარჯვენა მხარეს აღმართული „მცირე მთა კავკასიდამ ჩამოსული“ (კავკასიონის ქედის ერთ-ერთი სამხრეთი განშტოება) წარმოადგენდა მიჯნას ოდიშსა და საკუთრივ აფხაზეთს შორის.

მთავარ წყალგამყოფ ქედამდე მოქცეულ ტერიტორიაზე ათავსებს. მას ჩრდილო-დასავლეთით კაპოეტის წყალი გამოყოფდა ჯიქეთისაგან, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ფსირცხის მარჯვენა ნაპირზე აღმართული მთით იმიჯნებოდა ოდიშისაგან. ამ საზღვრებში მეცნიერი გადმოგვცემს ერთიანი ქართული მონარქიის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის პერიოდის (XV ს-ის 80-90-იანი წლები) ამსახველ რეალურ ისტორიულ ვითარებას. მომდევნო 40-50 წლის მანძილზეც საზღვარი ოდიშ-აფხაზეთს შორის ამ მთაზე გადიოდა, რასაც მოწმობს თურქი მზვერავის მოხსენებითი ბარათი, რაც XVI ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 54; მისივე 1998: 103; აბულაძე 1983: 57).

საკუთრივ აფხაზეთის, მაშასადამე, იმავდროულად საქართველოს ისტორიულ სასაზღვრო პუნქტს, ჩრდილო-დასავლეთით ნიკოფსია წარმოადგენდა, რაც თანამედროვე ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა (ვახუშტი, IV, 1973: 201). V ს-ის ანონიმთან ეს პუნქტი ძველ ლაზიკად იწოდება. დამაჯერებელია ისტორიკოს მერი ინაძის თვალსაზრისი უძველესი საისტორიო ტრადიციის ეგროსის სამფლობელოს შავ ზღვამდე გავრცელების შესახებ, ანუ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იმ ტერიტორიამდე, „სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“. კავკასიონის ქედის დასავლეთი კალთები შავი ზღვის ნაპირამდე სწორედ ძველ ლაზიკასთან აღწევს (ინაძე „მაცნე“, №2, 1992: 47; გამახარია 2007: 63).

ფეოდალური მონარქიის დასუსტებისა და სამეფო-სამთავროებად ქვეყნის დაშლის შემდგომ პერიოდში საქართველოს მთაში იკლებს ქართული მოსახლეობის რაოდენობა და მის ადგილზე კავკასიონის ჩრდილოეთი კალთებიდან ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ემიგრირებული და ადგილობრივ ფეოდალებთან ხიზნებად მდგარი უცხო ეთნიკური ელემენტი სახლდება. ადგილი აქვს ტერიტორიების ანექსიასაც აფხაზ ფეოდალთა მხრიდან. ასე შეიქმნა აფსუათა დასახლება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე; ისინი სარგებლობენ XVII ს-ის II ნახევარში ოდიშის სამთავროში გაჩაღებული ფეოდალური შინაომებით, რასაც შედეგად მოჰყვა ოდიშის მთავართა ტიტულის ჩიქვანთა გვარეულობის ხელში გადასვლა. მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი: „განდიდნა ჭყონდიდელი ჩიქოვანი... მოვიდა და დაიპყრა ჭყონდიდლობავე, და იქმნა მისანდო ლევან დადიანისა ყოველსა შინა. ამან მოიყვანა ძმა თვსი კაცია და აზრახა ლევანს მიცემად სალიპარტიანოსი, რამეთუ ამისგან დაიპყრას ლეჩხუმიცა ლევან დადიანმან...“ (ვახუშტი IV, 1973: 842). საბოლოოდ კაცია ჩიქვანის ხელში აღმოჩნდა მთელი ოდიში (იქვე: 845). სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული აფსუები ისაკუთრებენ ტერიტორიას კოდორსა და ენგურს შორის და იბრძვიან მიტაცებული მიწა-წყლის შესანარჩუნებლად.

ვახუშტი აფსუა-აფხაზების საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩამოსახლებას და ოდიშართა მიწა-წყლის „ეგრისის მდინარედმდე“ დაპყრობას XVII ს-ის მიწურულში მომხდარ ფაქტად მიიჩნევს: „ხოლო აწ ეგრისის მდინარემდე უპყრავსთ აფხაზთა, და მას ზეით სამხრის კერძო დადიანსა“ (იქვე: 783). სხვაგან აღნიშნავს: „გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს... და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარედმდე, და დაეშენებოდნენ თვთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“ (იქვე: 845).

ამრიგად, 1681 წლისათვის აფხაზებმა შეძლეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიტაცება და საზღვრის გადმოწევა კელასურიდან ღალიძგამდე. დადიანის სამფლობელოს მიღმა დარჩა დრანდისა და მოქვის ეპარქიები. აღნიშნული მიზეზით ორივე კათედრამ არსებობა შეწყვიტა, ვინაიდან არც ერთ მათგანში ამ დროიდან მოყოლებული ქრისტიანული ღვთისმსახურება არ აღევლინებოდა (ხორავა სძ, 3, 2000: 40).

XVIII ს-ის მეორე ნახევრის აფხაზეთის საზღვარს გიულდენშტედტი ენგურზე ავლებს და შენიშნავს: მეგრული მხარე ოდიში „გადაჭიმულია შავი ზღვის ნაპირზე, ქედის დასავლეთი ძირიდან ენგურამდე, რომლითაც ის აფხაზეთისგან არის გამოყოფილი“ (გიულდენშტედტი I, 1962: 321). მოტანილ ამონაწერს დედანში შემდეგი განმარტება ახლავს: „შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებიან ჯიქეთი და ალალეთი; აღმოსავლეთით, კაბეთს ზემოთ, სონეთი ანუ სვანეთი. აფხაზეთის მოსახლეობას ქართულად ჰქვია აფხაზი, მრავლობითში – აფხაზები, ჯიქეთისას – ჯიქი, ალალეთისას – ალალი; ერთი უნდა იყოს ბაიერის ალანია, მეორე კი ციხია (ჯიქია)“ (იქვე).

„დადისწყლისა“ და „ეგრისწყლის“ ხეობები

ვახუშტი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის დადისწყლისა და ეგრისწყლის ხეობების საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე: „კუალად ამ ეგურის ჩდილოთ დის დადის-წყალი, წოდებული დადის დაბის გამო. გამოსდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღუას. ამ დადისწყლის ჩდილოთ დის ეგრისის წყალი, წოდებული ეგროსის, თარგამოსის ძის, გამო. გამოსდის მასვე კავკასს, დის დასავლეთად და მიერთვის ზღუას ილორს. ხოლო ზღვს კიდეზედ, ამ წყლის დასავლით კიდეზედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი, დასავლით მდინარე მოქვსა, და უძეს სამჩრით ზღუა და ჩდილოთ ველი“ (ვახუშტი IV, 1973: 779).

ისტორიკოსის თქმით, დაბის სახელწოდებაა დადი, რამაც სახელი მისცა ენგურის ჩრდილოეთით მომდინარე დადისწყალს. 1745 წელს შედგენილ რუკაზე მოცემულია მდინარის დინების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. სახელდებული მდინარე, ვახუშტის ცნობით, სათავეს იღებს „აღმოსავლეთის კავკასსა“ და უერთდება შავ ზღვას. მეცნიერი დადისწყალს კიდეც აღნიშნავს თავის რუკაზე, მდინარის სათავეში მცირე შენაკადებით, მაგრამ დაბა „დადის“ სახელწოდებით რუკაზე არაა დატანილი.

დადისწყლის სათავედ ვახუშტი კავკასს ასახელებს. კავკასი, კავკასეთი იგივე კავკასიონია. მეცნიერის მსჯელობით, დადისწყლის სათავე კავკასიონის მთავარ ქედზე კი არაა, არამედ „გამოდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა“.

ენგურის ქვემო დინებასა და ღალიძგას შორის მდებარე, XVIII ს. I მეოთხედიდან სამურზაყანოდ სახელდებული (ძირითადად გალის მუნიციპალიტეტი) ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის ტოპონიმთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მდინარე „დადისწყლისა“ და დასახლებული პუნქტი „დადის“ სახელწოდებით ამ მხარეში სადღეისოდ არ დასტურდება. ვახუშტის ცნობას კი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სხვა წერილობითი წყაროები ამ ობიექტებს არ ასახელებს.

დადისწყლის სალოკალიზაციოდ მეტად საგულისხმოა ცნობა, რომ წალენჯიხის ეპისკოპოსის სამწყსო ჭანისწყლის ხეობიდან დასავლეთით, დადისწყლამდე ვრცელდებოდა (ვახუშტი IV, 1973: 778). ამასთანავე, ვახუშტი დადისწყალს ბედიის საეპისკოპოსოს საზღვრად მიიჩნევს (იქვე: 780). მაშასადამე, „ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისი“ ტერიტორია წალენჯიხელის მფლობელობაშია, ხოლო „დადისწყალ-მოქვისწყლის შუამდინარეთს ბედიელი ეპისკოპოსი განკარგავს. ამ ორი საეკლესიო ერთეულის გამყოფი საზღვარი სწორედ დადისწყალზე გადიოდა.

ოდიშის ამ ნაწილის ვახუშტისეულ მონაცემს თუკი შევადარებთ თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკების მონაცემებს, აშკარად თვალშისაცემი შემდეგი სურათი გამოიკვეთება: ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული „დადის მდინარე“ ეწოდება მდინარეს ჭანისწყალსა და მოქვისწყალს შორის.

თ. ბერაძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ენგურის დასავლეთით, სამურზაყანოდ სახელდებულ ტერიტორიაზე, მოედინება შედარებით დიდი მდინარეები, შემდეგი თანმიმდევრობით: ერისწყალი, ოქუმი, ღალიძგა და მოქვი. მაგრამ რამდენადაც ვახუშტის წარმოდგენა ოდიშის ამ ნაწილის მდინარეებზე მეტისმეტად ბუნდოვანია, ჩამოთვლილ მდინარეთაგან მას ერთი გამორჩენია (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 63).

დადისწყლის ლოკალიზაციის თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ვახუშტის შემდეგი ცნობა: „ზღვის კიდეზედ, ამ წყლის დასავლითს კიდეზედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი. დასავლით მდინარე მოქვისა, და უძეს სამჩრით ზღვა და ჩდილოთ ველი“ (იქვე: 779-780).

როგორც მოტანილი ამონაწერით ვრწმუნდებით, სახელოვანი მეცნიერი ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მდებარეობას მიუთითებს „ზღვის კიდეზედ“, ეგრისწყალსა და მოქვისწყალს შორის. ილორი, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, სოფელი და თემის ცენტრია ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში. რაიონულ ცენტრს – ოჩამჩირეს დაშორებულია 3 კმ-ით. ილორის თემი აერთიანებს სოფლებს: სუკი, ზენი, ილორგანი, ნაგვალოუ. სოფელი ზღვის პირას, ზ. დ. 10 მ-ზე და ღალიძგის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ამასთანავე, ილორის თემში შემავალი ზენი და სუკიც უშუალოდ ღალიძგის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფლებია.

მაშასადამე, მდინარე, რაც ვახუშტის მიხედვით, ილორთან უერთდება ზღვას, თანამედროვე ღალიძგა, ან კიდევ ანარია//ოხურეიწყარია. ღალიძგის სიგრძე 53 კმ-ია. სათავეს იღებს არ?მ(?)უას//არრ?მუასა და ჩამჭარის კალთებიდან და უერთდება შავ ზღვას ილორსა და ოჩამჩირეს შუა.

თუკი ჩავთვლით, რომ ვახუშტის მიერ მოხსენიებული „ეგრისწყალი“ იგივე ღალიძგაა, მაშინ მეცნიერს ილორის მდებარეობა არასწორად აქვს მოცემული. ილორი, როგორც ზემოთ ვთქვით, ღალიძგის მარცხენა მხარეს მდებარეობს; ვახუშტის მიხედვით კი ილორის ეკლესია ეგრისწყლის „დასავლითს კიდეზედ“, ე.ი. მდინარის მარჯვენა მხარესაა. ამავე მხარეს, ილორის დასავლეთით, ვახუშტის ჩვენებით, – მოქვისწყალი, ხოლო ილორის აღმოსავლეთით ეგრისწყალი მოედინება.

ილორში, როგორც აღვნიშნეთ, ჩამოედინებოდა აგრეთვე მეორე, შედარებით პატარა მდინარე ოხურეი//ოხურ(ეი)წყარი, რაც სათავეს იღებს რეკასა და პატრახუწაში. სიგრძე დაახლ. 24 კმ-ია. მარჯვენა მხრიდან შეერთვის ანარია//ანარიაწყარი და ამის შემდეგ ორივე სახელს ატარებს. ნაგვალოუსა და ილორში მდინარე უფრო მეტად ოხურეიწყარის სახელითაა გავრცელებული.

თუკი ვახუშტის ჩვენებას (რომ ილორს „უდის აღმოსავლით ეგრისი“) ილორის ეკლესიის ახლანდელი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით გავიაზრებთ, მაშინ საფიქრებელია, რომ მეცნიერი ეგრისწყალში სწორედ ანარია//ოხურეიწყარს გულისხმობდა. მაგრამ ამ მოსაზრების სისწორის დაშვების შემთხვევაში არანაკლებ სერიოზული დაბნეულობის ფაქტად მიიჩნეოდა ილორის ეკლესიის დასავლეთით მოქვისწყლის დინების მითითება („ამას უდის... დასავლით მდინარე მოქვისა“), მაშინ, როდესაც გეოგრაფიულადაც და ილორთან სიახლოვის გათვალისწინებით, ღალიძგის დასახელება ვახუშტის მიერ უფრო გამართლებული და უპრიანი იყო, ვიდრე მოქვისწყლისა.

თანამედროვე აფხაზეთის მდინარეთა დინების თანმიმდევრობას და ვახუშტის ცნობებს ერთმანეთს თუ შევუდარებთ, მაშინ „დადის მდინარეში“ ერისწყალი ან ოქუმი უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ეგრისწყალი ანარია-ოხურეიწყარის ან ღალიძგის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ამათგან ენგური სათავეს იღებს უშუალოდ კავკასიონის ქედიდან, დანარჩენი სამი კი – კავკასიონის სისტემაში შემავალი ქედებიდან (მცირე კავკასიონიდან). ვახუშტის მონაცემებით, ოთხივე მდინარე შავ ზღვას ერთვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საუკუნეების მანძილზე ეპარქიის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, ტერიტორიულ მოწყობასა და საზღვრების ჩამოყალიბებას დიდწილად სწორედ გეოგრაფიული თავისებურებები განაპირობებდა.

იგორ კეკელია,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სოფლის გადარჩენა საქართველოს გადარჩენაა

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ!“ – ბრძანებს სულმნათი. „წუთისოფლის შვილები ვართ!..“,„წუთისოფელი ასეა“... ან „სოფელი დიდია!“ – უთქვამს ბრძენ ქართველ კაცს.

ცხადია, აქ „სოფელი“ დასახლებულ კონკრეტულ უბანს, დღევანდელი გაგებით გაშინაარსებულ სოფელს არ გულისხმობს. ის ბრძენი ქართველი, სოფელს რომ იტყოდა, სამყაროს, ქვეყანას, კაცობრიობას გულისხმობდა.

ქართველის გონებაში რატომ შეიძინა ტერმინმა „სოფელი“ ფილოსოფიურად ასე ღრმა შინაარსი, რომლის ანალოგს დედამიწაზე თითქმის არსად ვხვდებით?

მიზეზი ძალიან ღრმაა და ქართული ცხოვრების წესის, სულიერებისა და სახელმწიფოებრიობის საფუძვლებისაგან მომდინარე.

ქართველი არასდროს ყოფილა მომთაბარე, ადგილის დედას ვერ თმობდა და მიწათმოქმედებაში ღვრიდა ოფლს, რის გამოც „მამულმა“ სამშობლოს შინაარსი შეიძინა და ამიტომაც ჩვენი წინაპრები საოცარი თავგანწირვით იცავდნენ ქვეყანასა და მამულს ათასი ჯურის მტრისა და მომხვდურისგან.

დიდი ილიას ეროვნულ ამოძახილში „მამული, ენა, სარწმუნოება“ შემთხვევით არაა პირველად ნათქვამი „მამული“.

მეგობრად და მოყვრად მოსული ყოველი სტუმარი მტერმოჭარბებულ ქართველს ღვთისგან ნაბოძებ მადლად მიაჩნდა და ამბობდა, სტუმარი ღვთისაა. სწორედ ეს სულისკვეთებაა საფუძველი იმ უანალოგო სტუმარ-მასპინძლობისა, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოში.

„დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
მითამც მე ვერ ვუღალატებ,
ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა“. –

საქართველოს მთებიდან მსოფლიოს ომახიანად გასძახოდა დიდი ვაჟა-ფშაველა.

ანდა, როგორ გინდა გააგებინო სხვა ერების წარმომადგენლებს, რაც ხდება მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმში „ღვინის ქურდები“. ელიბომ საკუთარ მარანში რომ შეისწრო ღვინის ქურდები, კი არ სცემა, ან პოლიცია კი არ დაასხა თავს, უზარმაზარი ჯამით ღვინოს ასმევს „ქურდებს“, ადღეგრძელებს მათ, მერე ერთად მღერიან, ცეკვავენ, მეგობრულად ეხვევიან და ეამბორებიან ერთმანეთს.

ქართველი ხალხის ასეთმა მენტალიტეტმა სხვა ერების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მისცა საქართველოში ეპოვათ არა მხოლოდ თავშესაფარი, არამედ მეორე სამშობლოც. საუკუნეების მანძილზე ქართულ მიწაზე უსაფრთხოდ და ღირსეულად გრძნობდნენ თავს ებრაელები, ქურთები, აისორები, სომხები, აზერბაიჯანელები და ბევრი სხვა.

საუკუნეების სიღრმეში რომ არ ჩავიხედოთ, ახლახან, აგერ მეოცე საუკუნეშიც კი ებრაელების მასობრივი ხოცვა-ჟლეტით ან შავკანიანთა დაუნდობელი რასისტული დევნით თავი „ისახელეს“ ევროპისა და ამერიკის კონტინენტების იმ ქვეყნებმა, რომლებიც დღეს ჩვენ „გვასწავლიან“ დემოკრატიასა დ ა ეროვნულ უმცირესობათა დაცვას და ეს მაშინ, როცა იმ ხოცვა-ჟლეტისა და რასისტული დაუნდობლობის დროს საქართველოში ძმებივით ვცხოვრობთ ებრაელები და სხვა მრავალი ერის წარმომადგენლები... ქართველი არც კანის ფერით განსაზღვრავდა ადამიანებისადმი დამოკიდებულებას.

დავფიქრდეთ, იქნებ არც ისაა შემთხვევითი, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად რომაა მიჩნეული.

ქართველმა კარგად, ძალიან კარგად იცოდა, რომ ქვეყნის ძლიერებისა და ერის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი სოფელი, მამული იყო. ცხადია, ყოველი ქართველის ცხოვრებაც და საქმიანობაც ამ თვალსაწიერით განისაზღვრებოდა. გლეხს მოჰყავდა სარჩო-საბადებელი, ჭირნახული; მიწათმოქმედებასთან ერთად ეწეოდა მესაქონლეობას, მეცხვარეობას, სარგებლობდნენ სოფლის საერთო სარგებლობის საძოვრებით, მოშენებული ჰყავდათ ფრინველი, შვილივით უვლიდნენ ვენახს. საერთო სარგებლობის ტყეებში ამზადებდნენ ხის სამშენებლო მასალას, შეშას ზამთრისა და ყოველდღიური მოხმარებისათვის. მიწათმოქმედებაში, ტვირთების გადასაზიდად და სატრანსპორტო საშუალებად იყენებდნენ ცოცხალ გამწევ ძალას. სარგებლობდნენ მდინარეებით, ტბებით და სხვ... დიდი ილიაც ხომ აღნიშნულს ანიჭებდა გადამწყვეტ მნიშვნელობას!

ასე, რომ ქართველი გლეხის მეურნეობრივი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივი პირობებით და შესაძლებლობებით.

მაშასადამე, კომლის არსებობის და საქმიანობის დასაყრდენი იყო სოფელი. სოფლის მოშლა გლეხის ფიზიკური განადგურების ტოლფასი გახლდათ და ამიტომ ის ცალი ხელით გუთანს რომ იყო მოკიდებული და მიწას ხნავდა, მეორეში ხმალი ეჭირა და მამულს იცავდა.

ქართველთა გამრავლების კვალობაზე ჩვენში ახალი სოფლები ჩნდებოდა და ქვეყანა ძლიერდებოდა.

მტერს, რომელსაც სურდა საქართველო აღეგავა პირისაგან მიწისა, პირველ რიგში მუსრავდა სოფელს, აჩეხავდა ვაზს, სრულად და პირწმინდად ანადგურებდა ტყის მასივებს...

ქვეყნის არსებობის შესანარჩუნებლად ქართველს მერე უხდებოდა დანგრეულის აღდგენა, ახალი სოფლების შენება.

ამ ფონზე გულში ჩამწვდომ ღაღადისად ჟღერს ჩვენი წინაპრების სულის ამოძახილი: „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია!“

სოფლების რაოდენობის ზრდა, აუთვისებელი მიწების ათვისება, დასახლება, მოძლიერება და მეურნეობის გამართვა გარდა იმისა, რომ განსაზღვრავდა ქვეყნის ძლიერებას და სიცოცხლისუნარიანობას, აძლიერებდა გადამთიელთაგან ქართული მიწის მიტაცების შესაძლებლობას.

ცხადია, საკამათო არაა, რომ სოფლის მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ყოველთვის არსებითი იყო და მომავალშიც უთუოდ ასე იქნება.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ პლანზე წამოსწია მრეწველობა და ქალაქი. ეს ნაბიჯი დიდი და მრავალმილიონიანი ქვეყნისათვის შეიძლება შედეგიანიც იყოს, მაგრამ პატარა აგრარული ქვეყნისათვის სახიფათოა. საქართველოში ამ პოლიტიკამ დასაბამი დაუდო სოფლების დაცლას – განსაკუთრებით მთაში, თუმცა ეს პროცესი მერე ბარშიც განვითარდა.

ძველ თაობას კარგად ახსოვს ქართული მხატვრული ფილმები „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“,„საბუდარელი ჭაბუკი“ და სხვა, სადაც იყო მოწოდება სოფლიდან ქალაქში ჩამოსვლისა და მრეწველობაში დასაქმებისა, თუმცა ქართველი სცენარისტები და რეჟისორები კარგად გრძნობდნენ ამ ნაბიჯის მცდარობასა და თავად ამავე ფილმებში ახერხებდნენ პროტესტის გახმიანებას. ცხარე კურცხალის გარეშე ძნელია მოისმინო მეთუნე გლეხის სიტყვები, შვილს რომ ეუბნება: „გესმის, გოგიტა?.. მიწა მღერის, ბიჭო, მიწა!“

უკეთესად რა უნდა თქვას კაცმა?!

კომუნისტები გვიან, მაგრამ მაინც მიხვდნენ აღნიშნული ნაბიჯის მცდარობას და მიუბრუნდნენ კიდევაც სოფელს (გაიხსენეთ კინოფილმები „გაზაფხული საკენში“, „ჭრიჭინა“, „თუში მეცხვარე“, „თეთრი ქარავანი“ და ბევრი სხვა), რამაც საქმე სასიკეთოდ შემოაბრუნა – ბევრი სოფელი გადაურჩა დაცლას და გაპარტახებას, აღდგა ნასოფლარები, მთასა და ბარში გაჩნდა ახალი დასახლებები. ადგილებზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის გადამამუშავებელი საამქროები, დამზადების პუნქტები, აღორძინდა მეცხვარეობა, მესაქონლეობა, გაშენდა ჩაის პლანტაციები, აიგო ჩაის ფაბრიკები, გაიხსნა სკოლები, ბიბლიოთეკები, სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა...

ქართული სოფლის მნიშვნელობაზე როცა ვლაპარაკობ, არ მინდა დარჩეს შთაბეჭდილება, არ მესმოდეს ან შეგნებულად ვაკნინებდე მრეწველობის როლს, მაგრამ დიდი და მრავალმილიონიანი ქვეყნისათვის შიგა ბაზარი შეიძლება საკმარისი იყოს წარმოებული სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და კვლავწარმოებისათვის, რაც საშუალებას იძლევა მრეწველობის განვითარებისათვის. ეს კი პატარა ქვეყნისათვის გაძნელდება, შეიძლება საერთოდაც ვერ განხორციელდეს!

საკმარისია, გავიხსენოთ ჭუთაისში არსებული სამრეწველო გიგანტები: საავტომობილო, სატრაქტორო, ლითოფონის ქარხნები, აბრეშუმის კომბინატი, მაუდის ფაბრიკა და მრავალი სხვა. ამ საწარმოთა პროდუქციას წარმატებით ვასაღებდით იმ უზარმაზარი ქვეყნის ბაზარზე, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, მაგრამ როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენი პატარა ქვეყნისათვის დაიკარგა ბაზარი, მოისპო წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობა, აღნიშნული გიგანტები ქვეყნის მძიმე ხუნდებად იქცნენ, რის გამოც ისინი სხვა ბევრ საწარმოსთან ერთად დაშალეს, უმოწყალოდ, უთავბოლოდ და უაზროდ გაანადგურეს, რაც საქართველოსათვის მძიმე დარტყმა იყო.

დაიშალა საბჭოთა კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა. მანამდე საქართველო ვერ გრძნობდა ჩვენთან რომელიმე ენერგეტიკული ობიექტის ავარიულ შეჩერებას, იმდენად მძლავრი იყო საბჭოთა კავშირის ენერგოსისტემის საბაზისო ენერგეტიკული დონე. ხოლო პატარა საქართველოში, რომელიც ჩამოსცილდა ერთიან საკავშირო ენერგეტიკულ სისტემას, მდგრადობის შენარჩუნება ფრიად გაძნელდა საბაზისო სიმძლავრის არ არსებობის გამო და რომელიმე ენერგეტიკული ობიექტის სისტემიდან ამოვარდნა იწვევდა ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის მდგრადობის ავარიულ დაკარგვას.

ჯერ-ჯერობით ნაადრევია და შეიძლება უაზრობაც იყოს ჩვენში დღესვე დიდ სამრეწველო საწარმოთა შექმნაზე ფიქრი. მიუხედავად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა, ჩვენი პროდუქცია დიდხანს, კიდევ ძალიან დიდხანს ვერ გაუძლებს კონკურენციას და არც გასაღების სათანადო ბაზარი გვექნება...ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს გადარჩენა ქართული სოფლების აღორძინებით დავიწყოთ!

ამ ეროვნულ საქმეს კი სჭირდება ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობა როგორც ჩრდილოეთის, ისე დასავლეთის, სამხრეთისა თუ აღმოსავლეთისაგან...

სჭირდება ეროვნული ხელისუფლება!

აღნიშნულიდან ლოგიკურია უთუოდ, რომ ახლავე, გადაუდებლად და უპირველეს ყოვლისა ჩვენი გამუდმებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს ქართული სოფელი – ქართული სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველი. სოფლის გაძლიერებას, ნასოფლარების აღდგენას, ახალი საცხოვრებელი ადგილების ათვისებას შედეგად მოჰყვება მრეწველობის, თავდაპირველად უპირატესად გადამამუშავებელი მრეწველობის რეანიმაცია და გაძლიერება, საქართველოს ყველა კუთხის აღორძინება, დასახლება; ახალი სავარგულების ათვისება, სოფლად და ქალაქად ადამიანთა სოციალური პირობების გაუმჯობესება, ეროვნული აღორძინების დიდ გზაზე გასვლა. ეს ყველაფერი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შექმნის მომავალში მრეწველობის ეტაპობრივი განვითარების საფუძვლებსაც და საჭიროებასაც.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართულ სოფელს ყურადღება არ ღირსებია, რამაც ეროვნულ ტრაგედიად აქცია ცხოვრება მთაშიც და ბარშიც – დაიცალა მოსახლეობისაგან, გაუქმდა სკოლები, ბიბლიოთეკები, საგანმანათლებლო-კულტურული დაწესებულებები, სამედიცინო პუნქტები, აფთიაქები, არ არის ექიმი, განადგურდა მეურნეობა... თუ ვინმე ჩარჩა სოფელში, სოციალურად დაუცველნი გახდნენ.

გაჩნდა უამრავი ნასოფლარი!..

სარეველამ, უაღრესად საშიშმა ამბროზიამ გადაუარა ნასახლარებს, სავარგულებს!.. გაუდაბურდა სავარგულები!

ამას დაემატა სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად გაუმართლებელი, დანაშაულის ხარისხამდე აყვანილი დაუსაბუთებელი გაყიდვა სახნავ-სათესი თუ არასასოფლო-სამეურნეო მიწებისა, ტყის მასივებისა, მდინარეებისა, ტბებისა, წყალსაცავისა, სტრატეგიული ობიექტებისა და სხვა, თანაც უცხოელებზე.

სოფელს, სადაც ვინმე შერჩა, მოესპო არსებობის სახსარი. დაიკარგა საძოვრები და გლეხი ვერ ახერხებს პირუტყვის მოშენებას, ვერ ინარჩუნებს გამწევ ცოცხალ ძალას, რის გამოც ვერ ამუშავებს ერთ მტკაველ საკუთარ მიწას და იძულებულია ისიც გაყიდოს, ვერ მოჰყავს მოსავალი, ოჯახი რომ არჩინოს, ტყიდან ვერ მოაქვს შეშა, საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო ხის მასალაც, ზამთარში ვერ ახერხებს გათბობას, მოკლებულია სამედიცინო დახმარებას, ხელი არ მიუწვდება შეიძინოს მედიკამენტები, ვერ ახერხებს ბავშვი შეიყვანოს სკოლაში.

გაუსაძლისი გახდა ცხოვრება!

დღეს კატასტროფული ტემპით მიდის უნიკალური რეგიონების სრული გაუკაცრიელება!..

მიწის მოსახნავად თანხების დარიგება ათასობით დაცლილ სოფელს ვერ განაახლებს...

არადა, ჯერ-ჯერობით ხელისუფლებაც ვერ ახერხებს, შეიმუშავოს ამ ტრაგედიის დაძლევის და ქვეყნის გადარჩენის ოპტიმალური პროგრამა.

პირიქით, საკმაოდ ინტენსიურად ხდება გაუმართლებელი ოდენობით და ვადით უცხოელებზე მიწის გაუაზრებელი გასხვისება, რითაც გამოუსწორებელ დარტყმას ვაყენებთ ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას.

ქვეყანა რეალური საფრთხის წინაშე დგას!

დღეს აფხაზეთი და ოსეთი მოწყვეტილია ჩვენგან. ასი წელიც რომ გავიდეს, საქართველოს ყოველთვის ექნება იურიდიული ძალის მქონე უფლება, მსოფლიოს საზოგადოებას თხოვოს მხარდაჭერა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ჩვენი ნებით ფულზე გაცემულ-გაყიდული ტერიტორიების დაბრუნების იურიდიულად სამართლიანი უფლება არასდროს გვექნება...

ასე, რომ გაუაზრებელმა, ეგრერთწოდებულმა „ინვესტიციამ“ წარყვნა ქვეყნის ეკონომიკა და საფრთხე შეუქმნა ქართულ სახელმწიფოებრიობას.

თუ ღმერთმა ინება და ისეთ ხელისუფლებას ვეღირსეთ, რომელსაც ოპტიმალური სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი ექნება, ქვეყნის გადასარჩენად უნდა გადაიდგას რისკიანი და გადამწყვეტი ნაბიჯები:

– არამც და არამც არ უნდა მოვექცეთ რომელიმე ქვეყნის ყოველმხრივი გავლენის ქვეშ, რადგან მათ თავიანთი ეროვნული ინტერესები აქვთ, ჩვენ კი ჩვენი ეროვნული მიზნები უნდა გვამოძრავებდეს.

– მკაცრად უნდა დავიცვათ ეროვნული ბაზარი განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტების შემოტანისაგან, რომელიც ჩვენში იწარმოება და უვნებლობითაც გამორჩეულია.

– აუცილებელია, დაუყოვნებლივ და უპირობოდ შეწყდეს უცხოელებზე მიწის მუდმივ მფლობელობაში მიყიდვა და გავუძლოთ ამ ნაბიჯის გამო შინაურ და გარეშე დემაგოგთა და პროვოკატორთა შემოტევებს.

– საჭირო დაუყოვნებლივ და უკლებლივ აღიწეროს საქართველოს ყველა სოფელი და ნასოფლარი. განისაზღვროს კომლთა სამომავლო საორიენტაციო რაოდენობა, რომელიც შეიძლება პერსპექტივაში ამ უბნებში დასახლდეს.

– კომლთა და მცხოვრებთა საორიენტაციო რაოდენობის მიხედვით სპეციალისტებმა განსაზღვრონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთების, საერთო სარგებლობის საძოვრების და ტყის ფართობების სიდიდე. სოფლის არსებობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ეს ტერიტორია დადგინდეს სოფლის საკუთრებად, მკაცრად დადგინდეს სოფლის საზღვრები აღნიშნული ტერიტორიების გათვალისწინებით, რომელიც სოფლის ხელუხლებელ საკუთრებად უნდა დაკანონდეს.

– დაიგეგმოს და დაფინანსდეს სოფელში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და მეცხველეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საამქროებისა და ქარხნების მშენებლობა. გადაიჭრას მელიორაციის პრობლემები და ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქართველოს სასოფლო სამეურნეო აკადემიის წევრის, პროფესორ ბორის ჩიკვაშვილის დაწვიმებისა და წვეთოვანი მორწყვის მეთოდს, რომელიც პირველად საქართველოში გამოიცადა, მაგრამ შემდგომ მივიწყეს, დღეს კი წარმატებით გამოიყენება ისრაელში, სადაც წელიწადში სამ მოსავალს იღებენ.

– მოწესრიგდეს სოფელში წარმოებული ჭარბი პროდუქციის ქალაქისათვის მიწოდების ორგანიზაცია.

– სოფელში მცხოვრებთა საორიენტაციო რაოდენობის მიხედვით დაიგეგმოს სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, სამედიცინო მომსახურების ობიექტების, აფთიაქების, საყოფაცხოვრეო თუ დამზადების პუნქტების მშენებლობა.

– ყველა სოფელს დაუდგინდეს ბიუჯეტი და მიეცეს მისი გამოყენების რეალური უფლება.

– სოფლის საორიენტაციო და ხელშეუხებელ საზღვრებს გარეთ დარჩენილი მიწის ნაკვეთები, თანაც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა, დროებით, გონივრული ვადებით და ოდენობით შეიძლება იჯარით გაიცეს უცხოელებზე. ამ ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება იჯარის ვადა გაგრძელდეს, ან მიწის ნაკვეთი დაუბრუნდეს სახელმწიფოს.

– გლეხის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოწესრიგდეს გლეხური მეურნეობის დაბეგვრის საკითხებიც.

– სახელმწიფომ უზრუნველყოს ფერმერთა მოთხოვნა ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე, სპეციალისტებზე, საინფორმაციო საშუალებებზე.

გადავარჩენთ ქართულ სოფელს?

თუ შევძლებთ და გადავარჩენთ, ამით გადავარჩენთ საქართველოს!

ბენია თხილავა,
მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კავშირ „ინტელექტის“ პრეზიდენტი, საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

რისი თქმა სურდა სალვადორ დალის?

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

“გაზომა მისი გალავანი, და გამოვიდა ას ორმოცდაოთხი წყრთა, კაცის საზომით, ანუ იგივე საზომით ანგელოზისა. თვით გალავანი იასპით იყო ნაგები, ქალაქი კი წმიდა მინის მსგავსი ბაჯაღლო ოქროთი. ქალაქის გალავნის საძირკვლები ნაირგვარი ძვირფასი ქვით იყო შემკული: პირველი საძირკველი – იასპით, მეორე – საფირონით, მესამე – ქალკედონით, მეოთხე – ზურმუხტით, მეხუთე – სარდონიკით, მეექვსე – სარდიონით, მეშვიდე – ქრისოლითით, მერვე – ბივრილით, მეცხრე – ტოპაზით, მეათე – ქრისოპრასით, მეთერთმეტე – იაკინთით, მეთორმეტე – ამეთვისტოთი. თორმეტი ბჭე თორმეტი მარგალიტი იყო, თვითეული ბჭე თითო მარგალიტია, ქალაქის მოედანი კი – ბაჯაღლო ოქრო, ჭვირვალე მინის მსგავსი. ტაძარი კი ვერ ვიხილე მასში, რადგანაც მისი ტაძარი ყოვლისმპყრობელი ღმერთია და კრავი. ქალაქს არც მზე სჭირდება მანათობლად და არც მთვარე, რადგანაც ღვთის დიდებამ გაანათა იგი, ხოლო მისი სანთელი არის კრავი. ხალხები ივლიან მის ნათელში და მიწიერი მეფენი თავიანთ დიდებასა და პატივს შეიტანენ მასში. მისი ბჭენი არ დაიხშვიან დღისით, ღამე კი არასოდეს იქნება იქ და მიიტანენ მასში ხალხთა დიდებასა და პატივს. ვერ შევა მასში ვერავითარი უწმინდური, ვერცერთი ცრუ და ბილწი, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც ჩაწერილია კრავის სიცოცხლის წიგნში.

მცხეთა ახალი იერუსალიმია და არა მეორე იერუსალიმი როგორც ამას ზოგიერთები გვიკიჟინებენ...”

ვუმოწმებ ყველას, ვინც ისმენს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს: თუ ვინმე რამეს დაურთავს მათ, ღმერთი დაურთავს მას წყლულებს, რომლებიც წერია ამ წიგნში. ხოლო თუ ვინმე რამეს მოაკლებს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს, ღმერთი მოაკლებს მას წილს სიცოცხლის ხიდან, წმიდა ქალაქიდან და იქიდან, რაც ჩაწერილია ამ წიგნში.

ადამიანის თავის ჩრდილი, რომელიც კვერცხიდან იბადება, წარმოდგენილია გვირგვინის სახით, სამეფო (მეფური), სამხედრო მუზარადის (ჩაფხუტის) სახით, რაც ნიშნავს: ჩრდილი – ეს არის ილუზია იმისა, რომ **„ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებლებს სურთ შემოგვაპარონ მსოფლიოს უკანონო მეფე. წმინდა მამა ნეტარი იოანე მაქსიმოვიჩი საშინელსამსჯავროზე საუბრისას განმარტავს: „ამ ქვეყნად ანტიქრისტეს მოსვლამდე, უკვე მზადდება ნიადაგი მის გამოსაჩენად, „საიდუმლო უკვე მოქმედებაშია” და ძალები, რომლებიც ამზადებენ მის გამოჩენას უპირველეს ყოვლისა იბრძვიან მეფის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. წმინდა მოციქული ამბობს, რომ ანტიქრისტე ვერ მოგვევლინება, სანამ არ იქნება ჩამოშორებული შემაკავებელი” – კანონიერი, კეთილსინდისიერი ხელისუფლება. ასეთი ხელისუფლება ებრძვის ბოროტებას. ამ ქვეყანაზე მოქმედ „საიდუმლოს” არ უნდა, რომ ხელისუფლება კანონით იბრძოდეს ბოროტების წინააღმდეგ. რამედ სურს ხელისუფლების უკანონობა”.**

ანტიქრისტე მოდის ომით და მის მოსვლას თან ახლავს სისხლიანი მდინარეები, რაზეც მიანიშნებს სისხლი სურათზე, რომელიც კვერცხიდან გადმოდის თეთრ გადასაფარებელზე, თეთრი გადასაფარებელი ნიშნავს ევრო-ამერიკულ დემოკრატიას, რომელზედაც დევს კვერცხი საიდანაც იჩეკება **„ახალი მსოფლიო წესრიგის”** მეფე. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლი, რომელიც მოედინება მთელ მსოფლიოში, ეს არის ომების გაჩაღება-სახელმწიფოთა შორის, რელიგიებს შორის, ერებს შორის, ნათესავთა შორის, ზნეობათა შორის – ეს არის შედეგი **„ახალი მსოფლიო წესრიგის”** მოკავშირეთა მიერ პროვოცირებული ჩარევისა, რომლებიც მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე არ იღებენ პასუხისმგებლობას. სურათზე ეს აღნიშნულია სისხლით დაუსვრელი გადასაფარებლით.

ღვთის და ადამიანის ძე, მზე სიმართლისა, სამყაროს მეფე დაიბადა ბაგაში მწყებსებთან, ანგელოზების გალობის თანხლებით:

”შობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ, რომელნი ვარსკულავსა მსახურებენ, ვარსკულავისაგან ისწავეს თაყვანის-ცემაი შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავალთად, უფალო დიდება შენდა”.

სურათზე ჩანს, რომ ამომავალი მზე აღმოსავლეთში ანათებს, მაგრამ ჩრდილს დასავლეთისკენ არ იძლევა და პირიქით: კვერცხზე კონცენტრირებული კაშკაშა სინათლე ირგვლივ ანათებს დასავლეთიდან და მისგან გამოდის ჩრდილი აღმოსავლეთისაკენ. ეს ნიშნავს, რომ **„ახალი მსოფლიო წესრიგის”** მშენებლები არიან ცრუმოციქულები – დემოკრატიის მამები, რომლებიც ქადაგებენ სიყვარულის გარეშე – თავისუფლებას, ძმობას და თანასწორობას, დემოკრატიის სახელით ანადგურებენ ყველას ვინც წინ აღუდგებათ და არ დაემორჩილებიან მათ. არ აძლევენ ადამიანებს თავისუფალ არჩევანს, ამიტომ ახალ მსოფლიო წესრიგში არ დარჩა ადგილი და ფუნქცია ქრისტე-მხსნელისა, რომელიც სიყვარულს ქადაგებს და სურათზე ეს ასახულია ეგრეთწოდებული ბავშვის მარჯვენა ფეხის უკანა ნაწილში ჩახატული მაცხოვრის სახით, როგორც წარსულის გადმონაშთი. მათ არ მიიღეს ქრისტე, სამაგიეროდ მიიღებენ ანტიქრისტეს, როგორც თვით ქრისტემ გვიწინასწარმეტყველა: **„მე მოვედი სახელითა მამისა ჩემისათა და არ შემიწყნარეთ უკეთუ სახვაი მოვიდეს სახელითა თვისითა, იგი შეიწყნაროთ”** (იოანე 5,43). ეს სხვაი არის ანტიქრისტე, ეგრეთწოდებული ახალი ადამიანი, სამი ექვსიანით დადაღული (666), რომელიც კვერცხიდან გადმოდის – იჩეკება. აი, ასე გვაფრთხილებს სალვადორ დალი, რომ ეს ადამიანი არის ანტიქრისტე. **„ვისაც ყური აქვს ისმინოს თუ რას ეუბნება ღვთის სული ეკლესიას, და იმან, ვისაც თვალი აქვს, დაინახოს!”** (აპოკალიფსი). სურათზე კარგად ჩანს, რომ ის ნაწილი რომელიც კვერცხიდან ჩანს ქმნის ექვსიანს, მეორე ექვსიანი (6) ხელის ჩრდილია, მესამე ექვსიანი (6) – ტანი. წმინდა მამების წინასწარმეტყველებით ანტიქრისტე იქნება ცაცია (მემარცხენე), და ეს ახალი ადამიანი კვერცხიდან გადმოდის მარცხენა ხელით. გეოპოლიტიკური წესრიგისთვის, ახალი მსოფლიო წესრიგისთვის, ახალი ადამიანისათვის წინააღმდეგობას წარმოადგენს კავკასია. კავკასიაში არის საკრალური სიბრძნე, ცოდნა, მორალი, ზნეობა ანუ ის რასაც **“თავის დროზე არგონავტები ეძებდნენ”.**

მხოლოდ კავკასიურ რასაში აღწევს სული აბსოლუტურ იდენტურობას საკუთარ თავთან, შეიმეცნებს მას თავის აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში, აღწევს თვითგამორკვევას, საკუთარი არსის განვითარებას და ამით შობს მსოფლიო ისტორიას. **”მსოფლიო ისტორიის პროგრესი იწყება კავკასიური რასის გზიდან”.** ფრ. ჰეგელი (ვილჰემ ფრიდრიხ გიორგ ჰეგელი).

გასული საუკუნის 70–იან წლებში ქ.ზაგორსკის სამონასტრო კომპლექსში დავესწარით კვირის, დილის წირვას. იმდროინდელი აკრძალვების პერიოდში აღფრთოვანებულები ვუყურებდით იქ მოქმედ ეკლესიებს და თანაც ქართულად ვლაპარაკობდით. ორი საეკლესიო მსახური მოგვიახლოვდა და როცა გაიგეს რომ საქართველოდან ვიყავით გახარებულებმა გვითხრეს – ბედნიერი ქვეყნის შვილები ხართ, არსებობს წმინდა წიგნი, სადაც წერია, რომ კავკასიის მთებში მყოფმა პატარა, ქრისტიანულმა, მარლთმადიდებულმა ქვეყანამ თავისი თავიც უნდა გადაირჩინოს და დანარჩენი მთელი კაცობრიობაც უნდა იხსნასო. კავკასიაში საქართველოს გარდა სხვა ასეთი ქვეყანა არ არსებობსო. საქართველო ყველაზე მეტად შეინახავს ქრისტიანულ რწმენას და ზნეობას და აუცილებლად გაბრწყინდებაო, მანამდე კი თქვენ უდიდესი განსაცდელი და უბედურება დაგატყდებათ თავს და ორი მესამედი დაიღუპებაო. ჩვენ შეშინებულებმა ვიკითხეთ: ომი იქნება? მათ თქვეს, რომ ომში სიკვდილს არ ვგულისხმობთ, რადგან უფლისთვის მხოლოდ ის კვდება, ვინც სულიერად დაიღუპებაო და გეენიაში მოხვდებაო.

იმდროინდელი რელიგიური გაუნათლებლობის გამო ბევრს ვერ მივხვდით, მაგრამ დასახელებული რიცხვის სიდიდემ მაინც ძალიან შეგვაშფოთა. მათ გვითხრეს, ერთი მესამედი გადარჩებით და ეს ძალიან ბევრია, რადგან სოდომისა და გომორის დასაღუპავად, რომ მოვიდა, რომ იქ ერთი მართალი კაციც ვერ იპოვა უფალმა, საქართველოში კი ერთ მესამედს შეიწყალებს ღმერთი.

მოვა დრო და თითქმის მთელი მსოფლიო აღსდგება თქვენს დასაღუპავად, მაგრამ ერთი მესამედი ამ შემოტევას გაუძლებსა სხვებსაც იხსნის სულის დაღუპვისაგანო.

იმ დროს ჩვენც საქართველოში ჩამოვალთ, რადგან გადარჩენაც იმ მიწაზე იქნებაო.

მათ კიდევ ბევრი რამ გვითხრეს, მაგრამ ჩვენ იქიდან ვერც ვერაფერი გავიგეთ და დავიმახსოვრეთ. უფალი იყოს მართლაც ჩვენი შემწე და მფარველი.

ნათელა გოგეგაშვილი, თსუ ასოცირებული პროფესორი, 2010 წელი მაისი.

კავკასიაში აქტიური პოზიცია უჭირავს საქართველოს – ივერიას. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს იოანე-ზოსიმეს **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი”,** რომლის მიხედვით მეორედ მოსვლის ჟამს, იბერიულმა კავკასიამ უნდა ამხილოს, განსაჯოს კაცობრიობა ქართული ენით. იგივეა ნაწინასწარმეტყველები იოანეს აპოკალიპსში (მიმართვა ფილადელფიის ეკლესიისადმი 3.7)

იოანე ზოსიმე: ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ.

”დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამი და მართაი. და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს, და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაწარმეტყველმან, რამეთუ: წელი ათასი ვითარცა ერთი დღეი. და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისსა წილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოველად ოთხ ათასსა მარაგსა. და ესე არს ოთხი დღეი და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მისისაითა. და ესე ენაი, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა. და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეის სხუათა ენათა ქრისტეის მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე. და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ, ასი ესე წელი ანბანისაი.”

ზვიად გამსახურდია **“საქართველოს სულიერი მისიაში“** განმარტავს:

ლაზარეს აღდგინება იოანე-ზოსიმესთან ნიშნავს აღდგინებას ქართველი ერისას, ქართველური მოდგმისას იმ განფენილობით, როგორც ის იყო წარმოდგენილი პრეისტორიულ ხანაში, ანუ ლაზარეს დაძინებამდე, ანუ მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში ეს მოდგმა შემცირდა, განადგურდა ინდოევროპელების მიერ და დარჩა მხოლოდ პირინეებზე, მცირე აზიაში, კავკასიაში. ხოლო აღდგომა იქნება ისევ აღორძინება ამ მოდგმისა, ისევ იმავე პოზიციას დაიბრუნებს ეს მოდგმა და ეს ერი, რომელიც მას გააჩნდა პრეისტორიულ ხანაში, ე. ი. წამყვანი მოდგმის პოზიციას, კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას. აი, ეს იგულისხმება სწორედ იმაში, რომ მეორედ მოსვლის დროს ღმერთმან უნდა ამხილოს ყველა ენასა ამით ენითაო, როგორც ამბობს იოანე-ზოსიმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მოდგმა იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელს დანარჩენ ცოდვილ კაცობრიობას.

პირველი დაბადება ქრისტესი განხორციალდა იქ სადაც ყველაზე მეტად უჭირდა კაცობრიობას. მეორედ ქრისტე კი არ დაიბადება, არამედ მოვა და მოვა იქ სადაც ყველაზე მეტად იქნება მისი სიტყვა დაცული (იქნება მეორედ მოსვლა). ის კი ვინც ამ ნახატზე კვერცხიდან იბადება ნამდვილად ანტიქრისტეა (ერთ დინებაში ორჯერ ვერ შეხვალ). ახალი ადამიანი აშშ-დან გამოდის, სადაც ადამიანს ეროვნება არ გააჩნია. კავკასია კერძოდ საქართველო არის ერთმხრივ თეთრი რასის პირველი სამშობლო, მისი კანონმემკვიდრე კი ქართველი ერი, მეორე მხრივ აფროევრაზიის გეოპოლიტიკური ცენტრი. აი ვინ უწევს წინააღმდეგობას ანტიქრისტეს დაბადებას. რაც ზვიად გამსახურდიამ იოანე ზოსიმეს ქებაი და დიდებაის ამოხსნით „სულიერ მისიაში” განგვიცხადა.

ევროპის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ე.წ. ეგსტორფის რუკაზე მხოლოდ გეოგრაფიული რეალიები როდია დატანილი, არამედ მითები, ლეგენდები, წმინდა გარდამოცემანი. რუკაზე საქართველოცაა გამოხატული როგორც **“ანტიქრისტეს ჩამკეტი”.**

სურათის ქვედა ნაწილში აფრიკის კონტინენტზე მოსჩანს ცალთვალა მამაკაცი – აფროამერიკელი, აგრეთვე ჩანს რომ კონტინენტის ზემო ნაწილიდან ქვემოთ მოედინება ცრემლი, რისი ახსნაც ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ჩვენ მივესალმებით ნებისმიერი ახსნის მცდელობას, კრიტიკას, ფაქტებით დასაბუთებულ მოსაზრებებს თქვენს მხრიდან. სურათზე აგრეთვე არის კიდევ ბევრი აუხსნელი ფაქტი, ჩვენ ვეცადეთ აღგვწერა ის რაც სალვადორ დალის სურდა ჩვენთვის გადმოეცა ამ ნახატით.

ამ ნახატის მიმართ გამოთქმულია ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ. გაგაცნობთ რამოდენიმე ჩემთვის მისაღებ მოსაზრებას რომელიც განთავსებულია ინტერნეტში.

მერაბ გეგია – საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ასე აღწერს სალვადორ დალის ამ სურათს:

ჰერმაფროდიტის სახეზე ნაღველია აღბეჭდილი. მისი პოზა გამოხატავს სევდას ტრაგედიის გარდაუვალობის გამო. მართლაც ახალი ადამიანი აშკარად გიგანტია და რა გასაკვირია, რომ მის დაბადებას დედამიწის ნგრევა მოჰყვეს. ამას გვაფიქრებინებს, აგრეთვე, **“ახალი ადამიანის”** მძლავრი, კლანჭის მსგავსი ხელის მტევანი, რომლითაც იგი ებღაუჭება პლანეტას, თითქოსდა მისი ჩაბღუჯვით ცდილობს, თავი დააღწიოს გალია ნაჭუჭს. თავად გეოპოლიტიკოსის ხატთან მიმართებაში იბადება რამდენიმე კითხვა: რატომ აირჩია სალვადორ დალიმ დამკვირვებლად მაინცდამაინც ჰერმაფროდიტი? რატომ უწოდა მას გეოპოლიტიკოსი და არა ვთქვათ, უბრალოდ პოლიტიკოსი ან ისტორიკოსი? მეორე კითხვაზე პასუხი შედარებით მარტივია, გეოგრაფიულ ცვლილებს, პოლიტიკური მოჰყვება. ამ აზრობრივ კონტექსტს გეოპოლიტიკოსი შეეფერება. ჰერმაფროდიტის ფიგურა ასეთი მარტივ ახსნას არ ემორჩილება. და მაინც რა ასოციაციებს აღძრავს იგი? გეოპოლიტიკოსი გაორებულია არამარტო სქესობრივად, არამედ რასიულადაც. აშკარაა, რომ იგი ევროპიდის და ნეგროიდის ნაჯვარია, რაზეც ნათლად მეტყველებს მუქი კანის ფერიც და ხუჭუჭა თმაც, შერწყმული ევროპულ თავის ქალასთან და სახის ნაკვთებთან. გეოპოლიტიკოსის სასქესო ორგანოზე ლედვის ფოთოლია აფარებული, აშკარად მხოლოდ ერთი განზრახვით, დაფაროს, არა იმდენად ეს ორგანო, არამედ გეოპოლიტიკოსის სქესი. ასევე ქალურია გეოპოლიტიკოსის პლასტიკა. ტანის ნაზი მოძრაობის დინამიკა და განსაკუთრებით კი ფეხის მდებარეობა (რომელიც საბალეტო პასაჟს მოგვაგონებს) ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გეოპოლიტიკოსს მამაკაცისთვის შეუფერებლად გრძელი ტორსი აქვს. დალის ამ ნამუშევარს უთუოდ აქვს ეზოთერული ქვეტექსტიც.

ალექსეი ზლიგოსტევი კი შემდეგნაირად აღწერს სალვადორ დალის სურათს: **„სურათის დასახელება წააგავს პაროდიას მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ოპტიმისტურ წინასწარმეტყველებას „ახალი მსოფლიოს” შესახებ, რომელიც წარმოიქმნა ფაშიზმის დამარცხების შემდეგ. გეოპოლიტიკა მოდური მეცნიერება იყო ოცდაათიან წლებში, რომელიც იკვლევდა გეოგრაფიული ფაქტორების გავლენას სახელმწიფოების ბედზე, და განსაკუთრებით მათ ადგილმდებარეობას კონტინენტალურ სივრცეში. ბავშვის არსებობა, რომელიც თვალყურს ადევნებს მოზრდილი ადამიანის დაბადებას, აზრს უკარგავს თეორიას და აძლიერებს მაყურებლის სკეპტიციზმს. ახალი ადამიანი წიწილის მსგავსად იჩეკება დედამიწს სფეროდან, რომელიც უფრო რბილ გარს წააგავს და არა კვერცხის ნაჭუჭს. კონტინენტებიც კი მომბალია და მზად არიან ჩამოირეცხონ სურათიდან; დასავლეთ აფრიკა გამოყოფს უცნაურ წვეთს, შაფარის ნებისმიერი კიდეებიდან. ქალის ფიგურა (ჰერმოფროდიტი), რომელიც მიუთითებს გათამაშებულ მოვლენებზე, იმავდროულად დაკუნთულიცაა და დაუძლურებულიც, რომელიც ნახატს აძლევს მუქარის ხასიათს”.**

ბესო (ბესარიონ) მიქაძა,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის
თავმჯდომარე

წმინდა სერაფიმე საროველის სამშობლოდან – კურსკის ოლქის ჟელეზნოგორსკის ეპარქიიდან, არქიეპისკოპოსის თანაშემწე იური შიშკოვის ხელმძღვანელობით, საქართველოში ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის – “მოალერსეს” ერთ-ერთი ასლი ჩამოაბრძანეს.

მცირე დელეგაცია რუსეთიდან ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტ სერაფიმეს მოწვევით ჩამოვიდა. – პირველ რიგში, ისიც სერაფიმეა და მის ეპარქიაში კი წმინდა სერაფიმე საროველის მონასტერი არსებობს, მე კი მონათვლის შემდეგ გიორგი მიწოდეს და მართლაც, სხვა რა უნდა ერქვას ადამიანს, ვინც საქართველოში ღვთისმშობლის ხატს ჩამოაბრძანებსო, – ღიმილით მითხრა იური შიშკოვმა. – ღვთისმშობელი ყოველთვის წმინდანებთან ერთად მოგზაურობს და ამჯერად მასთან ერთად ჩამოვაბრძანეთ წმინდა გიორგი ძლევაშემოსილის პატარა ხატიც, მისი სიწმინდითო.

რამდენიმე დღის განმავლობაში სასწაულმოქმედი ხატი ვერაზე, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში იყო დაბრძანებული და მის მოსალოცად ყოველდღიურად უამრავი ადამიანი მოდიოდა. მეც სწორედ იქ მოვილოცე ხატი, რომელმაც იქვე ხილული სასწაულმოქმედი ძალა გვიჩვენა: შიგადაშიგ ნათდებოდა და გაოგნებულს გვტოვებდა ტაძარში მყოფთ.

ᲘᲣᲠᲘ ᲨᲘᲨᲙᲝᲕᲘ:

– ეს წმინდა მამა სერაფიმე საროველის უსაყვარლესი ხატია, “მოალერსე” ჰქვია. წმინდა მამა სერაფიმე ღვთისმშობლის წილხვედრი ბოლო – მეოთხე ადგილის – დივეევოს დედათა სავანის დამაარსებელი გახლავთ. მსოფლიოში ღვთისმშობლის წილხვედრი ოთხი ადგილია: ერთი ქვეყანა – ივერია (საქართველო), ათონის მთა – საბერძნეთში, კიევ-პეჩორის ლავრა – უკრაინაში და დივეევო – რუსეთში. 1930-იან წლებში დივეევოს მონასტერი დაანგრიეს, თუმცა მონაზვნებმა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი გადაარჩინეს და მონაცვლეობით ინახავდნენ. როდესაც მისი უკანასკნელი მცველი გარდაიცვალა, ხატი რუსეთის პატრიარქ ალექსანდრეს გადასცეს. ამ უკანასკნელმა თავისთან დაიტოვა და მას შემდეგ, როგორც უდიდესი სიწმინდე, რუსეთის საპატრიარქოს კარის ეკლესიაში ინახება. ჩვენ მიერ ჩამობრძანებული ხატი სწორედ იმ ხატის ერთ-ერთი ასლია. იგი 16 წლის წინ რუსეთის ბრიანსკის ოლქის სოფელ ლოკოტში, ერთ ღვთისმოსავ ოჯახში აღმოაჩინეს. სხვათა შორის, ეს ადგილი გახლავთ რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ მეორის უმცროსი ძმისა და დიდი მთავრის – მიხეილ რომანოვის ყოფილი მამული.

ამ კონკრეტული ხატის ისტორია ასეთია: 16 წლის წინ, ლოკოტის მცხოვრებმა ერთმა ქალბატონმა სოფლის მაღაზიაში ღვთისმშობლის გამოსახულებით ვადაგასული კალენდარი შეიძინა. გამყიდველი მას გადაგდებას უპირებდა და ღვთისმშობელი რომ არ წაებილწათ, ღვთისმოსავმა ქალბატონმა გამოსახულება ამოჭრა და შინ, კედელზე ჩვეულებრივი საკანცელარიო სკოჩით მიაკრა. რაღაც ხნის შემდეგ ხატიდან მირონი გადმოდინდა. ეს ამბავი მაშინვე აცნობეს ადგილობრივ ეპარქიას. როდესაც ხატი კედლიდან ჩამოხსნეს, დაინახეს, რომ ღვთისმშობლის გამოსახულება მის უკანა მხარესაც გადასულიყო. აქედან მოყოლებული, ხატი სასწაულებს ახდენდა და იგი ფსკოვის დედათა მონასტერში წააბრძანეს. მის წინაშე მოხუცი გერმოგენი ლოცულობდა, რომელმაც თქვა: ამ ხატს უფალმა განსაკუთრებული თვისებები მიანიჭა, რითაც ის ბევრ ადამიანს მიიზიდავს – მასზე მლოცველი უნაყოფო ქალები ჯანმრთელ შვილებს გააჩენენ; კიბოთი და სხვა ონკოლოგიური ავადმყოფობით დაავადებულები განიკურნებიან, უგზო-უკვლოდ დაკარგულებს – ცოცხლებს ან მკვდრებს იპოვნიან; ხატს თითოეული რწმენით მლოცველი ადამიანის ცხოვრების გზისა და ბედის შეცვლის მაგიური ძალაც კი შესწევსო...

აგერ უკვე 16 წელიწადია, ხატს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან აკითხავენ მორწმუნენი, თუმცა მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი ის მოგვიანებით გახდა – 2003 წელს, როდესაც რუსეთში წმინდა სერაფიმე საროველის განდიდების 100 წლისთავს ზარზეიმით აღნიშნავდნენ და მთავარი დღესასწაული საროვში ეწყობოდა. როგორც იცით, საროვი დახურული ქალაქია, რადგან საროვის მამათა მონასტერი, სადაც წმინდა მამა მოღვაწეობდა, დაანგრიეს და მოგვიანებით საბჭოთა მთავრობის განკარგულებით, იმ ადგილას ატომური იარაღის მწარმოებელი სამხედრო ქარხანა ააშენეს. ქარხანა დღემდე იქ მდებარეობს და რომ არა დღესასწაული, იმ ტერიტორიაზე ვერც მოვხვდებოდით. წინა ღამეს, დივეევოდან ჯვრებით მსვლელობის დასასრულ, რუსეთის პატრიარქმა კირილმა კურთხევა მოგვცა, წმინდა სერაფიმე საროველის წმინდა ნაწილებთან ერთად საროვიდან დივეევოში სწორედ ეს ხატი ჩაგვებრძანებინა. მასზე ახდა წმინდა სერაფიმე საროველის წინასწარმეტყველება: მოვა დრო, როდესაც საროვიდან დივეევოში მოეწყობა ჯვრებით მსვლელობა, მასში ზღვა ხალხი მიიღებს მონაწილეობას და მსვლელობას სასწაულმოქმედ ხატს წაუძღვარებენო. ამ ხატის შემყურეთ დღეს აზრად არ მოუვათ, რომ ოდესღაც ის ქაღალდის უბრალო ამონაჭერი იყო, ახლა კი პატრიარქის ხელოვანმა ის დიდებულად “შემოსა” და როდესაც ხელთუქმნელ ხატს კონტურებს უკეთებდა, მასში მანამდე უხილავი სხვა სახეც შენიშნა. ამ სახეს თითოეული შესანიშნავად ვიცნობთ – ეს არის ჯვარცმული ქრისტე ტურინის სუდარიდან. ისმის კითხვა: რატომაა მაცხოვარი თავქვე? – იმიტომ, რომ ის არა მარტო ღვთის შვილია, არამედ – ადამიანისაც და ყველას მოეხსენება, ნებისმიერი დედა შვილს გულით როგორ ატარებს...

წმინდა სერაფიმე საროველმა უამრავი რამ იწინასწარმეტყველა და მათ შორის ერთს – დივეევოს დიად საიდუმლოდ წოდებულ წინასწარმეტყველებას გამოვარჩევ. მასში წმინდა მამამ დივეევოს მონასტრის მონაზვნები აკურთხა, მონასტრის ირგვლივ გაეკეთებინათ თხრილი და ასე შემოეფარგლათ ადგილი, სადაც ფეხშიშველმა ღვთისმშობელმა გაიარა. ამ ქვეყნად მოსული ანტიქრისტე, რომელიც ეკლესიებიდან და მონასტრებიდან ჩამოხსნიდა ჯვრებს, უწმინდესის ნავალ გზაზე ვერ შეაღწევდა – თხრილი ცამდე ავიდოდა და ანტიქრისტე მას ვერ გადალახავდა. ამ წინასწარმეტყველების წაკითხვის შემდეგ ბევრმა რუსმა დივეევოში იყიდა მიწა. დღეს იქ მიწის ან სახლის ყიდვა ძალუძს მხოლოდ უმდიდრეს ადამიანს. მოკლედ: მდიდარს – ყველაფერი, ღარიბს – არაფერი! მაგრამ სინამდვილეში ეს აბსურდია. წმინდა მამა ასეთ რამეს ვერ იტყოდა. როგორ არ ვცადეთ, ამ წინასწარმეტყველების არსს ბოლომდე ვერ ჩავწვდით და ერთხელაც, კალუგის ბოროვსკის მონასტერში სტუმრობისას იქაურმა არქიმანდრიტმა გვითხრა: “წმინდა მამამ ამ საიდუმლოთი გაგვიცხადა, რომ სწორედ ეს ხატია “დივეევოს თხრილი” და რაც მეტ ქვეყანას მოატარებთ მას, ღვთისმშობელი მით მეტი ადამიანის დაცვას შეძლებს ანტიქრისტესგან. აბა, დააკვირდით ხატს: შეოსილ ღვთისმშობელს მისივე ტერფის ფორმა აქვს, მისი მარჯვენა ფეხის ანაბეჭდი”. ორი წლის შემდეგ, როდესაც დიდ სამამულო ომში გამარჯვების 60 წლისთავის აღსანიშნავად ჯვარსნული მსვლელობა მოვაწყვეთ მოსკოვი-მინსკი-კიევის მიმართულებით, ხატზე მარცხენა ტერფიც გამოჩნდა. ჩვენ ვიცით უკრაინის პოჩაევოს მონასტრის ხატი, სადაც მხოლოდ ერთი ტერფია გამოსახული, ხოლო ეს ხატი გახლავთ ერთადერთი, სადაც ღვთისმშობლის ორივე ტერფია. ასე გაიხსნა “დივეევოს დიადი საიდუმლო” – ამ ხატის სახით თავად ღვთისმშობელი მოგზაურობს წმინდა ფეხებით ყველა მართლმადიდებლურ ქვეყანაში. მე ვკითხე არქიმანდრიტს, – წინ რა გველის, შემდეგი საქართველოა-მეთქი? – დიახო, მიპასუხა, მაგრამ საქართველოში ჩამოსასვლელად მოლოდინით სავსე ხანგრძლივი 3 წელიწადი დაგვჭირდა. მანამდე კი ფეხით 13 ათასი კილომეტრი გვაქვს ჯვარსნული მსვლელობით გავლილი, აღარაფერს ვამბობ, რა გზა გავიარეთ მანქანებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. დღეს ეს ხატი აქაა, საქართველოში – ღვთისმშობლის უპირველეს წილხვედრ ადგილას და არავინ იცის, რა მოხდება, როდესაც ეს თხრილი დასრულდება; როდესაც ღვთისმშობელი ყველა მართლმადიდებელი ხალხის ქვეყანას მოივლის. წმინდა სერაფიმე საროველმა იწინასწარმეტყველა: მოვა დრო, როდესაც ყველა მართლმადიდებლური ქვეყანა გაერთიანდება, ერთ დიდ მართლმადიდებლურ ოკეანედ იქცევაო. ყველას ლოცვა გვმართებს, რადგან ჩვენი ერთიანობა უკვე დაარღვიეს და სადაც “გაჭრეს” ეს ერთობა, დღეს სისხლი გადმოდის.

სტუმრები ათი დღით ჩამოვიდნენ და გაცილებით დიდხანს დარჩნენ საქართველოში. ძალიან უხაროდათ, ქართველი ხალხი ყველგან დიდი სითბოთი და სიყვარულით გვხვდება და ღვთისმშობლის გაშვება არ უნდათო. 8 იანვარს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრის დღესასწაულზე უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სტუმრები ხატთან ერთად საპატრიარქოში მიიღო. იური შიშკოვმა გვითხრა, უწმინდესმა ქადაგებაში ბრძანა, – ღვთისმშობლის ტაძრის დღესასწაულზე თავად ზეციური დედოფალი გვესტუმრაო. როდესაც უწმინდესს დასალოცად მივეახლეთ, ჩვენი ხატის მცველმა ნატალიამ მოახსენა პატრიარქს, – ჩვენს ხატზე ნაწინასწარმეტყველებია, რომ მთელ საქართველოში მასთან ერთად ჯვრებით უნდა მოეწყოს მსვლელობა, რათა “დივეევოს თხრილმა” საქართველოშიც გაიაროს იესო ქრისტეს ლოცვით, რომელსაც ხშირად წარმოთქვამდა წმინდა მამა სერაფიმე საროველი: უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალე ჩვენ!

ᲘᲣᲠᲘ ᲨᲘᲨᲙᲝᲕᲘ: – ჩვენი ვალი იყო, ღვთისმშობლის სურვილი უწმინდესისთვის გადაგვეცა, დანარჩენი კი მისი განსასჯელია. პატრიარქისგან მსვლელობისთვის კურთხევა ვითხოვე. პატრიარქმა გვითხრა: “ჩვენ ვიფიქრებთ!” ასეთი საკითხის გადაწყვეტისას, რასაკვირველია, აჩქარებას “ვიჩქაროთ ნელა” ჯობია და ეს ბრძენმა პატრიარქმა უკეთ იცის. ჩვენ კი ვიმედოვნებთ, ღვთისმშობლის ნება აღსრულდება და “დივეევოს თხრილი” გაივლის საქართველოზე, რაც თქვენს ქვეყანას ანტიქრისტესგან დაიცავს.

P.S. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრიდან ხატი ერთი დღით ვარკეთილში, ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში იყო დაბრძანებული, შემდეგ წააბრძანეს კახეთში, იქიდან – სომხეთში, შემდეგ კვლავ საქართველოში დააბრუნებენ, ქართლში არსებულ ასურელ მამათა სახელობის ეკლესიაში დაბრძანდება და ბორჯომის გავლით, კვლავ რუსეთში დააბრუნებენ. თუმცა შესაძლებელია, მარშრუტში ცვლილებებიც შეიტანონ და საქართველოში კიდევ მეტხანს გაჩერდნენ. მერე კი საქართველოს პატრიარქის გადაწყვეტილებას დაელოდებიან და როგორც იური შიშკოვმა თქვა: – შეიძლება შემოდგომაზე უკვე ჯვრებით მსვლელობაც მოეწყოს. ამით აღსრულდება ის, რისთვისაც ახლა ჩამოვედით. ასე რომ, მთავარი წინ გველოდებაო.

Ი. ᲮᲐᲠᲨᲘᲚᲐᲫᲔ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ “ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ”
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲣᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲔᲑᲡ
ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲓᲘᲐᲜᲐ ᲑᲝᲮᲣᲐᲡ ᲓᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲔᲙᲐ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐᲡ
ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

* * *

სქან ძირაფა ვარე ეფი,
გურსუ მონტუ დარანა,
ქაბერზანი ერემეფი
ხვალე გილაღვარანა.
ჩქიმ გურიში კარეფ განჯი,
ითამ დინწყუ ქიანაქ,
“ვა გიღუნო შურიშ სვანჯი”?
მენწარეფი რკიანა.
მიჩქუ, მიჩქუ ვარექ ეფი,
წამეფ შურსუ დაფუნა,
კიაპელი თორუჯეფი
წყარშე ეშმასხაპუნა.
ფირქიქ უმუსვანჯებუქ,
ღურუს ოკო აკათას,
ჭველას ლანდი ონძალუ დო
თუთა გიოთაკარანს.
უკვირდე რე არძა ჭუა,
წანეფქ იშენთ მორჯგინეს,
ლიარიშა მიზინდუანს
მაჟამარალ ორინჯე.
ცოდა ართო იკათუ დო
ტყა ულუანს ნაკარუს,
რინაქ ხოლო მიკმართუ დო
დიხას ქიმთმოჭაბარუ.

* * *

შურქ ართი ღურუ გოტუ,
გურც ჭუა იჭიროთუ.

გოთანა რე ვერჩეშ ნერი,
დღალეფ მეურც ანდანერი.

თე ორინჯეშ ბრელი ღვალა,
ვაგაცალენს შურიშ დალას.

გიძირუნო მითინქ დირთგ,
ფარანც მუთა მიკაჩირთგ.

ღურუს ართი კარი უღუ,
თექ ვენტირე ნარღიშ უღუ.

ცოდეფ დიხას ქუდაფართხი,
ქეთუცოთი ეშმას განთხი.

მუჟამც ლუღი ორე კობუ,
ღურუ თი შვანს ქგმგატყობუ.

დო ორინჯეშ ბრელი ღვალა,
ვაგაცალენს შურიშ დალას.

* * *

ზოთონჯი რე, ანწ ვადირგ ბირა,
თირც დუფორგ კონდიდეფიშ წვანჯი,
სო მეული? აშ მიკირთი ცირა,
დომირთინე ცოროფაში თანჯი.

სქან წვიწვინი ტანც დაჩხირო გომრზუ,
ღურუცალო დომიწკური თოლი,
ღორონთ ვორდი, არძა კათა მთხოზუდ,
გეფსქიდი დო იშენთ გეგშართოლი.

თე ორინჯექ ეკომწიკვგ ჩირეთ,
წირფე ვორდი დო ლეტამი გალე,
ანწ ვამოკო ღებარეფი ბძირე,
სქან თოლეფი მოიმენდგ ხვალე.

თე ზიტყვეფცგ ანწ ვაუღუ ფასი,
მარეხეთგ მონგარუანც ჭუა,
თის ევჭოფგნქ მუთ წოხოლე ბთასი,
სოლე იბდა, მუჭო იფსხუნუა?

თი ჯვეშ, ჰამო სისმარეფი ბჭოფი,
ვახოლუდუ აკაბურცხა წვირე,
ხვათახვალე ვორკინდი ბორჯის
დო ზისხირო ნარღი გევონქირე.

სით მიდართი გორთილი რე შარა,
ჯვეშ იმენდეფც თე ფირქეფი ორუ,
გურ მაჭუ დო მუჭო ბთქუა ვარა,
უსქანობაშ ნარღიქ ეკომგორუ.

ზოთონჯი რე, შურშე ვამურც ბირა,
თირც დუფორგ კონდიდეფიშ წვანჯი,
სო მეული? აშ მიკირთი ცირა,
დომირთინე ცოროფაში თანჯი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲣᲚᲝᲠᲓᲐ

ბოკერია, თარგამაძე, გაბაშვილი და სხვები სტუდენტებს აიარაღებდნენ საომრად

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე "ფეისბუქის" პირად გვერდზე აქვეყნებს პოსტს, რომელშიც 90-იანი წლების დასაწყისს იხსენებს.

"ახალგაზრდობიდან ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. 19 წლის ვარ, 1991 წლის დეკემბრის დასაწყისია. კიტოვანი თბილისის ზღვაზეა, პუტჩისტები ყოველდღე მიტინგს მართავენ და მთავრობის სახლისკენ მოიწევენ. რუსთაველზე უკვე გამოჩნდნენ წვერმოშვებული ბანდიტები, რომლებიც ავტომატებით არიან შეიარაღებულნი, ბოკერია, გივი თარგამაძე, გოკა გაბაშვილი და სხვები უნივერსიტეტში სტუდენტებს აიარაღებენ საომრად. წითელი ინტელიგენცია ბრდღვინავს და მოკლედ, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს. ყოველ ღამე უზენაესი საბჭოს შენობაში ვართ კანონიერი ხელისუფლების სხვა მხარდამჭერებთან ერთად.

ერთ საღამოს ბატონმა ზვიადმა დამიძახა. რაღაც საკითხი აინტერესებდა უნივერსიტეტთან დაკავშირებით. საუბრის ბოლოს ვკითხე – რას ფიქრობთ, ეს შეიარაღებული ხალხი რომ დაძრწის უკვე რუსთაველზე, რას მოიმოქმედებენ? ბატონმა ზვიადმა ისეთი სიტყვებით მიპასუხა, რომელი სიტყვებიც არასოდეს დამავიწყდება – სანდრო, გენაცვალე, მათი არ მეშინია და ადვილად დავამარცხებთ, მთავარი საფრთხე ის მტერია, რომელიც შიგნით გვყავს შემოგზავნილიო და ხელი უზენაესი საბჭოს ეზოსკენ გაიშვირა! სამწუხაროდ, ისტორია ხშირად მეორდება. დღესაც გარეშე მტერი (ნაცები) საშიში არაა, აი შინაური მტერი კი ძალზედ საშიშია!!!", – წერს სანდრო ბრეგაძე.

ამბები სამეგრელოდან

ნოქალაქევი-ბანძა-ხონის საავტომობილო გზის 37-ე მონაკვეთის რეაბილიტაცია

მარტვილის მუნიციპალიტეტში, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნოქალაქევი-ბანძა-ხონის ს/გზის კმ 21+600-კმ 37 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აღნიშნული გზის რეაბილიტაცია ითვალისწინებს დამხმარე ნაგებობების – კიუვეტების, ბოგირების რეაბილიტაციას და მოწყობას.

პროექტის ღირებულება შეადგენს 735.7130 ლარს.

სამუშაო დაიწყო 2014-ში და დასრულდა ამავე წელს.

სამუშაო გაახორციელა სს „არქეოპოლისმა".

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტის დოკუმენტზე განმარტებითი ბარათი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებისა და სპეციალური ტრანსფერის მეშვეობით 2014 წელს შემოსულობების მობილიზაციამ, ბიუჯეტით განხორციელებულმა პროგრამებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა. შესაძლებელი გახადა გზების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა რებილიტაცია, წყლის სისტემების სათაო ნაგებობების მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია, გარე განათების ახალი სისტემების, მოწყობა რითაც გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის საოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. შესაძლებელი გახდა კულტურის, დასვენებისა და სპორტის ახალი ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა და შესაბამისად ამ სფეროების განვითარება, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საგანმანათლებლო კულტურული და სოციალური პროგრამები.

მომდევნო 2015-2018 წლებშიც მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

ეპოქალური ქართველი ქალები, რომლებმაც საკუთარ სფეროში დიდი აღიარება მოიპოვეს

მიუხედავად იმისა, რომ ახლა 21-ე საუკუნეა, ქალებისთვის თვითრეალიზება მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს. გენდერულ სტერეოტიპებს ახლაც მყარად აქვს ფესვები გადგმული ქართულ საზოგადოებაში.

ამ სტატიაში წარმოგიდგენთ ქალბატონებს, რომლებმაც იმ სფეროების განვითარებაში, რომელშიც მოღვაწეობდნენ, უდიდესი როლი შეიტანეს.

ელენე ახვლედიანი

ცნობილი ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი ელენე ახვლედიანი 1898 წლის 18 აპრილს ქალაქ თელავში დაიბადა.

1906-1907 წლებში ელენეს ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, სადაც გოგონამ ახალდაარსებულ სამხატვრო აკადემიაში დაიწყო სწავლა. მოგვიანებით ელენემ მხატვარ გიგო გაბაშვილის სტიპენდია მიიღო და სასწავლებლად პარიზში ჩავიდა.

სწავლასთან ერთად ელენე აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა, რადგან, ყველა სხვა ხარჯთან ერთად მას თავიც უნდა ერჩინა საკმაოდ ძვირადღირებულ ქალაქ პარიზში. 1926 წელს პარიზში ელენე ახვლედიანის პერსონალური გამოფენა მოეწყო, სადაც მისმა ნამუშევრებმა ფრანგი კრიტიკოსების ყურადღება მიიპყრო. გარკვეული დროის შემდეგ, ელენე ახვლედიანის ნახატები ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ სურათების გამოფენაზე გაიგზავნა. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია, ჰოლანდია და შვეიცარია. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მან მხატვრულად 72 სპექტაკლი გააფორმა. 1972 წელს ელენე ახვლედიანი გახდა პირველი ქართველი ქალი, რომელმაც შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიიღო.

დები იშხნელები

დები იშხნელები ქუთაისში გიორგი იშხნელის ოჯახში დაიბადნენ. იშხნელების ოჯახური ანსამბლი ფართოდ იყო ცნობილი იმდროინდელ ქუთაისურ ინტელიგენციაში და საზოგადოების საკმაოდ დიდი დიდი სიყვარულითაც სარგებლობდა. დები იშხნელების ანსამბლი ოფიციალურად 1941 წელს ჩამოყალიბდა. ვოკალურ კვარტეტს დები: ნინო, ამარი, ზინაიდა და ალექსანდრა იშხნელები შეადგენდნენ. 1955 წლიდან ალექსანდრა მისმა დამ, მარიამმა შეცვალა. დები იშხნელები ქართული ქალაქური რომანსის ფუძემდებლებად ითვლებიან, რომელთა განუმეორებელ ჟღერადობას არც დღეს აკლია თაყვანისმცემლები. მეორე მსოფლიო ომის მძიმე დღეებში კვარტეტი ლამის ფრონტის ხაზზე გადიოდა და სამხედრო ნაწილებში მართავდა კონცერტებს.

დები იშხნელების ანსამბლმა დიდი როლი შეასრულა ქართული სამხმიანი ქალაქური სასიმღერო ფოლკლორის დახვეწის, რეპერტუარის გამდიდრებისა და პროპაგანდის საქმეში.

ბარბარე ყიფიანი

პირველი ქართველი ფიზიოლოგი ქალი, ევროპაში ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მრავალი ფუნდამენტური შრომის ავტორი და საფრანგეთის სამედიცინო აკადემიის წევრი. იგი იყო პირველი ქართველი ფსიქო-ფიზიოლოგი ქალი იყო, რომელიც ევროპაში მოღვაწეობდა. მის ნაშრომებს ბავშვთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებზე, მინიჭებული აქვს ოქროს მედლის პრემიები. ბარბარე ყიფიანი ლექციებსაც კითხულობდა, 1908 წლიდან იგი უნივერსიტეტის ჟურნალის სწავლული მდივანი გახდა. 1910 წელს ბარბარეს ინიციატივით, ბრიუსელის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქართული განყოფილება დაარსდა. გარდა ამისა, იგი აქტიურად იყო ჩართული ქართული კულტურული ექსპონატების დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში.

სესილია თაყაიშვილი

უდიდესი მსახიობი და შეუდარებელი ბებია – სესილია თაყაიშვილი 1906 წლის 17 სექტემბერს დაიბადა ბათუმში. ოჯახის თბილისში გადმოსვლის შემდეგ, 16 წლისამ ფადავას სამსახიობო სტუდიაში ჩააბარა და სასწავლებლის დამთავრებისთანავე რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა. იგი მასწავლებლებად ახმეტელსა და მარჯანიშვილს მიიჩნევდა. მან შექმნა განუმეორებელი კინო და სცენური სახეები, რითაც სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართული კინოსა და თეატრალური ხელოვნების ვარსკვლავედში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ფილმები "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და "ნატვრის ხე", რომლებშიც სესილიამ წარმოგვიდგინა ობოლ შვილისშვილზე მზრუნველი და ასევე შვილისშვილზე მზრუნველი მოხუცი ქალის ტრაგიკული სახე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ კინოფილმ "დათა თუთაშხიაში" ნათამაშევი ტოფანა, რაც დღემდე ქართული სამსახიობო ხელოვნების კულმინაციად არის მიჩნეული. როგორც კინოში, ასევე თეატრში სესილია თაყაიშვილმა შექმნა საკუთარი სკოლა, რომელიც ერთნაირად მიმზიდველად წარმოადგენდა როგორც მეშჩან ბებიას ან ეზოს ჭორიკანა დედაკაცს, ისე მოხუც მზრუნველ ადამიანს, რომლის უანგარობა ცხოვრებისეულად მართალი და დამაჯერებელი გახლდათ.

ხელოვნებისადმი საკუთარი სიცოცხლის მიძღვნაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე მძიმედ დაავადებულმა სესილიამ ითამაშა უკანასკნელი როლი ელდარ შენგელაიას ცნობილ კინოფილმში "ცისფერი მთელი, ანუ ტიან შანი." ამ ფილმის გადაღების დასრულებიდან რამდენიმე დღეში სესილია თაყაიშვილი გარდაიცვალა.

ქართულ კინოსა და თეატრში შესრულებული უამრავი დასამახსოვრებელი როლის გარდა, სესილია თაყაიშვილის უკვდავი სახე ცნობილი ჯგუფის, "პინკ ფლოიდის" ვიდეოკლიპში – Money არის აღბეჭდილი.

ნონა გაფრინდაშვილი

ნონა გაფრინდაშვილი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპორტის მოღვაწეა. იგი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მფლობელია.

სულ 15 წლის ცქრიალა გოგონა გახლდათ ნონა გაფრინდაშვილი, როცა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა ცნობილ რუს მოჭადრაკე ქალს, იმ დროისათვის ჭადრაკის დედოფლად აღიარებულ ნადეჟდა ბიკოვას, რასაც აგრესიული დუმილით შეხვდნენ საბჭოთა სპორტის მესვეურები თუ მთავრობის წევრები. მაშინ, როცა ლამის წესად იყო დადგენილი, რომ ყველა მაღალი ტიტულის მქონე საბჭოთა სპორტსმენი აუცილებლად მოსკოველი ან ლენინგრადელი უნდა ყოფილიყო, ნონა გაფრინდაშვილის მიერ ამ სტერეოტიპის დარღვევას დიდი ხანი ვერ ურიგდებოდნენ საბჭოთა სპორტის მამები, მაგრამ, როცა ნონამ მეორედაც დამაჯერებლად მოიგო მსოფლიო ჩენპიონობა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

1978 წელს ნონა გახდა პირველი ქალი მოჭადრაკე, ვისაც დიდოსტატის წოდება მიენიჭა. 1997 წელს ფიდეს 68-ე კონგრესის გადაწყვეტილებით, დაწესდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი, საჭადრაკო ოლიმპიადებზე, რომელიც გადაეცემა ქვეყნის ვაჟთა და ქალთა გუნდებს საუკეთესო ჯამური შედეგისათვის. 1996 წელს მიენიჭა საერთაშორისო სპორტორგანიზაციების სამი უმაღლესი ჯილდო: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის საპატიო ორდენი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ორდენი. 2001 წელს მისი სახელი მიენიჭა თბილისის ჭადრაკის სასახლეს.

მ. სარიშვილი

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲐᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲣᲥᲔᲛᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ

პირველთათვის ის სამეცნიერო დისციპლინების – მათემატიკის, გეომეტრიის, ასტრონომიის, გრამატიკის, ფილოსოფიის და სხვა მისთანების მიმართ დაგროვილი საკაცობრიო ინტელექტის გამოვლინების ფაქტია, მეორეთათვის კი, ის ღმერთშემოსილ ადამიანზე (ადამიანებზე) გადმოსული სულიწმიდის მადლია. საკითხისადმი მიდგომის თვალსაზრისით არცერთი აღნიშნული მხარე არ სცოდავს, რადგან ჩვენი ინფორმირებულობის ამჟამინდელი დონეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელის – დიდი ბაკურის პიროვნება სრულად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ორივე მხარის მოთხოვნებს.

შემთხვევითი არ არის ის, რომ რუფინუს აკვილელის დახასიათებით, იმხანად იერუსალიმში ბინადმყოფი ბაკური არამხოლოდ მორწმუნეობაზე ზრუნავდა თურმე დიდად, არამედ თანაბრად «ჭეშმარიტებაზეც». ასომთავრული დამწერლობის შემოქმედი დიდი ბაკური არ შეიძლებოდა «ლოგოსების» მოყვარული (როგორადაც ის ლიბანიოსს მიაჩნდა) არ ყოფილიყო, რადგან სწორედ მათი შეცნობისა და გონებაში გააზრების გზით ჰქმნიდა ის ქართული მწიგნობრობის ბალავარს – ეროვნულ ანბანს, რომლის მწკრივში განლაგებული ასოები «ან»-იდან «ჯ»-ანამდე ხომ იმ ბგერით ერთეულებს (ფონემებს) წარმოადგენდნენ, რომლებიც ქართული «ლოგოსებიდან», სიტყვა-გამოთქმებიდან, ანუ მშობლიური ენის სამეტყველო ფონდიდან გამოჰყო მან და რომლებიც სამომავლოდ მწიგნობრობის გზით კვლავ «ლოგოსებადვე» უნდა გარდასახულიყვნენ?! ვინ მოთვლის რამდენმა ასეთმა «ლოგოსმა» გაიარა ბაკურის გონებაში, რათა ბგერით ერთეულებად დანაწევრებული «იბერიული» ენა დიდებულ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში გრაფიკული სიმბოლოების სახით ჩამონაკვთილიყო. ამა თუ იმ ენისათვის დამწერლობის შექმნის მოვლენა «ეს არის არსებითად ენის ბგერითი, ფონემური ანალიზი, რაშიც ვლინდება დამწერლობის შემქმნელის ლინგვისტური ალღო და ინტუიცია: იგი წინასწარ ანაწევრებს ენას უმცირეს ბგერით ერთეულებად, რომელთა ერთობლიობა ენის ბგერით სისტემას ქმნის»-ო, სამართლიანად ბრძანებს ფრანგი ლინგვისტი ჰ.როზენი (იხ. 15:118). ამასთანავე, ადრექრისტიანულ პერიოდში ენის გაგება, როგორც გარკვეული არსისა აზრისგან ცალკე, ანტიკური პერიოდის მსგავსად ჯერ კიდევ არ არსებობდა. გონება და მეტყველება წარმოიდგინებოდა ერთიანობაში, როგორც ერთიანი «ლოგოს»-ი. სწავლება სიტყვა «ლოგოს»-ზე არის საფუძველი ძველბერძნული სწავლებისა ენის შესახებ მის ონტოლოგიურ, ლოგიკურ და თვითონ გრამატიკულ მახასიათებლებთან ერთიანობაში.

აღნიშნული სწავლება, ყველა ნიშნით, ცნობილი უნდა ყოფილიყო დიდი ბაკურისათვის. აკად. თ.გამყრელიძის დასკვნით: «ქართული ანბანის შემქმნელს ზედმიწევნით სისრულით აქვს წარმოდგენილი თანადროული ქართული ენის ბგერითი სისტემა: იგი სრულად და ამომწურავად ითვალისწინებს ქართული ენის ბგერათა (ფონემათა) ინვენტარს, რომელთა გრაფიკული გამოხატვა აუცილებელია ქართული ენის ადეკვატური წერილობითი გადმოცემისათვის. ქართული ენის ბგერითი ინვენტარი იმდენად სრულად და თანმიმდევრულად არის ასახული ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, რომ მას ამ თვალსაზრისით შემდგომ არსებითი ცვლილებები არც კი განუცდია» (15:129).

ბერძნული განათლების მქონე ქართული ანბანის შემქმნელი პირის მხრიდან კლასიკური ბერძნული ფონეტიკური თეორიის ცოდნის შესახებ აზრი ჯერ კიდევ გერმანელმა ლინგვისტმა ვ.ბედერმა გამოთქვა და შემდეგ თ.გამყრელიძის სპეციალურმა გამოკვლევამაც დაადასტურა იგივე გარემოება: ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი ფლობდა უაღრესად ფართო ფილოლოგიურ ერუდიციას, რომელიც მოიცავდა იმდროინდელი ბერძნული ლინგვისტური თეორიისა და ბერძნული გრაფიკული სისტემების ცოდნას (15:156 შენ., 193 შენ.). ცნობილმა ენათმეცნიერმა არგუმენტირებულად უჩვენა ის გარემოება, რომ ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ხელოვნურად არის შექმნილი ნიმუშად აღებული ბერძნული გრაფიკული სისტემის გარდაქმნისა და სტილიზაციის შედეგად. იგი წერს: «ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი წერით ნიმუშად, გრაფიკულ პროტოტიპად და მოდელად იღებს მის თანადროულ მონუმენტურ ბერძნულ წერით სისტემას და ახდენს მის სტილიზებულ «არქაიზაციას», რაც გამოიხატა ძირითადად სათანადო ბერძნულ გრაფიკულ სიმბოლოთა პირმარცხნივ შებრუნებაში» (15:182). იმავე მეცნიერს ეკუთვნის კიდევ ერთი საგულისხმო დასკვნა იმის შესახებ, რომ ასომთავრული ანბანის შემქმნელი იცნობდა მის თანადროულ სხვადასხვა წერით სისტემებს, მათ შორის ეპისკოპოს ვულფილას (ულფილას) მიერ IV ს-ის შუა ხანებში შექმნილ გოთურ ანბანსაც, რომლის მონაცემებს იგი ახალი დამწერლობის შექმნისას ითვალისწინებდა (იხ. 15:190-191).

ამრიგად, ენათმეცნიერული კვლევა-ძიებების შედეგად მოპოვებული საყურადღებო მასალების საფუძველზე დაიხატა ქართული ანბანის შემოქმედის, იმხანად ჯერ კიდევ ანონიმი პირისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშან-თვისება, რომელიც ზედმიწევნით მოერგო დიდი ბაკურის პიროვნებას (იხ. 102:95-117 და შმდ.). IV ს-ის II ნახევარსა და V ს-ის I მეოთხედში, რა დროისთვისაც ივარაუდება ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის მოვლენა, დიდი ბაკურის შესადარი ინტელექტითა და მრავალმხრივი ღირსებებით შემკული პიროვნება ქართულ სამყაროში უბრალოდ არც ჩანს. დიდი ბაკურის ღრმად განსწავლულობის ფაქტი ბერძნულში საკამათო არ შეიძლება იყოს არა მხოლოდ მისი ბიზანტიაში მეოთხედი საუკუნის მანძილზე ცხოვრება-მოღვაწეობის გამო, რაც თავისთავად გულისხმობს იბერიელი მეფისწულის მხრიდან რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში (ბიზანტიაში) სახელმწიფო სტატუსის მქონე ბერძნული ენის სრულფასოვნად ფლობას, არამედ, უპირველესყოვლისა, ლიბანიოსის, გელასი კესარიელისა და რუფინუსის მსგავსი განათლებული მწერლების მიერ დიდი ბაკურის მაღალი ინტელექტუალური დონის ხაზგასმის საფუძველზე. საგულისხმოა, რომ წერილობითი წყაროების ცნობებით დიდ ბაკურს უშუალო შეხება ჰქონდა გოთების სამყაროსთან: მას, როგორც ბიზანტიის ჯარის ერთ-ერთ სარდალს, მოუწია მონაწილეობის მიღება ვესტ-გოთთა წინააღმდეგ იმ რეგიონში (ბალკანეთის ნ.კ.) გამართულ შეტაკებებში, სადაც 350-წლიდან მოყოლებული თვისტომ თანამოაზრეებთან ერთად ხანგრძლივი დროის მანძილზე სახლობდა თვით გოთური ქრისტიანული დამწერლობის შემქმნელი პირი – ეპისკოპოსი ვულფილა. დიდ ბაკურს გოთ მეომრებთან და სარდლებთან (მაგალითად, სახელგანთქმულ გაინასთან) ახლო ურთიერთობა უწევდა იმპერატორ თეოდოსი I დიდის ლაშქარშიც, სადაც ისინი მრავლად ირიცხებოდნენ IV ს-ის 80-იანი წლების დასაწყისიდან. უეჭველია, რომ იგი ხვდებოდა გოთებს იმპერიის სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლშიც, სადაც ბევრ მათგანს თეოდოსი I-ის ზეობის პერიოდში მნიშვნელოვანი სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობები ეკავა. ყოველივე აღნიშნული შეგვიძლია მივიჩნიოთ იმის მოწმობად, რომ უკვე IV ს-ის 80-იანი წლების დამდეგს დიდი ბაკურისათვის სრულიად ხელმისაწვდომი იყო ეპისკოპოს ვულფილას მიერ შექმნილი გოთური ქრისტიანული დამწერლობა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერჯერობით კვლავ უცნობი რჩება ის, თუ კონკრეტულად როდის, სად და რა გზით მოახერხა იბერიელმა მეფისწულმა ისეთი სრულყოფილი და ღრმა განათლების დაუფლება, რომელმაც მას დღევანდელი საზომებითაც კი განსაცვიფრებელი ქართული «ასომთავრულის» შექმნა შეაძლებინა. თავის დროზე, აკად. შ.ნუცუბიძე ვარაუდობდა იმას, რომ ბაკურს განათლება კოლხეთში, ფაზისთან არსებულ და IV საუკუნეში სახელგანთქმულ რიტორიკულ სკოლაში ჰქონდა მიღებული. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია ისეთი ვარაუდიც, რომ ყრმა მეფისწულისათვის აღნიშნული სასწავლებლიდან სპეციალურად მოიწვიეს იბერიაში აღმზრდელი (ან აღმზრდელთა ჯგუფი). მაგრამ ცხადია, ვერც იმ შესაძლებლობას გამოვრიცხავთ, რომ ბაკურს 369-378 წწ.-ს შორის იმპერიის ფარგლებში არსებულ რომელიმე ცნობილ საგანმანათლებლო კერაში (მაგ. ათენში, ალექსანდრიაში, პალესტინის ღაზაში, ბეირუთში, ანტიოქიაში, ედესაში, თარსუსში, სელევკიაში, გალატიის კესარიაში და სხვ.) მიეღო ის განათლება, რომლითაც შემდგომში ის ასე ანცვიფრებდა გარშემომყოფთ. როდესაც დიდი ბაკურის ერუდიციის მაღალ დონეზე ვსაუბრობთ, სათვალავიდან არ უნდა გამოგვრჩეს მისი თანდაყოლილი, ჭეშმარიტად ღვთისგან ბოძებული გონებრივი მონაცემებიც, ანუ ლიბანიოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი «ბუნებრივი ნიჭი». დიდი ბაკური, როგორც უკვე ავღნიშნეთ, თავისი მრწამსით ორთოდოქსი ქრისტიანი იყო ყრმობის ასაკიდანვე.

მისი თანადროული უცხოელი მწერლების ცნობებით ირკვევა, რომ იბერიელი მეფისწული ბიზანტიის სამხედრო ასპარეზზე მყოფიც ახერხებდა ქრისტიანული ასკეტიზმის პრინციპებით ცხოვრება-მოღვაწეობას და როგორც პეტრე იბერის ბიოგრაფი იოანე რუფუსი გვამცნობს ამას, დიდ ბაკურს ცხოვრების ამ სიყრმითგანვე გათავისებული წესისათვის არც სამეფო ტახტზე ყოფნის ჟამს უღალატია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბაკურის სახით ჩვენს წინაშეა უნიკალურად თავმდაბალი, ღრმა სულიერების, დიდი ინტელექტისა და ქრისტიანული ასკეტიკურ-მისტიკური შეხედულებების მქონე ღვთისმოსავი კაცი-მონარქი, რომლის სახე სრულ უნისონში მოდის წმ. იოანე ოქროპირის მიერ იდეალურ მონარქად წარმოდგენილ პორტრეტთან, რომელიც ხელმწიფისა და მონაზვნის შედარებისას დაუხატა სიტყვიერად მორწმუნეებს წმინდა მამამ 476 წელს შედგენილ ერთ თავის წერილში; მისი სიტყვებით: «ჭეშმარიტად მეფეა ის, ვინც ამარცხებს მრისხანებას და შურს და ავხორცობას, უმორჩილებს ყოველივეს ღმრთის მცნებებს, ინახავს საკუთარ გონებას თავისუფლად და არ აძლევს უფლებას სულიერ ვნებებს დამორჩილდნენ სიტკბოებას. მე ვისურვებდი ასეთი კაცი მენახა მეთაურად ხალხებზე, ხმელეთსა და ზღვაზე, და ქალაქებსა და მხარეებზე, და ლაშქრებზე; რადგან, ვინც სულიერი ვნებები დაუმორჩილა გონებას, ის იოლად შეძლებდა ემართა ხალხი ღვთაებრივი მცნებების მიხედვით ისე, რომ ის იქნებოდა მამის მაგიერი ქვეშევრდომთათვის» (36:125-126).

ანბანი ძველთაგანვე რელიგიის ენად იყო მიჩნეული. რელიგიის მესვეურები მას ღვთაებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. რაკიღა ძველად ანბანი კრიპტოგრაფიული და კაბალისტიკური ახსნა-განმარტების საფუძველსა და საშუალებასაც წარმოადგენდა, ის ამდენად მისტიკის სფეროსაც განეკუთვნებოდა. ხოლო ქრისტიანი მისტიკოსისათვის შემეცნების მთავარი წყარო ცალსახად არის ღვთიური გამოცხადება, რომელსაც ეზიარა უფალი იესუ ქრისტე. ექსტაზისას ქრისტიან მისტიკოსს უდიდესი საიდუმლოებების შემეცნების ნიჭი ეძლევა; ამ დროს მას ესმის «გამოუთქმელი სიტყვები, რომელთაც ადამიანი ვერ წარმოთქვამს» (მეორე კორინთელთა-12,4). ანბანი ძველად აგრეთვე განიხილებოდა, როგორც «გამოუთქმელ საიდუმლოთა საწყაული». მორწმუნეთა რწმენით, ბიბლიაში მოცემული წიგნები ღვთის შთაგონებით დაიწერა. ამიტომ ძველი ქრისტიანების წარმოდგენით, ჩვეულებრივი «კაცობრივი სიბრძნე» არ იყო საკმარისი «საღმრთო წერილის» გულისხმისყოფისთვის, მხოლოდ რჩეული, «ღვთივ განბრძნობილი» ქრისტიანებისათვის იყო შესაძლებელი «გამოუთქმელ საიდუმლოთა» შეცნობა და ისიც მხოლოდ ღვთაებრივი სულიწმიდის ჩაგონების მეოხებით. ასეთ ადამიანებს, მორწმუნეთა რწმენით, უფლისაგან უდიდესი მადლი იმიტომ ენიჭებოდათ, რომ «ყოფილიყვნენ ღმრთის სიტყვების მთარგმნელები მოკვდავთა წინაშე, გულისხმა ეყოთ ღვთიური სიტყვა ისე, როგორც მას ხმარობდა თავად ღმერთი, და განემარტათ იგი ადამიანებისათვის ისე, როგორც მათ შეუძლიათ რომ გულისხმა ჰყონ»-ო, ბრძანებდა წმ. გრიგოლ სასწაულთმოქმედი.

ყოველივე ზემოთქმული თვალნათლივ წარმოდგენას გვიქმნის იმასთან დაკავშირებით, თუ რა რთული ამოცანის წინაშე იდგნენ ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი პირები და კერძოდ, ბაკური დასახული მიზნის განხორციელების წინ. ქართული ეროვნული დამწერლობის შექმნის უმთავრესი მიზეზი და მიზანი ხომ «საღმრთო წერილის» – იგივე «ღმრთის სიტყვის» მშობლიურ ენაზე აყვერება გახლდათ?!

გარდა ამისა, ქართული ასომთავრული ანბანი, როგორც ახლა უკვე ეს გამორკვეულია, წერით დანიშნულებასთან ერთად კალენდარულ ფუნქციასაც ითავსებდა. კერძოდ, მათემატიკოსებმა – ნ.კანდელაკმა და გ.ცერცვაძემ სრული დამაჯერებლობით ცხადყვეს ის გარემოება, რომ ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვის სისტემის (რომელსაც ეყრდნობა ქართული «დასაბამითგან»-ი წელთაღრიცხვა. – ბ.ხ.) წარმომავლობა ცალსახად ასომთავრული ანბანით არის განპირობებული, ეფუძნება მის რიგ-სათვალავს და შექმნილია უშუალოდ ქრისტეს სახელზე, ასახავს რა მისი ცხოვრების (ხარება, შობა, ჯვარცმა და აღდგომა) ქრონოლოგიას «სამყაროს შექმნისა» და «მეორედ მოსვლის» შესახებ არსებულ საეკლესიო მოთხოვნებთან კავშირში. მათივე აზრით, «უცნობმა ქართველმა კომპიუტისტმა» IV ს-ში ბიბლიური იდეა შესაქმისა და მეორედ მოსვლის შესახებ სრულიად ახლებურად გაიაზრა, მთელი ყურადღება და ძალისხმევა გადაიტანა სამყაროს დასაბამიდან წლების თვლის ანბანურ სისტემაზე და «ყოველი საიდუმლო» ეროვნულ წელთაღრიცხვასა და ასომთავრულ ანბანში სამარადისოდ ჩაბეჭდა. ქართული ანბანის 37-ივე გრაფიკულ ნიშანს თავის დროზე ქრონოლოგიური ფუნქციაც ჰქონიათ დაკისრებული, ანუ ასომთავრული ანბანური თვლის სისტემით განპირობებული ქორონიკონული წელთაღრიცხვა ზუსტად იმდენ მოქცევას მოიცავდა, რამდენი ასონიშანიც იყო ანბანში; თვლის ასეთი სისტემა თავის მხრივ ოპტიმალურია 532-წლიანი მოქცევების (პასქალური ციკლების) მიმართ, ხოლო 532-ის ინდექსი არის 37. აღნიშნულ ავტორთა აზრით, სწორედ ამ ფაქტის არსებობამ შეასრულა გადამწყვეტი როლი 37-ნიშნიანი ოპტიმალური ანბანური სისტემისა და ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვის ფორმირების საქმეში (42:143-148). ერთი სიტყვით, საეჭვო აღარ არის ის, რომ ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვა ეფუძნება ასომთავრული ანბანის რიგ-სათვალავს და მასში გათვალისწინებულია ჩვ. წ. აღ-ის IV ს-ის შუახნებამდე ქრისტიანულ ქრონოლოგიაში არსებული მდგომარეობა. ნ.კანდელაკისა და გ.ცერცვაძის, უფრო ადრე კი – რ.ჰატარიძის გამოკვლევებმა ცხადყვეს ის გარემოება, რომ ქართული ასომთავრულის სახით ჩვენს წინაშეა «ანბანი-კალენდარი», რომელსაც, ჩვენი აზრით, მსოფლიო ანბანურ სამყაროში ანალოგია არ მოეძებნება. ასეთი უნიკალური ქმნილების შესაქმნელად, გარდა ზემოთ უკვე აღნიშნულისა, ცხადია, საჭირო იყო საფუძვლიანი მათემატიკურ-ასტრონომიული ცოდნაც და ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ამოცანის სირთულეს, რომლის წინაშეც იდგა დიდი ბაკური მიზნისკენ სავალი გზის დასაწყისში.

ჩვენ სხვაგან უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ დიდ ბაკურს ამ საქმეში ჰყავდა თანამდგომი სეფეწულ გრი ორმიზდის სახით, რომელიც, ქალაქ ბეთლემის მახლობლად იორდანეს უდაბნოში მდებარე ქართული მონასტრის მოზაიკური წარწერის მიხედვით, ბაკურს ძუძუმტედ ეკუთვნოდა (იხ. 90:95-96). სწორედ გრი ორმიზდს შეესატყვისება კორიუნთან და მოვსეს ხორენაცისთან ნახსენები სხვადასხვა ენების მცოდნე და «ჭეშმარიტების მეტყველი» კაცი სახელით «ჯალ»-ი. სომეხ მწერლებთან აღნიშნული პიროვნების სახელის მხოლოდ პირველი ნაწილია მოცემული, გვიანდელი და ისიც დამახინჯებული სახით: ტექსტში ახ.სპარსული სიტყვა «ჯან»-ი (ნიშნავს «სულს») დაზიანებულია «ჯალ»-ის სახით, ხოლო ახ.სპარსული «ჯან»-ის შესატყვისი საშ.სპარსულში იყო პართიული წარმომავლობის სიტყვა «გრი» (ნიშნავს «სულს». იხ. 93:34), რომელიც სომხურში «ასოს», «ბგერის», «წიგნის», «ანბანის» აღმნიშვნელ ტერმინს ემთხვევა და ჩანს, რომ სხვასთან ერთად ამ მიზეზით წარმოქმნილი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით კორიუნის თხზულების ტექსტის გვიანდელმა (VIII ს-ის შემდგომი დროის) რედაქტორ-ინტერპოლატორმა საშ.სპარსული სიტყვა მისი ახ.სპარსული ექვივალენტით შეცვალა (იხ. 102:121-123).

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აუცილებლობით განპირობებული კომენტარები კუკური ფიფიას და სხვათა საბაზეთო პუბლიკაციებზე

მართალია, ჯერაც გამოუცემელ ოცტომეულში წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მონაცემი თქვენთვის ცნობილი ვერ იქნებოდა, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, თუ რამ განაპირობა შვიდტომეულში წარმოდგენილი მონაცემების დაუნახაობა, თანაც, არა მხოლოდ გ ძირისეულ თანხმოვნური ფორმის მიმართ.

განვაგრძოთ განხილვა კიდევ რამდენიმე მაგალითის მოტანით.

თქვენ, თქვენს წერილში, ზემოაღნიშნულის შემდეგ, წერთ:

დ(//დ)) ბგერა-სიტყვა, იგივე ძირისეული ფორმა დ//დ) (ქართ. დო) მე3 პირის ზმნაა, ირთავს ე. წ. მეგრულ ენაში არსებულ ყველა ზმნისწინს და მრავალ სუფიქსს“...

არ გავაგრძელებთ და პირდაპირ გეტყვით: დ//დ) არავითარი ბგერა-სიტყვა არ არის, იგი არც ზმნაა და, მაშასადამე, მის პირიანობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. იგი, უბრალოდ, არაფრის აღმნიშვნელი ბგერაა, ფონემაა.

ანალოგიურადვე, ბგერა-სიტყვებს, თანაც მე-3 პირის ზმნებს უწოდებთ, თქვენ, ფორმებს: ზ//ზ), თ//თ), მ//მ), ს//ს), ტ//ტ), ქ//ქ), ღ//ღ), ყ//ყ) და ა. შ.; მიიჩნევთ, რომ მათი უმრავლესობა „ირთავს ე. წ. მეგრული ენის ყველა ზმნისწინს და უამრავ სუფიქსს“ და ა. შ. თითოეულ მათგანთან მოგყავთ მაგალითები იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობებით გამოიყენებიან ისინი და ა. შ.

ცხადია, არასწორია თვით ტერმინიც: „მე-3 პირის ზმნა“. ენაში გვაქვს: „სამპირიანი ზმნა“, „მესამე პირის ნიშანი“, მაგრამ, არა „მე-3 პირის ზმნა“.

თქვენს კორესპოდენციაში, რაც გაზეთის მრავალ ნომერში გრძელდება, თითქმის ყველა აბზაცში გამოთქმულია ასეთი შეფასებები: „ამის შესახებ შვიდტომეულში არაფერია მოცემული“,„ეს გამორჩათ შვიდტომეულის ავტორებს“, „ყ ბგერის წარმოშობაზე არაფერია თქმული შვიდტომეულში“ და ა. შ. აი, მრავალთაგან, ერთ-ერთი მაგალითი;

ტ(//ტ)). ბგერა-სიტყვა ტ) იხმარება შემდეგი მნიშვნელობებით: 1. ტ) (ცური, ჯიქანი). 2. ტ) (ტოვა). მაგ., ღორონთიანი კოჩიქ) ნათელი კვალი დი-ტ) (დვთისნიერმა კაცმა ნათელი კვალი და-ტოვა); 3. ტ) (არჩინა). მაგ., გიორგიქ) მაჭალე ღურას გინა-ტ) (გიორგიმ მეგობარი სიკვდილს გადა-არჩინა); 4. ტ) (ტევა) ლეხიქ) ბრელი წვალებაში უკული შური გო-ტ) (ავადმყოფმა ბევრი წვალების შემდეგ სული განუტევა); 5. ტ) (შვა). მაგ., ბადანაქ) ხვილირი ხოჯი გოუ-ტ) (ბავშვმა დამწყვდეული ხარი გაუ-შვა).

„როგორც ვხედავთ,– აგრძელებთ თქვენ, – იმის მიხედვით, თუ რომელ ზნმნისწინს ირთავს ძირისეული ფორმა ტ), ღებულობს სხვადასხვა მნიშვნელობას, ხოლო იგი ირთავს რა ყველა ზმნისწინს, გვაძლევს მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას. ეს აღრიცხული არა აქვთ ზემოხსენებულ ავტორებს“.

„რაც შეეხება ტ ბგერის წარმომავლობას, იგი უნდა წარმოშობილიყო ხელის მტევნების ურთიერთ შემოკვრის დროს მიღებულ ბგერათა კომპლექსზე ტ) ხმაბაძვით. აქედანაა მიღებული სიტყვა ტაში (ტ)ში, პირდაპირი თარგმანით ტ)სი). იმის გამო, რომ ტ) ბგერათა კომპლექსს გამოსცემს თითების შემოკვრა, ალბათ, ამიტომ შედის სიტყვის მტევანი შემადგენლობაში ბგერა ტ). ხოლო რადგანაც ძირისეულ ფორმას ტ), აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა, ანუ, ომონიმი, შესაძლოა, აღნიშნულ კომპლექსს გამოსცემდეს სხვადასხვა რეალობები და მათზე ხმაბაძვით ჰქონდეს მიღებული სხვადასხვა მნიშვნელობები, მაგრამ იბერიული (ე. წ. მეგრული) ენის მიერ სახელმწიფო ენის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ იყოს მივიწყებული.“

რა არის ყოველივე ეს, ბატონო კუკური, თუ არა პირადი ფანტაზიის ნაყოფი? განა შეიძლება, ამგვარი ეტიმოლოგიური ძიებების მართებულად მიჩნევა?

რაც შეეხება თქვენს განაცხადს, „ავტორებს ტ) და სხვა ძირისეული ფორმების ლექსიკა აღრიცხული არა აქვთო“, ნახეთ შვიდტომეულის შესაბამისი ტომების შესაბამისი გვერდები და დარწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. თუმცა, მთავარი ეს როდია.

თქვენ, რატომღაც, სიტყვებს უწოდებთ ამგვარ ფორმებს: ზ), დო-ზ), ფ), ქო-ფ) და სხვა, მაშინ როდესაც ასეთი სიტყვები მეგრულში არა გვაქვს, არამედ გვაქვს სიტყვები, შესაბამისად: ზუუ (ზილა. სახელზმნა ზალა, ზუალა ზელვა); დო-ზუუ (დაზილა, მოზილა); ფუუ (იდუდა, სახელზმნა ფუალა დუღილი), ქო-ფუუ (ადუდდა) და ა. შ. არ გავაგრძელებთ.

ამ წერილის დაწერას ერთ კვირაზე მეტი მოვანდომე, ისე მიმძიმდა (გასაგები მიზეზით) წინადადებიდან წინადადებაზე გადასვლა (მაგრამ უპასუხობაც არ ვარგოდა), ამასობაში, ბატონო, კუკური, აი, რა ვიფიქრე: ჩვენს ნაშრომებში ასახულ ზოგ მონაცემსაც ხომ არ მიუძღვის გარკვეული როლი თქვენს შეცდომებში? აი, რა გვაქვს მხედველობაში: ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაშრომები მართლაც ზღვა მასალას მოიცავს, მათში ყველაფერი როდია სრულად ნათქვამი, ამოწურული; მეორედა, მაგალითად, იქ, სადაც განხილული გვაქვს სიტყვა „მსგავსია“, მოცემულია ასეთი შეფასება: მსგავსია სიტყვის ძირია გ. მისი თანმხლები დანარჩენი ბგერები)-ბგერისეული წარმომავლობის აფიქსებია. სიტყვა მსგავსია სიტყვა-სიტყვით გამოხატავს: მ-ს [მას] გვანებული ის ([არის]. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიტყვა მსგავსია აღნიშნული სიტყვების კომბინაციით შედგენილი სიტყვა იყოს; მესამედა, იქ, სადაც განხილული გვაქვს საკითხი მეგრულის სიტყვების აღწერილობითი ხასიათის შესახებ, მოტანილი გვაქვს ასეთი მაგალითებიც: მეგრულში გვაქვს სიტყვა მე-ურ-ც-უ მიდის, მაგრამ გვაქვს ამგვარი სიტყვებიც: მიო-გვანჯღ-ან-ც) „გვინჯღალი“, ანუ დაბალი, ჩაფსკვნილი და ჩია ერთგვარი, მიდის გარკვეული ტაქტით, მისმიერი იერსახით; მი-ო-ბაზ-ან-ც) „ბიზალი“ ანუ მსხვილი და გაბერილი მიდის მისმიერი იერსახით, მი-წარკ-ალ) „წირკალი“ ანუ წერწეტა მირბის ან მიდის ჩქარა და ტანრხევითად მისმიერი იერსახით. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ეს სიტყვები წარმოდგენილნი იყვნენ აღნიშნულ ფორმებთან. ამგვარი ახსნის საშუალებას (საჭიროების გამო) იძლევა ასეთი სიტყვების ძირისეული ფორმები, რაც მოქმედი საგნის როგორადობის წარმომჩენი (ზედსართავისახელისეული) ფორმებია, და ის დერივატი საგრამატიკო საშუალებები, რომლებიც ახლავს მოცემულ ფორმებს აფიქსების სახით. იმის გამო, რომ იგივეძირიანი ფორმები ქართულში (არც სხვა ენებშიც) არა გვაქვს, ასეთი სიტყვები სწორედ ამგვარი აღწერილობითი ხერხით უნდა განიმარტონ.

დაბოლოს, გაურკვევლობას ხომ არ იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენ გარკვეული მიზნით, როგორც ხმაბაძვით ისე არახმაბაძვითი სიტყვებიც შეგნებულად დაყვანილი გვაქვს ძირისეულ თანხმოვნურ ფორმებამდე

თუმცა ამათი მიზეზები და საფუძვლები, ჩვენ, თავის დროზე და თავის ადგილას ახსნილი გვაქვს და თქვენ იგი დანახული უნდა გქონდეთ, ბატონო კუკური.

ამჯერად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოვადგინოთ ცალკეული მოკლე დასკვნაც და მოსაზრებაც. აი, ისინიც:

ბატონო კუკური! თქვენი განაცხადი იმის შესახებ, რომ რომ შვიდტომეულის ავტორებს მეგრულის 30 (სინამდვილეში – 29) თანხმოვანი ბგერიდან თუ ძირისეული თანხმოვნური ფორმდან თითქოსდა გამორჩენილი გვქონდეს 16 მათგანის „გამღები კონკრეტული ფიზიკური რეალობების“ ჩვენება, როგორც ზემოთ წარმოვაჩინეთ, აბსოლუტურად მცდარია. სინამდვილე ის არის, რომ ჩვენ დიახაც წარმოვაჩინეთ მეგრულის 29-ვე თანხმოვანი ბგერის, ასევე, დანარჩენი 8 ბგერის გამღები კონკრეტული რეალობები, მაგრამ არა მხოლოდ 29 ან 37 ამგვარი რეალობის მიხედვით, არამედ 1869 რეალობის მიხედვით, იმდენად რამდენადაც, როგორც გამოკვლევამ დაგვანახა, თანამედროვე მეგრულ ენის სამეტყველო ბგერები მიღებულია ბუნებაში მოცემული (ბუნების საგანთა მიერ გაღებული) 1869 გაბმული, დაუნაწევრებელი ბგერებისაგან ანუ ხმიანობებისაგან.

აი, რატომაც არ გააჩნიათ სამეტყველო ბგერებს ანუ ფონემებს მნიშვნელობა (რასაც თქვენ ეძებთ, და, – ნებისმიერ საფუძველზე,– თითქოსდა პოულობთ კიდეც) და რატომ აქვთ მათ მინიჭებული მხოლოდ მნიშვნელობამცველი ანუ დისტინქციური უნარი;

აი, რატომ გააჩნიათ მნიშვნელობა მორფემებს და თვით სიტყვებს, ოღონდ ხმაბაძვით ანუ ბუნებრივ საფუძველზე წარმოშობილ ამგვარ ენობრივ ერთეულებს და არა ხელოვნურ საფუძველზე შემოღებულ „წმინდა წყლის“ პირობით ნიშნებს, რომელთათვის მხოლოდ ცნებითობა არის დამახასიათებელი;

აი, რატომაც წარმოადგენს ნებისმიერი ენის ლექსიკა საგანთა სამყაროს თავისებურ მოდელს.

აი, რატომაც წარმოადგენს მეგრული ენის ლექსიკა, – მისი გასაოცარი სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, – საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს;

აი, რატომაც არის აუცილებელი, სიტყვის ეტიმოლოგიის შესწავლისას სიტყვის სწორად დაშლა მის შემადგენელ ნაწილებად, და არამცდაარამც, მისი დარღვევით ანუ ნებისმიერ საფუძველზე, – ესე იგი, ჩვენი ნება-სურვილის მიხედვით.

დაბოლოს, აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი რეალობის შესახებაც: როგორც ამ წერილის თავშივე ითქვა, მეგრული ენის ლექსიკის შესწავლის მაგალითზე, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა არა მხოლოდ ამ ენის, არამედ ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის წარმოშობის საფუძვლები.

ცხადია, ნებისმიერი ენის წარმოშობის საფუძველთა საფუძველს (ფილოგენეზური თვალსაზრისით) წარმოადგენს ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმაბაძვითობა.

დედამიწაზე არსებული ყველა ენის სამეტყველო ბგერები ერთი და იმავე მასალისაგან,– ბუნებაში მოცემული მგერებისაგან წარმომავლობენ, ანუ წარმოადგენენ ბუნებაში მოცემული ბგერების ადამიანისეულ რეპროდუქციას.

ხმაბაძვითი წარმომავლობის ენობრივი ერთეულები, მორფემები და სიტყვები ერთნაირადვე არიან დეტერმინირებულნი და ერთნაირ საფუძველზე გვევლინებიან იდეამტარებლებად, ანუ მოტივირებულებად.

მართლაცდა, რითია განსხვავებული ერთმანეთისაგან, მეგრულის ღ)რინი‖ღრიალი, ქართულის ღრიალი და რუსულის გრიზიც. ცხადია, არაფრით, გარდა იმისა, რომ სხვადასხვა პირველყოფილი ადამიანების მიერ რამდენადმე განსხვავებულად არის აღქმული დათვის თუ სხვათა ღრიალი და, შესაბამისი საარტიკულაციო ბაზისის განვითარების გამო, მიღებულია ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული სამეტყველო ბგერებიცა და სიტყვებიც.

მაშასადამე, თქვენი და სხვათა მოსაზრებები (რასაც ძალიან ხშირად ახმიანებთ) იმის შესახებ, რომ თითქოსდა მნიშვნელობები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ მეგრული (იბერიული, კოლხური) ენის სიტყვებში, და ასეთი რამ არ გააჩნდეთ სხვა ენების სიტყვებს; რომ, ენის წარმოშობის საფუძვლები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ მეგრულ ენაში, აბსოლუტურად მცდარია. სხვა საკითხია ის, რომ მეგრული ენა ძალზე მდიდარია ხმაბაძვითი წარმომავლობის სიტყვებით და მათს საფუძველზე მიღებული უკიდეგანო ლექსიკით; რომ მასში ნათლად იკითხება ენის წარმოშობის საფუძვლებიც და განვითარების ისტორიაც. ეს რეალობა ჩვენს ნაშრომებში კარგად გვაქვს ახსნილი და ამიტომაც ჩვენს გაკვირვებასაც კი იწვევს ის,რომ ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს თქვენს ნაწერებში ხშირად ვხვდებით ხოლმე.

ჩვენს გაკვირვებას წვევს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად არა ერთი მეცნიერმკვლევარის და სხვათა, მათ, შორის, პროფ. ნ. ლემონჯავასა და ჩვენი შენიშვნა-თხოვნისა, რომ მეგრული და ქართული ენების მოხსენიებისას შეგეწყვიტათ წინ წამძღვარიება ერთობ დამაკნინებელი და შეურაცხმყოფელი ფორმულირებისა „ე. წ.“ (ქართული გაგებით, ეს ხომ არარაობის გამოსახატავად გამოიყენება), თქვენ ვერ შეელიეთ თქვენს მოსაზრებას და პრაქტიკას ამ მხრივ. „იაფეტური ენა“, „იბერიული ენა“, „კოლხური ენა“ აღრინდელი სახელებია თანამედროვე მეგრული (და არა მხოლოდ) ენისა, მეგრულ ენად ის მრავალი საუკუნის წინათ იქნა სახელდებული, კონკრეტულ ობიექტურ საფუძველზე, და არა ვინმეს ნება-სურვილით, როგორც თქვენ მიგაჩნიათ. ამგვარი ცვლილებანი ენათა და სხვათა სახელწოდებისა, განა მრავლად არ მომხდარა და არ ხდება ხოლმე? მაგალითად, აღრე ქვეყანას სოფელი ერქვა, კუბოს კი ტახტი, მაგრამ ამის გამო, ახლა რამდენად მართებული იქნება, რომ ვწეროთ „ე. წ. ქვეყანა“, „ე. წ. კუბო“ და ა. შ.;

ჩვენს გაკვირვებას იწვევს ეტიმოლოგიური კვლევის თქვენეულ მეთოდებთან და შედეგებთან მიმართებაში ჩვენი ნაშრომების შესახებ თქვენს მიერ გაკეთებული შემდეგი განაცხადები: 1) „ეტიმოლოგიური კვლევის ჩემეული მეთოდი, ვფიქრობ, თქვენს ტიტანურ შრომებთან არავითარ წინააღმდეგობაში არ მოდის, პირიქით, პირველყოფილი მეტყველების შესახებ თქვენს მიერ დადგენილი დებულებების კონკრეტული მაგალითებით დადასტურებად მიმაჩნია“; 2) „სანამ ძირისეული ფორმების კონკრეტული მაგალითების კვლევის უფრო სრულყოფილი მეთოდი შემუშავებული არ არის, ჩემი შეხედულებების უარყოფა შეიძლება მართებული არ იყოს“; 3) პროფესიონალი ენათმეცნიერები თუ გამოიჩენენ ამ მიმართულებით დაინტერესებას და ჩემს მიგნებებს განავითარებენ... და შეეცდებიან ე. წ. მეგრული ენის სიღრმისეულ შესწავლას, ლინგვისტური მეცნიერება მნიშვნელოვან ნახტომს გააკეთებს თავისი განვითარების ისტორიაში“ („ილორი“, 284)...

განვიხილოთ ერთობლიობაში, სამივე მოსაზრება:

ეტიმოლოგიური კვლევის თქვენეული შეხედულებები და მეთოდი რომ ჩვენი ნაშრომების მონაცემებთან აშკარა წინააღმდეგობაში მოდის, ვფიქრობთ, უკვე კარგად დაინახეთ და მას არ (ვერც) გავიმეორებთ. ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ჩვენი ნაშრომები პირველყოფილი მეტყველების შესახებ დებულებების დადგენით შემოიფარგლებოდეს და თქვენი კვლევები ამ დებულებების კონკრეტული მაგალითებით დადასტურებას წარმოადგენდეს, შემდეგი ვითარების გამო: ჯერ ერთი, ჩვენს ნაშრომებში წარმოჩენილია ენის (მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენისა და სხვადასხვა ენის) წამოშობა-განვითარების მთელი ისტორია, თავგადასავალი: ეს, ჩვენ სრულად და ნათლად წარმოვაჩინეთ გამოკვლევის ობიექტის მეგრული ენის გასაოცარი სიმდიდრის ლექსიკის – 1 მილიარდ 410 მილიონზე მეტი სიტყვის – ანუ კონკრეტული მაგალითების ფანტასტიკური სიმრავლის – ეტიმოლოგიის დადგენის საფუძველზე. (დაუდგენელი დაგვრჩა მხოლოდ ამ ლექსიკის ერთ მემილიონედ ნაწილზე ნაკლები სიტყვების წარმომავლობა); ეს მიღწეულ იქნა ძირისეული თანხმოვნური ფორმების დიახ სრულყოფილი, შეიძლება ითქვას, – უნივერსალური (ლათ. ერთადერთი და განუმეორებელი) მეთოდის გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, გამოიხატა ჩვენს მიერ, ჯერ კიდევ ადრე, ხმაბაძვითი სიტყვების გამოცნობის 9 კრიტერიუმის წარმოჩენაში და მის გამოყენებაში საკვლევი ენის მთელი კოლოსალური ლექსიკის სიტყვათწარმომავლობის დადგენის საქმეში. მეგრული ენა, ჩვენს მიერ, დიახ შესწავლილია სიღრმისეულად, თანაც ისე, რომ ამ მხრივ მას ბადალი არ ეძებნება მსოფლიოს ენებს შორის.

რაც შეეხება ძირისეული თანხმოვნური ფორმების თქვენეული კვლევის კონკრეტულ მაგალითებს, როგორც უკვე დავინახეთ, ისინი საამისოდ გამოუსადეგარი აღმოჩნდა და ამიტომაც, მომავალში „კვალიფიციური ენათმეცნიერების მიერ თქვენეული კვლევის მეთოდის შემდგომი განვითარებისა და ენათმეცნიერებაში ნახტომის გაკეთების“ პერსპექტივა არ იკვეთება, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც ენის წარმოშობის საფუძვლების ამოხსნით განსაკუთრებით დიდი ნახტომი უკვე გაკეთებულია.

გაითვალისწინებთ თუ არა, სამომავლოდ, ყოველივე ამას, თქვენ და სხვებიც, ბატონო კუკური, ეს თქვენი საქმეა. ჩვენის აზრით კი, ზემოაღნიშნულთან ერთად, მიგვაჩნია, რომ გასათვალისწინებელია აგრეთვე შემდეგი:

უთუოდ გარკვეული სიფრთხილეა საჭირო ჩვენი ნაშრომების შეფასებისას, მათი მონაცემების სისწორის ჯეროვნად აღქმა-გაგების თვალსაზრისითაც, და, იმის გათვალისწინებითაც, რომ ეს ნაშრომები წარმოადგენენ არა მხოლოდ მათი ავტორების ან თუნდაც სრულიად საქართველოს კუთვნილებას, არამედ მთელი კაცობრიობის კუთვნილებასაც (ეს მხოლოდ ჩვენი შეფასება როდია);

სიფრთხილეა საჭირო ჩვენმიერი მონაცემების: დებულებების, დასკვნების თეორიების, ჰიპოთეზების, შეხედულებების გამოყენებისას; სასურველია. რომ ციტატები მათ შესახებ, წესისამებრ, წარმოდგენილ იქნან უცვლელად, ინტერპრეტაციის გარეშე (ხოლო თუ ასეთი საჭიროა, იგი ცალკე უნდა გაკეთდეს) და განთავსდნენ ბრჭყალებში; ამასთან, მითითებულ იქნას ავტორებიცა და წყაროებიც, ვინაიდან უამისოდ, არც თუ ისე იშვიათად, ადგილი აქვს ავტორებისა და წყაროების ნებსით თუ უნებლიეთ მიჩქმალვას და იგნორირებასაც კი;

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ᲗᲣ ᲚᲮᲘᲜᲨᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲭᲘᲠᲨᲘᲐᲪ ᲔᲑᲠᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲧᲝᲗ..., ᲐᲜᲣ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

შეუძლებელია არ აღგაშფოთოს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულმა ბოლოდროინდელმა ტრაგიკულმა სტატიებმა, რომლებიც საქართველოს უძველესი ისტორიული კუთხის, დღეს საინგილოდ წოდებული მხარის ქართული მოსახლეობის გაუბედურებულ ყოფას ასახავს.

ამჟამად მსოფლიო ცივილიზაციის მოვლენებზე, ყველა კონტინენტის ხალხთა ყოფაზე, ყოველდღიური ინფორმაციული წყაროების საშუალებით, თითქმის ყველაფერია ცნობილი, მაგრამ რაც აზერბაიჯანის (თვითსახელი – აზერბაიჯანლილარ) რესპუბლიკაზე „გაჩუქებული“ 50 ათასიანი ინგილო ქართველების თავზე ხდება, მსგავსი უბედურება არსად არაა დაფიქსირებული.

დღევანდელი საინგილოს ანუ ადრინდელი სახელწოდებით კაკ-ელისენისა და ჭიაურის სამოურაოს ქართველების გაუბედურებულ ცხოვრებაზე, რომელიც მე-17 საუკუნიდან დღემდე გრძელდება, უდაოდ ლომის წილი მიუძღვის იქაურ ქართველ გამაჰმადიანებულ თავადებს – ვახვახიშვილებს, ქართული წარმომავლობის ალიბეგებს, სულთანებს, რომლებიც თავის მეფეებს ღალატობდნენ და საკუთარი ინიციატივით შეკრებილი მეომარი რაზმებით „პირსისხლიან შაჰს ედგათ გვერდით ქართველთა ჟლეტაში“.

ამ სტატიაში არ გვიცდია საინგილოს ქართული მოსახლეობის უმძიმესი, ვიტყოდი ტრაგიკული ისტორიისა ნიუანსებში ჩავწვდეთ, მაგრამ ზოგ რამეზე შევჩერდებით.

ისტორიიდან ცნობილია, რომ 1615-1616 წ.წ. შაჰ-აბასმა პირადად ილაშქრა კახეთის სახელმწფოზე და იგი მთელი სისასტიკით მიწასთან გაასწორა. მათ შორის, იყო კაკის სამოურავოც. თუმცა ასეთი შემოსევებით მტერმა მიზანს ვერ მიაღწია, უფრო მეტიც 1625 წელს ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით მარტყოფის ველზე, ერთი შეხედვით უძლეველი შაჰის უზარმაზარ არმიას მუსრი გაავლეს. სააკაძემ თავისი ძლევამოსილი ჯარით საქართველოს საზღვრებიდან გააძევა ყიზილბაშთა გარნიზონები და აქ ჩამოსახლებული მომთაბარე თურქმენული ტომები, შემდეგ „ფიცხელ აიჭრა“ დაღესტანში და კახეთის წამება-აოხრებაში მონაწილე ლეკთა თემები სათანადოდ დასაჯა. მაგრამ ქართული მშრომელი მოსახლეობის ნაშრომ-ნაამაგარი სიმდიდრის მიტაცებაზე დაჩვეული ლეკურწახურული თემები, მაინც არ იშლიდნენ თავიანთ სიავეს და ჯგუფურად თავს ესხმოდნენ ალაზნის ველზე კაკ-ელისენისა და ჭიაურის მოსახლეობას, აწიოკებდნენ მათ, იტაცებდნენ ყველაფერს, მათ შორის ადამიანებსაც გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით.

რა თქმა უნდა, ქართველი მეფეები ვერ ურიგდებოდნენ გამუდმებულ შემოსევებს, ამიტომ მეფე თეიმურაზ I-მა და ზურაბ ერისთავმა ზედიზედ ორჯერ დალაშქრეს ქურმუხისა და სამურის ხეობები, გაწმინდეს მომთაბარე ველურებისაგან და დროებით ამოსუნთქვის საშუალება მისცეს ქართულ მოსახლეობას.

თუმცა შემდეგში არ წყდება ველურთა თარეში ქართულ მიწა-წყალზე, ვერც საკმაოდ დასუსტებული საქართველო იცავს თავს გაძლიერებული მტრებისაგან, ამიტომ ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ფიზიკური გადარჩენის მიზნით იძულებულია დათმოს ქრისტიანული სარწმუნოება და მაჰმადი აღიაროს. ეს უსიამოვნო პროცესი ქართულ მოსახლეობაში გრძელდებოდა რუსეთის კოლონიური ჯარების შემოსვლამდე კავკასიაში.

სწორედ 1840-იან წლებში ელისოს სულთანი იყო გენერალ-მაიორი დანიელ-ბეგი, რომელმაც 1844 წელს უღალატა რუსეთის ხელისუფლებას და მიემხრო შამილს. ამით განაწყენებულმა რუსებმა ელისოს მოსახლეობას მოაშორა მოღალატეები, გაანთავისუფლა ისინი სულთან ვახვახიშვილის სახლის ყმობისაგან ეკონომიურად წახალისებულმა და ძალადობისაგან განთავისუფლებულმა ქართულმა მოსახლეობამ სწრაფად აღიდგინა ქრისტიანული – თავისი დიდი წინაპრების სარწმუნოება.

საინგილოს ქართულმა მოსახლეობამ მეტ-ნაკლებად წარმატებებით ასე მოაღწია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თუმცა ჩვენს სულისა და ხორცის ალალ ნაწილს, არც ამან უშველა. თუ მთელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე „ჩამორიგებული“ იქნება შედარებით მცირე რაოდენობის ხალხებზე ავტონომიები ან ავტონომიური ოლქები, საინგილო აზერბაიჯანის ტერიტორიის უბრალო დანამატად იქცა და რაიკომის მდივნებიდან დაწყებული უშიშროების თანამშრომლებით დამთავრებული, ყველაფერს აკეთებდნენ რათა მათთვის ქართული სული ამოეძირკვათ. ასე, რომ საბჭოთა პერიოდში უფრო გამწვავდა საინგილოს ქართველთა ცხოვრება.

თუმცა, ინგილოელი ქართველები, ვერ ურიგდებოდნენ აბსოლუტურ გადაგვარებას, ამიტომ დედასაქართველოს მხარდაჭერით 1960-1961 წლებში დელეგაცია გაიგზავნა მოსკოვში უამრავი საჩივრებით, რის შედეგად მოხდა სერიოზული გარდაქმნები მათ ცხოვრებაში – ინგილო ქართველებს აღუდგა ქართული სკოლები, ხოლო ზაქათალაში გაიხსნა სკოლა-ინტერნატი.

მაგრამ ორ-სამ წელიწადში 1963-1964 წლებში, აზერბაიჯანის **სუკ**-ის წარმომადგენლებმა დააშინეს ზეგამისა და თასმალოს ავტორიტეტები და ქართული სკოლები აზერბაიჯანულად გადააკეთეს.

ახლა, კონკრეტულად მოგითხრობთ თუ რა მდგომარეობაა დღეს აზერბაიჯანის საინგილოს ქართულ მოსახლეობაში და პარალელურად ვისაუბრებ ჩვენი მოძმე აზერბაიჯანის უფლებების შესახებ საქართველოში.

არ შეიძლება არ აღგაშფოთოს ს. კერესელიძის მიერ ჟურნალ „საპატრიარქოს უწყებანში“ (№27 და №28) გამოქვეყნებულმა სტატიებმა, რომელშიც ასახულია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე – საინგილოში მცხოვრები იმ 40 ათასი წამებული ქართველების ბედ-იღბალმა, რომელშიდაც ისინი იმყოფებიან ბოლო ათეული წლების განმავლობაში..

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანელმა ხელმძღვანელობამ „მოახერხა“ რამდენიმე ქართული სოფლის მოსახლეობის დენაციონალიზაცია და ასიმილაცია, რომლის პროცესი დღემდე ინტენსიურად გრძელდება.

რის შედეგადაც მათი გარკვეული რაოდენობა იძულებით გააზერბაიჯანულები ან გალეკებულნი არიან.

ამ რამდენიმე ხნის წინ, საინგილოში ჩასულ ქართველ ჟურნალისტებთან ერთ ხანდაზმულ ინგილოელს დიდი გულისტკივილითა და ღვარძლით უთქვამს: – „ჩვენ ადრე ქართველები ვიყავითო“. ასეთი უკუღმართი ბედი ჩვენი ერის იმ წარმომადგენლებს ადრედაც რგებიათ, მაგრამ ეს ხომ არაა ის დიდი ქვეყნები: როგორიცაა ულმობელი თურქეთი, სპარსეთი, საბერძნეთი, ან რუსეთი. აზერბაიჯანი შედარებით მცირე ქვეყანაა, თან ჩვენი უახლესი მეზობელი და მოძმე ერი, რომელთანაც ბევრი სასიკეთო ურთიერთობები გაგვაჩნია. თუმცა როგორც პრაქტიკიდან ჩანს, აზერბაიჯანული მარწუხები არანაკლები სიმწრით უჭერს ჩვენს ქართველებს, რის გამოც დღეს ასიმირებული და გააზერბაიჯანებულია ქართული სოფლები: ზეგამი, თასმალი, მარსანი, ყორაღანი, ქანდახი, ყაფანაჩხი, ვერხიანი, ჰენგიანი, შოთავარი და სხვა. ამ სივრცის ქართველთა შთამომავლობამ არც ქართული ენა იცის და არც წერა-კითხვა, რა თქმა უნდა არც მშობლიური ერის ისტორია.

განუსაზღვრელი სიძულვილი და ჩაგვრა ქართველებისა აზერბაიჯანელების მიერ, მსგავსი დღეს ალბათ არსად არც ერთ კუთხეში არ ხდება. აქვე უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობა საქართველოში ინტენსიურად იზრდება და თუ 1926 წელს მათი რიცხვი შეადგენდა 137 ათასს, 1969 წელს ორჯერ მეტი იყო და მან 308 ათასს გადააჭარბა. საჭიროდ მიმაჩნია, მკითხველს მივაწოდო ქრონოლოგიურად იმ უფლებების შესახებ, რითაც აზერბაიჯანელი მოსახლეობა სარგებლობს საქართველოში და ქართველები აზერბაიჯანში:

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

1. ამჟამად მოქმედებს ასზე მეტი აზერბაიჯანული სკოლა და სექტორი;

2. მარნეულში გახსნილია აზერბაიჯანული უნივერსიტეტი – ჰეიდარუნი;

3. აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში მოქმედებს ათეულობით მეჩეთი, სადაც აზერბაიჯანელი სასულიერო პირები აღმსარებლობის სრული თავისუფლებით სარგებლობენ;

4. თბილისში გაიხსნა აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი;

5. თბილისში და რუსთავში გაიხსნა ჰეიდარ ალიევის სკვერები, რაც მისასალმებელია;

6. საქართველოში ჩამოყალიბებულია „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, რომელიც ყოველდღიურად აზერბაიჯანულ ენაზე გადასცემს ინფორმაციულ ცნობებს. მარნეულში არსებობს აზერბაიჯანული ტელევიზია და პრესა. ბაქოს ტელევიზიებს მუდმივი კორესპოდენტები ჰყავთ ქვემო ქართლში;

7. ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეების უფლებებს საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურების გარდა იცავს არასამთავრობო სექტორი და საერთაშორისო ორგანიზაციები;

8. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანულ მოსახლეობას აქტიურად უჭერს მხარს ბაქო, ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ, ხელს უწყობენ მათთვის აუცილებლად საჭირო საკითხების მოგვარებაში;

9. საქართველოს ადმინისტრაცია, არასოდეს ჩარეულა აზერბაიჯანული ოჯახების შინაურ საქმეებში, განსაკუთრებით კი ახალდაბადებულთა სახელებისა და გვარების შერჩევის მიზნით;

10. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა ქართული, მაგრამ მაინც ინიშნებიან თანამდებობებზე საჯარო სამსახურებში;

11. როგორც აზერბაიჯანში, ასევე საქართველოში, აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე თითქმის ყველამ იცის;

12. საქართველოში აზერბაიჯანული დღესასწაული „ბაირამობა“ უქმე დღედ არის გამოცხადებული და მას საქართველოს მთავრობა ოფიციალურად ულოცავს და პატივს მიაგებს მას. ქართული მედია ყოველთვის აშუქებს აზერბაიჯანულ ეროვნულ თუ რელიგიურ დღესასწაულებს;

13. ცნობილი ამბავია, რომ საქართველოში ასობით აზერბაიჯანული სკოლა ფუნქციონირებს, ასევე გახსნილია უნივერსიტეტი. მათ მიერ შედგენილი პროგრამით მუშაობენ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, ეს მათი ისტორიაა თუ ეროვნული ლიტერატურა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲒᲘᲚᲝᲨᲘ

1. ქართული სკოლები დაკეტილია ან იკეტება იმ მოტივით, რომ „ყველამ აზერბაიჯანულად უნდა ისწავლოსო“. „იქნებ საქართველომ ალიაბადში ერთი ქართული სკოლა მაინც აგვიშენოსო“ – იხვეწება ქართული მოსახლეობა (ალიაბადში 11 ათასი ქართველი ცხოვრობს);

2. აზერბაიჯანის – საინგილოში ასეთი რამ შეუძლებელია;

3. აზერბაიჯანის საინგილოში ქართული უძველესი ტაძრების აბსოლუტური უმრავლესობა დაკეტილია, ისინი „ალბანურ ძეგლებადაა“ შერაცხული. მთელს საინგილოში კი მხოლოდ ერთადერთ ქართველ მართლმა-დიდებელ მოძღვარს ეძლევა მოღვაწეობის უფლება. სხვა ტაძრების ამოქმედებასა და ახალი სასულიერო პირების დანიშვნის უფლებას აზერბაიჯანული ადმინისტრაცია კატეგორიულად ზღუდავს;

4. საინგილოში ანზორ დოლენჯაშვილმა დაარსა ალიბეგლოს სახელობის ქართული თეატრი, რომელიც მხოლოდ ფორმალურადაა და დღეს სავალალო მდგომარეობაში იმყოფება უპატრონობის გამო, ნახევრად დანგრეულთა;

5. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ქართველი ეროვნების ცნობილი ადამიანი მოღვაწეობდა აზერბაიჯანში, არც ერთი მათგანის სახელი არაა დაფიქსირებული;

6. პასუხად აზერბაიჯანის საინგილოში „არათუ ქართული ტელევიზია და პრესა, გამომცემლობა, არამედ თბილისიდან ქართული პრესის გამოწერა და იქ ჩატანა სასტიკად აკრძალულია“ (ს.კ); საინგილოში მცხოვრები ქართველებისათვის ასეთი რამ, მხოლოდ ოცნებაა;

7. ასეთი რამ, საინგილოში მცხოვრები ქართველებისათვის მიუწვდომელი ფუფუნებაა;

8. საინგილოს ქართველები მოკლებულნი არიან მსგავს ყურადღებას. თბილისის მხარდაჭერა ეპიზოდურია და არაეფექტური;

9. ინგილოელ ქართველებს ადგილობრივი ადმინისტრაცია აიძულებს ქართველ მშობლებს, ახალდაბადებულ ბავშვებს დაარქვან აზერბაიჯანული სახელები. კიდევ უფრო გაუგონარ დისკრიმინაციას აქვს ადგილი გვარების დაფიქსირების შემთხვევაში;

10. აზერბაიჯანის საინგილოში, სადაც ქართველებმა აზერბაიჯანული სახელმწიფო ენა იციან, ხშირად უფრო უკეთესად, ვიდრე თავიანთი მშობლიური ენა, მიუხედავად ამისა იქ ქართველებს თანამდებობებზე არ ნიშნავენ;

11. იმის გამო, რომ აზერბაიჯანის საინგილოს რიგ რაიონებში ქართული სკოლები ვერ ფუნქციონირებენ, ათასობით ახალგაზრდამ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არ იცის, არც წარმოდგენა აქვთ თავიანთ ისტორიაზე;

12. აზერბაიჯანის საინგილოში არათუ მთავრობის წარმომადგენლები, არამედ რაიონის და სოფლის ადმინისტრაციაც კი არ თვლის საჭიროდ ქართულ მოსახლეობას მიულოცოს რომელიმე ეროვნული დღესასწაული, მათ შორის გიორგობაც, რასაც ადგილობრივები ქურმუხობას ეძახიან. უფრო მეტიც, ქართულ-აზერბაიჯანულ სახელმწიფო საზღვარზე ინგილო ქართველებს არანაირი ქართული ლიტერატურას, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს არ შეატანინებენ და მას მებაჟეები უსიტყვოდ ართმევენ, „ეს მოხდა მაშინაც კი, როცა ამ პროცესს ქართველი ჟურნალისტები ვესწრაფოდით“ – წერს ჟურნალისტი ბატონი სერგო კერესელიძე;

13. აზერბაიჯანის საინგილოს სკოლებში, კერძოდ ალიაბადში, სადაც 11 ათასი ქართველი ირიცხება, ქართველი ბავშვები უკიდურესად დისკრიმინირებულია. ამ მოსწავლეებს I-II კლასებში ქართულად საუბარს უკრძალავენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დასჯა არ აცდებათ, ხოლო მათ მშობლებს ამაზე ხმის ამოღების ეშინიათ, ისინი **სუკ**-ის მიერ დატერორებულნი არიან.

აი, როგორ მიმართავენ დედა საქართველოს ინგილოელი ქართველები, ანუ შიშით გამოწვეული მორიდებული ვედრება: (ამონარიდი ს. კერესელიძის სტატიიდან – „არ მინდა ჩვენი ენა დაიკარგოს „საპატრიარქოს უწყებანი“ №27).

„ერთიანობა არ არის, ყველა ზრუნავს საკუთარ თავზე და საკუთარ ოჯახზე, იმიტომ, რომ საქართველოს დაკარგულ ტერიტორიაზე ვართ მიგდებულად... ხელს არ გვიწყობს საქართველო და ჩვენ ვერაფერს ვერ ვაკეთებთ დამოუკიდებლად“...

„მე ძალიან მწყინს ქართული მთავრობის, რომ ყურადღებას არ გვაქცევს, მაგალითად ჩვენ ნებას არ გვრთავენ, რომ ქართული სახელები დავარქვათ ბავშვებს... ქორწილშიც კი გვიშლიან, რომ თამადამ ქართულად ისაუბროს“!

„აზერბაიჯანელი დეპუტატები საქართველოში ჩადიან აზერბაიჯანელთა პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ საქართველოს პარლამენტის დეპუტატები არ ჩამოდიან ჩვენთან ინგილოების პრობლემების მოსაგვარებლად... ზაქათალასა და ბელაქნის რაიონებში ქართველთა მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა და თბილისის მხარდაჭერა თითქმის არ იგრძნობა“.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲓᲝᲛᲔᲜᲢᲘᲫᲔ,
ᲝᲜᲔᲠ ᲫᲐᲫᲣᲐ,
** მეცნიერების დოქტორები**

ოჯახური და მეზობლური ძალადობა

ვარ 90 წლის ასაკში, პედაგოგი, 52 წელი ვემსახურებოდი საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდა თაობის აღზრდას. 16 წელი ვმუშაობდი სკოლის დირექტორად, ერთდროულად მიმუშავია სოხუმის საქალაქო საბჭოში, საზოგადოებრივ საკითხებზე. ვასრულებდი პარტიულ დავალებას, ვიყავი ოჯახური კონფლიქტის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე. ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლი გამოვეხმაურო როგორც საქართველოს მთავრობისა და შსს მინისტრის მოადგილის ბატონ ლევან იზორიას მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ სამუშაო ვერსიას ოჯახური და მეზობლური ძალადობის შესახებ, რომელიც ძალიან მოსაწონი და მნიშვნელოვანია.

მე როგორც საზოგადოების ერთ-ერთი წევრი მსურს ჩემი წვლილი შევიტანო, ჩემი შეხედულება და გამოცდილება გადავცე დაინტერესებულ პირებს და ჩავერთო ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებაში.

ავტორები საზოგადოებას მოუწოდებენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში, მაგრამ ამას თავისი მეთოდიკა სჭირდება, სამწუხაროა, მაგრამ ამ საქმეში დღეს ვერ დავიკვეხნით საზოგადოების მაღალ აქტიურობაზე.

დღეს ცხოვრება, ურთიერთობა და მეზობლობა ტელევიზორმა შეცვალა. ქალაქ თბილისში, კორპუსებში, მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა მეზობლებისა არ იცნობს ერთმანეთს და არ იციან რა ხდება მათ სამეზობლოში. ადამიანები გახდნენ კარჩაკეტილები.

ძალადობას ყოველ ეპოქაში, ყოველ წყობილებაში ჰქონდა ადგილი. ეს იქნებოდა ოჯახური, მეზობლური, საგვარეულო, სათემო, სისხლის აღება (მაგიერის გადახდა) თუ სხვა.

ბევრი მსმენია და მინახავს ძალადობის გამომწვევი მიზეზები, მათ შორის ყველაზე გავრცელებული ოყო ეჭვიანობა – ქმარი კლავდა მეუღლეს ან მის საყვარელს. მეორე ადგილი ეკავა ეზო-კარის მიჯნას, ერთი მტკაველი მიწისათვის ან ერთი ძირი ხისათვის მეზობელი კლავდა მეზობელს ან ასახიჩრებდა. მესამე ადგილზე იყო გაყრა (მამა-შვილის ან ძმების). სასაცილოა, მაგრამ ისიც მსმენია, რომ მედიატორებმა ძმებს ურემი შუაზე გაუხერხეს, რათა ქონებაზე პრეტენზია არცერთს არ ჰქონოდა.

მომსწრე ვარ ძალადობის თავიდან აცილების მიზნით საქმეში უხუცესების ჩარევის. მცხოვანი, ავტორიტეტიანი საზოგადოების წარმომადგენლები არ იშურებდნენ ძალღონეს, რათა შეერიგებინათ გადამტერებულები.

"ვაჟკაცობა ის არის, კაცმა მტერი მოყვარედ გადაიხადოს, თორე მოკეთე რომ გადაიმტეროს, ეგ რა ბიჭობაა" – ამბობდა დიდი ვაჟა-ფშაველა.

სწორედ ამ დევიზით მოქმედებდნენ ჩვენი წინაპრები და მიზანს აღწევდნენ. დღესაც ძალადობის გამომწვევი მიზეზები ნაწილობრივ იგივეა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დღეს ძველი თუ ახალი თაობისათვის უფრო ადვილად ხელმისაწვდომია ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი. ადამიანები თითქოს გაცივდნენ ერთმანეთთან დამოკიდებულებაში – საზოგადოებამ დაივიწყა დევიზი – **„მეზობელი მეზობლისათვის წამალია“.**

ხალხი გახდა უფრო ჯიუტი, აგრესიული, თავდაუჭერელი, მოუთმენელი, ჩემი აზრით ამის ერთ-ერთი მიზეზია ახალგაზრდა თაობის არასწორი აღზრდა. დღეს ცხოვრება სულ სხვანაირია. უწინ ქალს წისქვილში ვინ ნახავდა ზურგზე ტომარამოკიდებულს. ეს ოჯახის სირცხვილი და შეურაცხყოფა იყო. დღეს კი ჩვენი ქალების უმეტესობა ზურგზე ტვირთმოკიდებულნი სად არ არიან. ბავშვები კი დაუსწრებლად დედის ალერსისა და მოფერების გარეშე უხეშები და აგრესორები იზრდებიან. ქალებს შეჰყურებს მთელი ოჯახი, როგორც მამა-მარჩენალს. მამაკაცების გასაღიზიანებლად ქალები უფრო აქტიურები გახდნენ ყველა სფეროში ვიდრე მამაკაცები. უწინ ქალისათვის ვინმეს, რომ ეთქვა „ქალი კი არა, მგელიაო“ ეს მისთვის შეურაცხყოფა იყო ისეთი, რომ კაცზე გეთქვა „ქალაჩუნა კაციაო“. ქალი უნდა ყოფილიყო ქალური, კაცი – კაცური. მე ამით ქალებს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, პირიქით ქალებმა გადაარჩინეს ოჯახები.

მე ზევით ავღნიშნე, ბავშვები დედის ალერსის გარეშე უფრო აგრესიულები იზრდებიანმეთქი, მქონდა ამისი საფუძველი. გაგრაში კარგად ვიცნობდი საბავშვო სახლს, სკოლას სადაც უდედმამო ბავშვები ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ, რომლებიც ხასიათით დიდად განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი სკოლის ბავშვებისაგან.

ქ. თბილისში მე ყოველდღიურად ვსარგებლობ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, სადაც მგზავრები ისე იქცევიან და ექცევიან მონიტორინგის მოსამსახურეებს, იფიქრებ, ნუთუ ესენი ქართველები არიან? (დეპუტატებო! ხანდახან იმგზავრეთ საზოგადო ტრანსპორტით!).

უწინ, როგორც სკოლაში ისე უმაღლეს სასწავლებელში ამოწმებდნენ მოსწავლეებს და სტუდენტებს ცივი იარაღი ხომ არ ჰქონდათ ჯიბეში. სკოლის კლასის დამრიგებელი მიუხედავად იმისა, მას დამატებითი თანხა არ ეძლეოდა, ვალდებული იყო ევლო მოსწავლეთა კარდაკარ და დაეფიქსირებია ჟურნალში მოსწავლის პირობები მშობლების ჩათვლით, რომელიც მეოთხედში ერთხელ იხილებოდა პედსაბჭოზე, დღევანდელ პირობებში მიუხედავად იმისა, რომ კლასის დამრიგებლებს ცოტა თუ ბევრი მაინც მოუმატეს ხელფასი, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში თუ ვინმეს უნახია მოსწავლის კარდაკარ დამრიგებელი?

კომუნისტური მმართველობის დროსაც იშვიათი არ იყო ოჯახური ძალადობის მანკიერი შემთხვევები, მაგრამ მთელ რიგ მეთოდებს მიმართავდნენ მის აღმოსაფხვრელად, რომლის ღონისძიებაში მეც მიმიღია მონაწილეობა.

მართალია ეს იყო კომუნისტების პერიოდი, მაგრამ როგორც ძველმა ცნობილმა ფილოსოფოსებმა უკუაგდეს უვარგისი და დატოვეს, რაც გამოადგებოდათ, ისე ჩვენც უკუვაგდოთ კომუნისტური პერიოდის უვარგისი და გამოვიყენოთ რაც გამოგვადგება.

ოთხმოციან წლებში ვმუშაობდი ქ. სოხუმის საქალაქო საბჭოს სისტემაში, მაშინ პარტიის წევრს თუ დეპუტატს ჰქონდა საზოგადოებრივი დავალება. მე ვხელმძღვანელობდი ოჯახური კონფლიქტის კომისიას და თუ მიიღებენ ჩემი გამოცდილება მინდა გაუზიარო მსურველებს.

1. შეიქმნას ოჯახური და მეზობლური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი კომისია ქალაქია მერიებში, საკრებულოებში, მუნიციპალიტეტებში, რომელსაც უხელმძღვანელებენ გამოცდილი და ავტორიტეტიანი მუშაკები, დეპუტატები საზოგადოებრივ საწყისებზე და რომლის წევრები იქნებიან შსს-ს მუშაკები, წარმოება-დაწესებულებების გამოცდილი ადამიანები, განათლებისა და ჯანდაცვის მუშაკები. კომისიამ უნდა შეისწავლოს არამარტო სასამართლოდან თუ სხვა ზემდგომი ორგანოებიდან გამოგზავნილი მასალები, არამედ მოსახლეობისაგან მიიღოს განცხადებები აღნიშნულ საკითხზე.

2. უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, აკადემიებში და სკოლებში ხშირად უნდა ტარდებოდეს ლექცია-მოხსენებები ძალადობის საკითხებზე, რატომ უნდა ატარებდეს სკოლებში ცივ იარაღს? რატომ არ შეიძლება გასინჯვა? განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა აკისრია კლასის დამრიგებელს, რათა ძირფესვიანად შეისწავლოს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა ავკარგი.

3. კორპუსებში, საერთო საცხოვრებლებში, ქუჩებში არჩეულ უნდა იქნას ისეთი კორპუსებისა და ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარეები, რომლებსაც გული შეტკივათ საერთო საქმეზე. მათი ავტორიტეტის ასამაღლებლად, მათი ხელმოწერის გარეშე არ გაიცეს ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი. ოჯახური ძალადობის კონფლიქტის კომისიის და საკრებულოს წარმომადგენლებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა, რათა მოსახლეობასთან ერთად კრებაზე განიხილონ ოჯახური ძალადობის საკითხი.

4. ჩვენი წესრიგის დამრღვევებს ვიბარებდით ჩვენთან როცა ვიხილავდით საკითხს, ხშირად კი ვიკრიბებოდით ეზოებში მოსახლეობის თანდასწრებით, რადგან ეს უფრო ეფექტური იყო შერიგებისათვის. ხანდახან ცოლ-ქმრის შერიგებას პურ-მარილით დავაკანონებდით. ეს მათთვის მეორე ქორწილი იყო. ამავე მეთოდით ვეხმარებოდით გადამტერებულ მეზობლებსაც.

ბოდიშს ვითხოვ, რომ ზოგიერთი ფრაზა როგორც მითითება გამოვიდა, მაგრამ მე რა უფლება მაქვს ვინმეს მიუთითო, უბრალოდ გაგაცანით ჩემი ხედვა ძალადობაზე.

მირიან ჯალაღონია,
აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, მოძრაობა "შერიგებისა" და უხუცესთა კავშირის წევრი, აკადემიკოსი, მწერალი

როგორ შეიძლება, გამსახურდიას წიგნს, ციხეში ხალხის გამაუპატიურებელ ახალაიას, "შედევრი" შეადარო?!

"მე არ ვარ ბატონი ზვიადის ამ ნაშრომით აღფრთოვანებული. ის ერთგვარი "ტრაქტატია", რომელშიც "ნამეტნავად პატრიოტულად" და ამბიციურადაა წარმოჩენილი ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული და ფუნქცია."

"ბაჩო ახლაიას წიგნს აქვს პერსპექტივა, რომ რომ თითოეული ქართველისთვის სახელმძღვანელოდ და სამაგიდო წიგნად იქცეს"

თბილისში, სახვითი ხელოვნების მუზეუმის მშენებარე შენობაზე მიმაგრებულ ხარაჩოზე "თავისუფალი ზონის" წევრებმა ორი ბანერი "მომავალ წელს სოხუმში" და ამჟამად პატიმრობაში მყოფი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას წიგნის სათაური "სოხუმი – ჩემი იერუსალიმი" გამოაკრეს. ბანერის გამოკვრის შემდეგ სახვითი ხელოვნების მუზეუმთან საპატრულო პოლიცია მივიდა, თუმცა არანაირი ზომები არ მიუღიათ. მშენებარე შენობის ხარაჩოზე "თავისუფალი ზონის" წევრებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც სანტა კლაუსის ფორმებში იყვნენ გამოწყობილი და ახალაიას წიგნს კითხულობდნენ. ცოტა ხნის წინ წიგნის მაღაზიებში ბაჩო ახალაიას წიგნი – "სოხუმი ჩემი იერუსალიმი" გამოჩნდა, რომელიც ზოგიერთმა საქართველოს ექსპრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წიგნს – "საქართველოს სულიერი მისია" შეადარა.

ამ წიგნზე კომენტარი კომენტარი სანდრო ბრეგაძეს ვთხოვეთ, რომელიც თავის დროზე ზვიად გამსახურდიას აქტიური მხარდამჭერი გახლდათ:

– როგორც გავიგე, ვიღაც-ვიღაცეები ამ წიგნს ზვიად გამსახურდიას "სულიერ მისიას" ადარებენ. ეს დაუშვებელია, როგორ შეიძლება გამსახურდიას წიგნი ციხეში ხალხის გამაუპატიურებელ ახალაიას "შედევრს" შეადარო?!. ადამიანებმა, ვინც იციან ზვიადის შემოქმედება, კარგად უწყიან ზვიადის უსაზღვრო განათლების შესახებ და ეჭვიც არ ეპარებათ მის მაღალ ინტელექტში და როცა ამ ყველაფერს ციხის უფროსის ინტელექტს ადარებ ეს მინიმუმ მკრეხელობაა. ვფიქრობ, ადამიანები, ვინც ასეთ შედარებას ახდენენ სულიერად ავადმყოფები არიან. მათ აუცილებლად უნდა იმკურნალონ შესაბამის ადგილას. მე ნანახი მაქვს ჯაბა იოსელიანის "სამი განზომილება" და შინაარსიდან გამომდინარე, ამ წიგნს უფრო შევადარებდი და ვფიქრობ, უფრო მართებული იქნებოდა, ვინაიდან ისიც დამნაშავე იყო და ესეც დამნაშავეა, თუმცა ჯაბამ ამ წიგნში თავის ცოდვების შესახებ ღიად ილაპარაკა და ბევრ ადამიანს ხელიც დაადო და საქართველოს მტრებთან პირდაპირ კავშირში ამხილა, მათ შორის თენგიზ კიტოვანსა და თენგიზ სიგუას. არა მგონია, ახალაიას ამ წიგნში რაიმე მსგავსი გაეცხადებინოს ან სინანულის გრძნობა ჰქონდეს.

– ამ წიგნს რამდენიმე ისტორიკოსმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა...

– დარწმუნებული ვარ რომ ბატონმა ახალაიამ ნორმალურად წერა-კითხვაც კი არ იცის და საერთოდ, ეს წიგნი არის კი მის მიერ დაწერილი?! რაც შეეხება ისტორიკოსების შეფასებას, ვერაფერს გეტყვით, რადგან წიგნი არ წამიკითახავ და არც მომავალში ვაპირებ მის წაკითხვაზე დროის დაკარგვას.

სოციალურ ქსელებში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალაიას წიგნის ერთ-ერთი ფარული თანაავტორი სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ პაპასქირია, რომელსაც დავუკავშირდით:

– ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რომ ბაჩო ახალაიამ პატიმრობაში წიგნი დაწერა, კიდევ უფრო მესიამოვნა, როდესაც წავიკითხე წიგნის სათაური: "სოხუმი – ჩემი იერუსალიმი". ეს არის შეძახილი-მოწოდება, რომელიც უნდა გაითავისოს თითოეულმა ქართველმა. სხვათაშორის, მინდა გითხრათ, რომ სოხუმისა და აფხაზეთის იერუსალიმთან სიმბოლურად დაკავშირება, არაა ბაჩო ახალაიას "ექსკლუზივი". ამგვარმა ფრაზამ პირველად გაიჟღერა 1996 წელს აფხაზეთიდან დევნილთა ყრილობაზე. წიგნში მოცემულია საქართველოს ბოლოდროინდელი მოვლენების საკმაოდ კვალიფიციური ანალიზი. ავტორი ამჟღავნებს წიგნიერებას. წიგნში მოცემული პოლიტიკური პროცესების (მათ შორის ბაჩო ახალაიას ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდის) ავტორისეული ხედვა, შეიძლება ზოგჯერ სუბიექტურიცაა, თუმცა ზომიერად პოლიტიზირებული. ერთადერთი რაც ბაჩოს დავუწუნე, ესაა მისი მიდგომა აფხაზების მიმართ; ის ზედმეტად მკაცრია. მისთვის, ფაქტობრივად, ყველა აფხაზი მოღალატე და სეპარატისტია. ეს მიდგომა არაა ჩემთვის მისაღები. მას ზოგიერთი ზვიად გამსახურდიას "სულიერ მისიას" ადარებს, მე ცოტა სხვანაირი შეხედულება მაქვს. მე არ ვარ ბატონი ზვიადის ამ ნაშრომით აღფრთოვანებული. ის ერთგვარი "ტრაქტატია", რომელშიც "ნამეტნავად პატრიოტულად" და ამბიციურადაა წარმოჩენილი ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული და ფუნქცია. გარდა ამისა, ზვიად გამსახურდია სულ სხვა დონის ფიგურაა. ბაჩო ახალაიას წიგნი ნამდვილად არაა (და ვერც იქნება) ასეთი ამბიციის მატარებელი, თუმცა მას აქვს პერსპექტივა, რომ რომ თითოეული ქართველისთვის სახელმძღვანელოდ და სამაგიდო წიგნად იქცეს.

– არსებობს მოსაზრება, რომ ერთ-ერთი ფარული თანაავტორი თქვენ ხართ.

– ეს ჭორი და სრული სისულელეა, სასაცილოდაც არ მყოფნის ეს ამბავი. ამ წიგნის არსებობა პირველად მაშინ გავიგე როცა ბაჩოს მეუღლემ, ანი ნადარეიშვილმა დამირეკა და მთხოვა, როგორც პროფესიონალ ისტორიკოსს, აფხაზეთის უახლესი ისტორიის ერთგვარ მემატიანეს, თანაც მისი მამის – თამაზ ნადარეიშვილის ახლო მეგობარს, პრეზენტაციას დავსწრებოდი და აზრის გამომეთქვა. პრეზენტაციაზე ვთქვი, ჩემთვის ეს ნაშრომი პოლიტოლოგის საკვალიფიკაციო ნაშრომად რომ წარმოედგინათ, მას დიდი სიამოვნებით მივიჩნევდი (ემოციური შემადგენლის ჩამოცილებით) საკმაოდ მაღალი დონის სადოქტორო დისერტაციად-მეთქი.

ლ. გოგოლაძე

გაზეთ **"ილორის"** კომენტარი: საინტერესოა, რითი მოხიბლეს ასე ახალაიებმა პროფესორი ზურაბ პაპასქირი, რომელმაც ჭეშმარიტებას საკმაოდ დაურიდებლად შეაქცია ზურგი და სატანის სამსახურში ჩადგა. როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, პატივცემულ პროფესორ პაპასქირს ახალაიასადმი სიმპათია იმ "სასიამოვნო მოულოდნელობამ" გაუჩინა, რაც მას ბაჩანა ახალაიას ოპუსის ხილვისას ეწვია. ალბათ დამერწმუნება ბატონი პროფესორი, რომ ბევრად უფრო მასშტაბური "სასიამოვნო მოულოდნელობა" ეწვეოდა მას, თუ ბაჩანას გვერდით მოისვამდა და მოაყოლებდა, თუ როგორ აწამებდა ეს არაკაცი პატიმრებს ციხეებში და როგორ ხოცავდა მათთვის არასასურველ პიროვნებებს – თუნდაც იმ სოსო ჭანტურიას, რომლის მამამაც როლანდ ახალაიას თხის გაუპატიურებისთვის საპატიმროში უკრა თავი. ასევე დიდი "სასიამოვნო მოულოდნელობა" ეწვეოდა ბატონ პროფესორს მაშინ, თუ თავად როლანდ ახალაიას მოაყოლებდა, თუ როგორ მოხიბლა მეზობლის თხა და რაოდენ დიდი სიამოვნება მიიღო მასთან სქესობრივი კავშირით!

მთელი ეს ისტორია დათა თუთაშხიას ამონაკვნესს მახსენებს, რაც მას გრაფი სეგედისაგან პატიების სიგელის შემდეგ აღმოხდა: "რატომ დგებიან ასეთი კაცები ასეთი მთავრობის სამსახურში, ნეტავი?". მართლაც ძნელი გასაგებია, თუ რისი გულისათვის შეიძლება მეცნიერმა ადამიანმა სიმპათიები გამოავლინოს იმ კანიბალის მიმართ, რომელიც ლამის ცოცხლად სჭამდა ადამიანებს და სიცოცხლეს უმახინჯებდა თანამოქალაქეებს? ამას მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს – შენც მკვლელი და კანიბალი ხარ, მაგრამ მაინც ახერხებ საკუთარ სულსა და სხეულში ამ სიმახინჯის ვუალირებას...

მაგრამ, ხომ გაგიგიათ, – "კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო"!

იქნებ ამაზე ერთხელ მაინც დაფიქრდეს პროფესორი ზურაბ პაპასქირი, რადგან მკვლელი ახალაიებისადმი მისი ამგვარი სიმპათია და მეგობრული თანადგომა თავისთავად შეგვახსენებს ძველ რომაულ ფრაზას: "მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენ"!

ამიტომ, უნდა იცოდე პაპასქირო, რომ როცა ნაციონალ არამზადებთან მეგობრობ, შენც მათი ალი-კვალი ხარ!

ილორი ვისია „პაპანწყვირი"?

თბილისი-ზუგდიდის ავტომაგისტრალის, ხობის რაიონის სოფელ ხეთის ტერიტორიაზე, რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე გორაკზე მდებარეობს სამეგრელოში ცნობილი პატარა ტბა სახელად „პაპანწყვირი". ლეგენდის თანახმად ტბის ადგილზე ცხოვრობდა მღვდელი (მეგრულად პაპა). როდესაც ერთხელ მღვდელმა თავის დამხმარე ადამიანებს, ნადს სადილად აჭამა ძაღლის ხორცი, მიწა იძრა და მღვდელი თან ჩაიტანა, ჩაიძირა. (მეგრულად დინწყუ) და ამ ადგილას აღმოცენდა ტბა, რომელსაც უწოდეს „პაპანწყვირი" (ქართულად ჩაძირული მღვდელი). ეს ტბა თავისი შესანიშნავი ადგილმდებარეობის, კამკამა წყლის გამო სამეგრელოს მოსახლეობისათვის საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო.

„პაპანწყვირის" ისტორია გამახსენა ხობის რაიონის სოფელ ხეთაში არსებულმა რთულმა სიტუაციამ, რომელიც რამდენიმე წელია გრძელდება და დასასრული არ უჩანს. დაპირისპირება და დავა მიმდინარეობს სოფლის მცხოვრებთა და ამ სოფელში არსებულ შ.პ.ს. „ინკა-ინვესტს" შორის. სოფლის მოსახლეობა ამ შ.პ.ს-ს მათი კუთვნილი ქონების მიტაცებაში ადანაშაულებს, რასაც კატეგორიულად უარყოფენ შ.პ.ს.-ს წარმომადგენლები. „ინკა ინსტმა" სოფელ ხეთაში შეიძინა 300 ჰა-მდე მიწა, შემოღობა და ამ ტერიტორიაზე სადაც ტბა „პაპანწყვირიც" მოექცა ნებართვის გარეშე შესვლის უფლება არავის არ აქვს.

სოფლის მცხოვრებლებმა სიმართლის დადგენის მიზნით სახელისუფლებო სტურქტურებს მრავალჯერ მიმართეს, მაგრამ მათგან რაიმე დამაიმედებელი პასუხები ვერ მიიღეს. აი რას წერენ ისინი საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი გაზავნილ წერილში „მე-20 საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებდა 90-იან წლებამდე. საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ ზემოთ ხსენებული ტერიტორია მოსახლეობას გადაეცა იჯარით სარგებლობის უფლებით. 2006 წელს შ.პ.ს. „ხეთამ" გარკვეული პროცედურული დარღვევებით შეიყიდა ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. ამ შესყიდვით „ხეთის" მფლობელობაში გადავიდა არა მარტო დაფნისა და ციტრუსების ნარგავები არამედ უნიკალური ჯიშის მცენარეების, მათ შორის ბზისა და ურთხელის საუკუნოვანი ტყის საფარი, ქარსაფარი ზოლები და მტკნარი წყლის სათავეები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფელ ხეთისა და მიმდებარე სოფლების წყალმომარაგებას. წლების მანძილზე ხეთის მცხოვრებლები გულის ტკივილით ვადევნებთ თვალს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ტყის საფარის განადგურებას. თითქმის მთლიანად გაიჩეხა ქარსაფარი ზოლი, მიმდინარეობს კირ–ქვის მოპოვების სამუშაოები, რომელიც აძლიერებს ეროზიას. ბოლო წლებში თითქმის ყველა სათავეზე საგრძნობლად იკლო წყლის დონემ, ზაფხულის თვეებში მოსახლეობა უწყლობით იტანჯება. 2012 წლიდან შ.პ.ს. „ხეთის" ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება მოსახლეობისათვის გაეწყვიტა საიჯარო ხელშეკრულებები, იმ მოტივით, რომ შემოსავალი ვერ ფარავდა ხარჯებს. 200-ზე მეტი მოიჯარე დათხოვნილ იქნა სამუშაოდან, რომლებიც თავიანთი შრომით უვლიდნენ და აბარებდნენ შ.პ.ს-ს მოსავალს და შესაბამისად ღებულობდა ამ შემოსავლის 30%-ს. დღეს ეს ადამიანები უმუშევრები არიან" ნათქვამია პრემიერ-მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს 10-მდე სოფლის მცხოვრები აწერს.

ხეთის მკვიდრის ჯუმბერ ლატარიას განცხადებით ხობის მუნიციპალიტეტის სოფელი ხეთა 1300-მდე კომლს ითვლის და მოქმედი კანონმდებლობით თითოეულ კომლზე კერძო საკუთრებაში გაცემული უნ და იყოს 12500 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. „ვინაიდან სოფელ ხეთაში არ მოიპოვებოდა ამ ოდენობის თავისუფალი სავარგულები, ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო შ.პ.ს. „ხეთის დაფნისა და ციტრუსის" ხარჯზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 450 ჰა-ს. მაგრამ სამწუხაროდ აღნიშნული ტერიტორია გაიყიდა სარფიან მყიდველზე და სოფლის მოსახლეობა დავრჩით მიწების გარეშე. შ.პ.ს. ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სახერხი ქარხანა, გაიჩეხა უნიკალური სახეობის კედრის ჯიშის ხეები და 17 ჰა ქარსაფარი ზოლი, ამიტომაც ჩვენ მოვითხოვთ დადგინდეს შ.პ.ს. „ხეთის" მიერ ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის შესყიდვის კანონიერება, დადგინდეს როგორ მოხდა შ.პ.ს.-ს კუთვნილებაში რამდენიმე წლით ადრე გახსნილი სასაფლაო, აიკრძალოს ამ ტერიტორიაზე ხეების ჭრა და კირქვის მოპოვება, გაიხსნას უკანონოდ გადაღობილი გზა, რომელიც არ შედის მის მფლობელობაში და მცხოვრებლებს მიეცეთ თავიანთ საცხოვრებლამდე თავისუფლად გადაადგილების საშუალება" – აღნიშნა ჯუმბერ ლატარიამ.

2012 წელს შ.პ.ს. "ხეთა" იყიდა და 100% მფლობელი გახდა შ.პ.ს. „ინკა-ინვესტი", რომლოს დირექტორი რუსლან იოსავა უსამართლოდ მიიჩნევს სოფლის მცხოვრებტა პრეტენზიებსა და მოთხოვნებს. მისი თქმით მათ ყოველგვარი კანონის დაცვით შეისყიდეს ეს ტერიტორია და ასევე კანონიერად ახორციელებენ საქმიანობას. „ჩვენ უკვე დავიღალეთ ყოველივე იმის გამო, რაც ხდება ჩვენს გარშემო. სხვადასხვა კომისიამ რამდენჯერმე შეგვამოწმა და არავითარი უკანონობა არ აღმოაუჩენიათ. ჩვენ კანონიერად ვფუნქციონირებთ, მაგრა ამის გაგება სოფლის რამდენიმე მცხოვრებს არ სურს და ისევ მათ გასაგონად მინდა ვთქვა: ჩვენ ზუსტად ვფლობთ 261,6 ჰა-ს, დასაქმებული გვყავს 200-მდე პიროვნება, საქართველოს ყველა კუთხიდან, ძირითადი საქმიანობა დაფნის აჭრა და ციტრუსების დამზადებაა, 400-500 ლარამდე იღებენ ხელფასს სტაბილურად" – განაცხადა რუსლან იოსავამ. მისი თქმით ატეხილი აჟიოტაჟის გამო სამუშაოთა წარმოება შეჩერებული აქვთ და უცდიან თუ რას დაადგენს ახალი კომისია.

რუსეთიდან ცამოსულმა ბიზნესმენმა შ.პ.ს. „ინკა-ინვესტის" ერთერთმა დამფუძნებელმა და მეწილემ ბორის იოსავამ გამოთქვა მზადყოფნა შეხვდეს სოფლის მოსახლეობას და შეძლებისდაგვარად გადაწყვიტონ არსებული პრობლემები, თუმცა სამწუხაროდ ასეთი შეხვედრის მოწყობა ვერ ხერხდება, რადგან ბორის იოსავა მის წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს უსამართლოდ თვლის და ამიტომაც მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებას არ აპირებს. „მე ეს ტერიტორია კანონის სრული დაცვით მაქვს შესყიდული და ვერანაირი კომისია ვერანაირ სიყალბეს ვერ აღმოაჩენს, ამიტომაც კომისიების შექმნაზე უკეთესია შემხვდეს 5-6 წარმომადგენელი სოფლის მოსახლეობისა, მაგრამ ისინი ასეთ შეხვედრაზე არ მოდიან, ძალაზე არიან, ძალით კი ისინი ვერაფერს ვერ წამართმევენ, რადგან მე ვმოქმედებ კანონიერად. მუშაობაში მიშლიან ხელს, ამის გამო რამდენიმე აქტივისტი პროკურატურაშიც არის დაფიქსირებული. ჩვენ 10 წელია ვმუშაობთ და 10 წელი სოფლის მეურნეობაში მოგებას ვერ იძლევა. მომცენ ჩემს მიერ დახარჯული 5,5 მილიონი და დღესვე წავალ ხეთიდან", განაცხადა ბორის იოსავამ. მისი თქმით, რაც შეუძლია დათმოს, ესაა 32 ჰა საძოვარი, რომელიც მის საკუთრებაშია. „გამოისყიდონ შემოღობონ და ისარგებლონ, ხოლო გზას კი, მზად ვარ შემოვღობო გზის გაღმა-გამოღმა ტერიტორიები და გზა იქნება თავისუფალი გადასაადგილებლად. რაც შეეხება „პაპანწყვირს" რომელიც მოუვლელი და დაბინძურებული იყო, გაიწმინდება ტერიტორია, გაიხსნება კაფეები, იქნება დასვენებისათვის ყველა აუცილებელი ატრიბუტები, ტბაში იქნება ნავები და ყველა მსურველს შესაძლებლობა ექნება დატკბეს ამ მშვენიერებით.

გათვალისწინებულია, რომ უნდა შეიქმნას ხობის მუნიციპალიტეტისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ერთობლივი კომისია, რომელმაც უნდა მოაგვაროს ხეთელების წინაშე არსებული პრობლემები, თუმცა საჭვოა რომ ამ კომისიამ შეძლოს ამ „ფორს-მაჟორული" სიტუაციის მოგვარება.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ნაკლებადცნობილი ლოცვა

პატარა ნაბიჯების ხელოვნება

უფალო, არ გთხოვ სასწაულებს და მირაჟებს, გთხოვ, ყოველი დღის ძალას. მასწავლე პატარა ნაბიჯების ხელოვნება.

გამხადე დაკვირვებული და მიხვედრილი, რათა ყოველდღიურობის სიჭრელეში დროზე შევჩერდე ჩემს ამაღელვებელ აღმოჩენებზე და გამოცდილებაზე.

მასწავლე ჩემი ცხოვრების დროის სწორად გამოყენება. მაჩუქე ალღო, რათა შევძლო პირველხარისხოვანის გარჩევა მეორეხარისხოვანისგან.

გთხოვ, თავშეკავებისა და ზომის ძალას, რათა არ ვიფარფატო ცხოვრებაზე, არ ვისრიალო, რათა გონივრულად დავგეგმო დღის მდინარება, რათა დავინახო მწვერვალები და შორეთები და ზოგჯერ მაინც ვიპოვო ხელოვნებით ტკბობის დრო.

დამეხმარე, გავიგო, რომ ვერ დამეხმარება ვერც წარსულზე და ვერც მომავალზე ოცნებები.

დამეხმარე, ვიყო აქ და ეხლა და რომ აღვიქვა ეს წუთი, როგორც უმთავრესი.

დამიცავი იმ გულუბრყვილო რწმენისაგან, რომლის თანახმადაც ცხოვრებაში ყველაფერი იოლად და უპრობლემოდ უნდა იყოს.

გამაგებინე, რომ სირთულეები, დამარცხებები, დაცემები და წარუმატებლობები არის ცხოვრების ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი და მეტი არაფერი. ჩვენ მათი მეშვეობით ვიზრდებით და ვმწიფდებით.

გამახსენე ხოლმე, რომ გული ხშირად ეკამათება გონებას. საჭირო დროს გამომიგზავნე ის, ვისაც ეყოფა ვაჟკაცობა ჩემთვის სიყვარულით სიმართლის სათქმელად.

მე ვიცი რომ ბევრი პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება და თუ კი არაფერს გავაკეთებ, მაშ, მასწავლე მოთმინება.

შენ იცი, თუ როგორ გვჭირდება მეგობრობა. დაე, ვიყო ბედის ამ ყველაზე მშვენიერი და ნაზი საჩუქრის ღირსი.

მომეცი მდიდარი ფანტაზია იმისთვის, რომ საჭირო დროს, საჭირო ადგილას უსიტყვოდ ან სიტყვით მივცე ვინმეს აუცილებელი სითბო.

მაქციე სულ "ქვევით" მყოფთათვის გაგებინების უნარის მქონე ადამიანად.

დამიცავი ცხოვრებაში რაღაცის ხელიდან გაშვების შიშისგან. მომეცი არა ის რაც მე მინდა ჩემთვის, არამედ ის რაც მართლაც აუცილებელია.

მასწავლე პატარა ნაბიჯების ხელოვნება!

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

საყდრისზე

სათრეველა

გიგზავნით კიდევ ერთ სათრეველას საყდრისზე, რამეთუ რომ ვინმეს ეს შევარჩინოთ, არაფრით არ შეიძლება, მით უფრო ისეთ გველაძუას, როგორიც არჩილ კბილაშვილი გამოდგა... როცა ტელეარხ „იმედზე" მის პასუხს ვისმენდი, მაძრძწუნებდა იმის გახსენება, რომ იგი საქართველოს მთავარი პროკურორი იყო.

„ვაი, ეგეთას სამართალს!"

ოკრო-ბოკრო გზაზე ოქრო!
რადგან დღემდე დე-იურედ
ვნებები ვერ დაიურვეს,
გზა მოძებნეს ოკრო-ბოკრო,
რომ მოხვეტონ მეტი ოქრო.
და საყდრისის დამანგრეველთ
სურთ, კანონით ამაგრებდნენ,
ხან მინისტრი – ჟინაშლილი,
ხან – ბატონი კბილაშვილი.
მაგრამ აზრზე ვინც ვერ მოდის,
ვერ უშველის „RMJ გოლდი"...
მინდა გკითხო, პარლამენტო,
შენ ახლახან სძლიე ვეტო
და რად ითმენ დღემდე, ნეტავ,
ძეგლთა დაცვის სააგენტოს?
სხვის წისქვილზე ის წყალს ასხამს
და კანონებს იგდებს მასხრად.
მტრად გადიქცა ჩვენი მოდგმის,
რომ გამდიდრდეს „ RMJ გოლდი."
ჰოდა, მტერთა გასახარად
უმძიმესი დადგა ხანა,
აგვიფეთქეს საყდრისი და
აგვიოხრეს ყაჩაღანა...

ალექსანდრე შენგელია

დატირება

ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების მსურველთა რაოდენობამ საბრძნობლად იკლო

მოსახლეობის უკანასკნელი გამოკითხვით გაირკვა, რომ თურქეთის მოქალაქეთა მხოლოდ 28 % ემხრობა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას. სააგენტო "ანადოლუს" ინფორმაციით, ამას მოწმობს ნოემბერში ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა თურქეთის სხვადასხვა პროვინციიდან 1.087-მა ადამიანმა მიიღო.

გამოკითხვის მიხედვით, ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებას გამოკითხულთა 39 % კატეგორიულად ეწინააღმდეგება, 25 %-სთვის ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, 8 %-ს კი პასუხის გაცემა გაუჭირდა, რადგან მათაც უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნიათ ევროპული ღირებულებებისადმი.

სააგენტოს თანახმად, ბოლო წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია, რადგან ჯერ კიდევ მაისში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, თურქეთის მოსახლეობის 38 % ემხრობოდა ევროკავშირში გაწევრიანებას, წინააღმდეგი კი 33 % იყო.

თურქეთმა ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადი ფორმალურად 1987 წელს შეიტანა, მოლაპარაკებები კი 2005 წლიდან დაიწყო, მაგრამ საქმეს ჯერ სასიკეთო პირი აშკარად არ უჩანს!.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

დიდ პიროვნებებს გადამწყვეტი წამი გამოაჩენს ხოლმე

ასეთი იყო ვიტალი დარასელია, რომელმაც 1981 წლის 13 მაისს, დიუსელდორფში, თასების მფლობელთა თასის ფინალში, მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე თამაში საკუთარ თავზე აიღო, "კარლ ცაისის" ორი მცველი ჩამოიშორა, გადამწყვეტი გოლი ლამაზად გაიტანა და თბილისის "დინამოს" დღემდე ერთადერთი ევროთასი მოაპოვებინა...

ამ ქვეყნიდან ძალიან ახალგაზრდა წავიდა: 1982 წლის 13 დეკემბერს, რიკოთის უღელტეხილზე ავტოკატასტროფისას დაიღუპა და მხოლოდ 13 დღის (13 მის ცხოვრებაში საკრალური ციფრია) შემდეგ, 26 დეკემბერს მდინარეში იპოვეს მისი ცხედარი.

სულ 25 წელი იცხოვრა, მაგრამ ამ აფხაზმა ბიჭმა იმდენი შეძლო, რომ მთელ ქვეყანას თავი უზომოდ შეაყვარა და ქართული ფეხბურთისა და საერთოდ, საქართველოს ისტორიაში დაუვიწყარი გამარჯვების ფურცელი ჩაწერა, რაც დღეს ზღაპრის ტოლფასი გვგონია.

დავით ყიფიანის თქმით, დარასელიამ ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

ვიტალი დარასელიას სახელს ატარებს ოჩამჩირის სტადიონი და თბილისის "დინამოს" საფეხბურთო აკადემია. მის შვილს, ვიტალი დარასელია-უმცროსს თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრებში უთამაშია. ქალიშვილი, ქრისტინა დარასელია კი, ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობს.

საბედნიეროდ, ჩვენ გვაქვს საშუალება, დიუსელდორფის გამარჯვების ბევრ მონაწილეს უშუალოდ ველაპარაკოთ და მათი ისტორიები ჩავიწეროთ. ახლა ისინი ვიტალი დარასელიას გაიხსენებენ. მათთან ერთად, უცნობ ისტორიას იხსენებს ვიტალის ქალიშვილი ქრისტინაც...

ოთარ გაბელია: – თბილისის "დინამოში" დავმეგობრდით. თავიდან ბაზაზე ვცხოვრობდი, ვიტალის კი ბაზის წინ სახლი ჰქონდა. როცა თამაში ან შეკრება არ გვქონდა, საღამოობით მასთან ხშირად მივდიოდი. სტუმართმოყვარე კაცი იყო და გვერდში მდგომი, ფული თუ ჰქონდა, გაჭირვებულს ყოველთვის დაეხმარებოდა. მართალი თუ იყო, უკან ყველაზე გავლენიანი ადამიანის წინაშეც არ დაიხევდა. ბევრჯერ მიფიქრია, ამ 25 წლისამ რამხელა სიყვარული მოიპოვა-მეთქი.

პირველად, სოხუმის "დინამოში" თამაშის დროს, 1972 წელს ვნახე. ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა იური გრამატიკოპულომ ჩამოიყვანა და ამხანაგურ შეხვედრაში 20 წუთი ათამაშა. მაგრამ ამ 15 წლის ოჩამჩირელმა ბიჭმა ისეთი აგრესიული და ტექნიკური ფეხბურთი აჩვენა, ყველა გაოცებული დაგვტოვა.

მაგრამ, მერე და მერე, იმ დღეს რომ ვიხსენებ, კიდევ უფრო მიკვირს, რამხელა პროგრესს მიაღწია: იცით, სოხუმში მოედანზე გამოსული ვიტალი რა სუსტი იყო?! მერე კი ძალიან ბევრი იშრომა, ზღვისპირეთში, ქვიშაზე ბევრს დარბოდა, ვარჯიშობდა და ბოლოს ისეთი კუნთები ჰქონდა, შვარცენეგერსაც შეშურდებოდა. შრომისმოყვარეობით და ფიზიკურად მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ამიტომაც ვამბობ, რომ მისი ცხოვრება ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მაგალითია...

ვლადიმერ გუცაევი: – წარმოუდგენელი იყო, ელალატა, მასზე დაყრდნობა შეიძლებოდა. პირდაპირი, ალალი და სამართლიანი ბიჭი გახლდათ. "დინამოში" რამდენი წელი ითამაშა და არ მახსენდება მასზე ნაწყენი მწვრთნელი, ფეხბურთელი თუ ბაზის უბრალო თანამშრომელი. ვიტალის არასწორ და უწესო საქციელს ვერავინ გაიხსენებს.

თავიდან ისიც თავდამსხმელი იყო, მარჯვენა ფლანგზეც თამაშობდა. ახალკაცის ნიჭი სწორედ ის იყო, რომ ყველას თავის პოზიცია მოუძებნა. ვიტალი ჩემსავით სწრაფი არ ყოფილა, მაგრამ ნახევარდაცვაში უდიდესი პლუსები გამოაჩინა, საოცრად ბევრ სამუშაოს ასრულებდა, ჰქონდა ამ პოზიციისთვის საჭირო სისწრაფე, საუკეთესო ტექნიკა და გამძლეობა.

საერთოდ, კაცი რაც უფრო ნიჭიერია, საკუთარ თავს მეტსაც სთხოვს. ვიტალი კი ყოველდღე ცდილობდა, გუშინდელზე უკეთ ეთამაშა. 13 მაისის შემდეგაც არაფერი შეცვლილა. ვარჯიშის შემდეგ ყველა ვრჩებოდით და ვცდილობდით, დამატებითი ვარჯიშებით ნაკლი გამოგვესწორებინა. ზოგი ტექნიკაში მოიკოჭლებდა, ზოგი – ბურთის ართმევაში, ზოგსაც – დარტყმა ჰქონდა გასაუმჯობესებელი.

ვიტალის არასოდეს დაზარებია, ნახევარი საათი მაინც ივარჯიშებდა და ბოლოს რა დონის ფეხბურთელიც გახდა, ყველას მოეხსენება. მაგრამ ყველაზე მეტად იმით მაოცებდა, რომ ცხვირი ერთი წამით არ აუწევია. ამ ყველაფრის გამოა, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი რომ იყო და უდიდესი კვალი რომ დატოვა. ბედნიერი კაცი ვიქნები, მსგავსი ფეხბურთელი 21-ე საუკუნეშიც რომ გამოჩნდეს...

ნოდარ ხიზანიშვილი: – დიღმის ბაზაზე მისი გაცნობისთანავე მივხვდი, რომ ჩამოყალიბებული პიროვნება იყო. სეზონის წინ, ლესელიძეში ვემზადებოდით და სამჯერადი, ძალიან დამღლელი ვარჯიშები გვქონდა. მაგრამ იმდენად დიდი იყო ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის სურვილი, ამ ვარჯიშების შემდეგ გვერდით სტადიონზე გადავიპარებოდით და ვთამაშობდით. გართობა ყველას უყვარს, მაგრამ ფეხბურთის გამო ყველაფერს განზე გადადებდა. ვფიქრობ, ეს დღევანდელი ახალგაზრდობისთვის მაგალითად გამოდგება – როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ვარსკვლავი. ბევრს ხუმრობდა, ხასიათზე მოგიყვანდა კაცს. წარმოუდგენელი იყო, უკან დაეხია. მოსიყვარულე გული ჰქონდა, მაგრამ თუ ვინმე გაამწარებდა, მტრისას, ისეთი ჩხუბი იცოდა. ერთი რომ ყოფილიყო, ათ კაცს არ შეეპუებოდა.

ასეთი კაცი მოედანზეც საჭიროა. შეცდომას რომ დაუშვებდი, გამოგისწორებდა და შენს საქმეს დაუზარებლად და დაუმადლებლად გააკეთებდა. ვისაც ფეხბურთი ესმის, კარგად მიხვდება, ეს რაოდენ დადებითი თვისებაა.

ერთხელ, მოსკოვში, იქაურ "დინამოსთან" ვიტალიმ მაგრად ითამაშა და ამის შემდეგ ნაკრების შეკრებაზე დავრჩით. მოსკოვში ვსეირნობდით მე, ვიტალი და ხორენ ოგანესიანი. ამ დროს, დაახლოებით 10-კაციანი ჯგუფი მოგვიახლოვდა. აშკარად გვიცნეს, ჩემსკენ და ვიტალისკენ წამოვიდნენ. მერე მას სხვებიც მოჰყვნენ და ჩქარი ნაბიჯებით წამოვიდნენ. როგორც მერე გავიგეთ, მოსკოვის "დინამოს" გულშემატკივრები იყვნენ და ვიტალის კარგი თამაშით გამწარებულებმა ჩვენი ცემა მოინდომეს. მოხვედრით როგორ არ მოგვხვდა, მაგრამ ჩვენც არაფერი დაგვიკლია. ვიტალიმ განსაკუთრებით ივაჭკაცა. ისეთი ურტყა, ფილმებში რომ გინახავთ...

თენგიზ სულაძველიძე: – ვიტალი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში გავიცანი. სასაცილო ისტორია მაშინ შეგვემთხვა: გამიხარდა, ნაკრებში ჩვენებური ბიჭი რომ მოხვდა, თან აფხაზეთიდან რომ იყო. მე რუსული არ ვიცოდი და ვიფიქრე, დამეხმარება-მეთქი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მან ქართული ისე იცოდა, როგორც მე – რუსული. თუმცა ქართული მალე ისწავლა.

წარმოიდგინე, რა ფეხბურთელი უნდა ყოფილიყო, როცა 17 წლის ბიჭმა "დინამოს" ძირითადში მოიპოვა ადგილი. ფიზიკურად ძლიერს ტექნიკაც სასწაული ჰქონდა. ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა: ბურთი თუ ვერ აართვი, ვერც გაიტან. მან კი კარგი ართმევაც იცოდა და მაგარი დარტყმაც ჰქონდა – თან, ორივე ფეხს თანაბრად ხმარობდა. მისთვის ბურთის წართმევა კი ძალიან ძნელი იყო.

რაც მან დიუსელდორფში გააკეთა, ამას მხოლოდ დიდი ფეხბურთელი შეძლებდა. ერს ამხელა სიხარული მოუტანა და ამის მიუხედავად, ბავშვივით თავმდაბალი და შრომისმოყვარე იყო. ბედნიერები ვიყავით, 1982 წელს მე, ვიტალი, საშა და რამაზი საბჭოთა კავშირის ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ წაგვიყვანეს და თან ყველანი ძირითადში ვთამაშობდით. თურმე, რა ბედნიერები ვიყავით, მაშინ აფხაზი, ქართველი და ოსი ერთმანეთს არ ვარჩევდით, ერთმანეთი ძმებივით გვიყვარდა... ვიტალი მარტო ოჯახს კი არ დააკლდა, შემდეგ "დინამოს" საქმეებიც აირია და მიმაჩნია, რომ ეს ლეგენდარული გუნდი ვიტალის უდროოდ წასვლამ დააქცია...

ვახტანგ ქორიძე: – ოჩამჩირეში იყო გაზრდილი, ქართული კარგად არ იცოდა და ერთხელ მთხოვა – "ტუხა", რუსულად აღარ დამელაპარაკო, ქართულს ასე უფრო ვისწავლიო. ცოტა ხანში კი ისე კარგად აითვისა, ინტერვიუს უპრობლემოდ იძლეოდა...

ვაჟკაცი ბიჭი იყო და პასუხის გაცემაც იცოდა. კიევში "დინამოს" ვხვდებოდით. უკრაინელებს მაღალი და ფიზიკურად ძლიერი მცველი, ალექსანდრ ბოიკო ჰყავდათ, რომელმაც რეზო ჩელებაძეს ფეხი ისე ჩასცხო, კინაღამ მოკლა. ვიტალი გამწარდა და თამაში რომ დამთავრდა, გასახდელისკენ მიმავალს მითხრა – ეს უნდა ვცემოთო და მივარდა. აბა, მე განზე ხომ არ დავდგებოდი? იქ ამბავი ატყდა, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში და ბოიკო ისე ვცემეთ, მერე სულ ბატონობით გველაპარაკებოდა.

ქრისტინა დარასელია, ვიტალი დარასელიას შვილი: – სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ციფრი 13 რატომ უყვარდა. არადა, დედასთან ქორწილი 13 ნოემბერს გადაიხადა, "დინამოში" თავიდან 13 ნომრით თამაშობდა, საბჭოთა ნაკრებშიც 13-ნომრიანი მაისურა მისცეს და 13 მაისს საქართველოს რა სიხარულიც მიანიჭა, ყველამ იცით. თურმე, სულ ამბობდა, ჩემთვის ბედნიერი ციფრიაო...

სამწუხაროდ, მონათლული არ იყო. მაგრამ ვიცი, რომ კომუნისტების დროსაც კი ეკლესიაში სისტემატურად დადიოდა და სანთელს ანთებდა. დიუსელდორფის ფინალის შემდეგაც პირჯვარი გამოისახა, რაც მაშინ საკმაოდ სარისკო იყო.

მონათვლა აფხაზეთში, ილორის ეკლესიაში უნდოდა, მაგრამ დრო ვერაფრით გამონახა. ორჯერ მღვდელთან შეთანხმებულიც ყოფილა, მაგრამ ეტყობა, სეზონი იყო და ახალკაცმა ვერ გაუშვა.

მაგრამ გარდაცვალების შემდეგ მონათლეს. სიონში ილია II იმყოფებოდა და ნება დართო, მიცვალებული მოენათლათ.

აფხაზეთში წასვლა და საფლავის მონახულება ბევრჯერ მსურდა, ვიცი, ჩასვლის პრობლემაც არაა. მაგრამ სულ რაღაც მაჩერებდა. ჩემი ძმა, ვიტალი კი რამდენჯერმე იყო...

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

გამოვიდა ჟურნალ "აია"-ს მომდევნო ნომერი (№18), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი **გიორგი სიჯინავა.**

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა – I.

ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა "**სამეგრელოს**" წარმომადგენლობაში.

ჟურნალის ფასია 4 ლარი.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge